ელგუჯა ადეიშვილი

ილია
და...
რკინიგზა კახეთში

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო
აკადემია „ქალდეა - საქართველო“

ელგუჯა ადეიშვილი

ილია
და...
რკინიგზა კახეთში

პუბლიკაციები კლიმენტი გოგიავას
ბიოგრაფიული რომანიდან

“ ი ლ ი ა ო ბ ა”

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2020

რედაქტორი - ანზორ ჯაფარიძე

საქართველოს მწერალთა კავშირის
წევრი, საქართველოს მწერალთა,
მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა
საერთაშორისო აკადემია „ქალდეა -
საქართველოს“ აკადემიკოსი.

© ელგუჯა ადეიშვილი, 2020
გამომცემლობა „უნივერსალი“, 2020

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com
ISBN

„არც უწიგნობა ვარგა და არც
მარტო წიგნებიდამ გამოხედვა“
ილია

დღეს ხელთ მიპყრია ელგუჯა ადეიშვილის სიამაყე - „ილია და... რკინიგზა კახეთში“ (პუბლიკაციები კლიმენტი გოგიავას ბიოგრაფიული რომანიდან „ილიაობა“). ნამდვილად არ მეგონა, მადლიერ ქართველ საზოგადოებას, დიდ ილიაზე რაიმე თუ დარჩა კიდევ სათქმელი. ბატონი ელგუჯა თვისეული უთბილესი ხედვით მკითხველს გვახსენებს ერის სულიერი მამის იმ შემოქმედების სიდიადეს, რომელიც გადმოცემულია კლიმენტი გოგიავას ბიოგრაფიულ რომანში „ილიაობა“ (გამოცემულია 1973 წელს).

ბატონმა ელგუჯამ, დიდი სიყვარულით გაგვიზიარა, ერის საგანძურად აღიარებული ილიასეული ფართო მსოფლმხედველური სიდიადის განუმეორებელი შერძნებები. მწერალს მრავლად მოეპოვება კლასიკური შემოქმედების უკვდავი მარ-გალიტები, რომელთა შორისაცაა: „კაცია-ადამიანი?!”,

„მგზავრის წერილები“, „სარჩობელაზედ“, “გლახის ნაამბობი“, „ოთარაანთ ქვრივი“, აქვე დავძენთ პუბლიკაციებსაც: „ვიცინოთ, თუ ვიტიროთ?“, „დავით აღმაშენებელი“, „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“, „ქვათა ღაღადი“ და კიდევ მრავალი. ერის მამის, დიდი ილიას სიბრძნე ის ჩაუქრობელი წმინდა სანთელია, რომელიც საქართველოს მარადიულობას თავად დაუნთო და უფალს შესთხოვა თვისი მამულის, ენისა და სარწმუნოების უკვდავყოფა.

მადლობა ბატონ ელგუჯას, რომ კიდევ ერთხელ შეგვახსენა, აღგვინთო გულები და გაგვიცოცხლა ერის უდიდესი მამა – დიდი ილია.

ანზორ ჯაფარიძე.

ვუძღვნი ჩემი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების, ძვირფასი ადამიანების – ჟენია დადუნაშვილის (დუცხუნის 8-წლიანი სკოლის დაწყებითი კლასი), ნუნუ თავაძე-ადეიშვილის, თამარ ადეიშვილის და ვალერიანე ადეიშვილის (ყუმურის საშუალო სკოლა) ნათელ ხსოვნას.

წინასიტყვაობის მაგიერ

რამდენიმე წლის წინ ვიმყოფებოდი ჩემი ახლო მეგობრის - თემურ კაკაბაძის მამაპაპისეულ სახლში, ხობის რაიონის სოფელ ხეთაში.

ამ საინტერესო და განათლებული ხალხის საოჯახო ბიბლიოთეკაში აღმოვაჩინე მწერალ კლიმენტი გოგიავას ბიოგრაფიული რომანი - **„ილიაობა“** (დაზიანებულ მდგომარეობაში), რომელიც გამოცემულია 1973 წელს, მაშინდელი ბეჭდვითი ორგანოს „საბჭოთა საქართველოს“ მიერ.

მცირედი მონაცემები ხეთელი კაკაბაძის ცხოვრება-მოღვაწეობისა და საინტერესო წიგნის არსებობის შესახებ შემდეგია: როგორც სიტყვიერად გადმომცეს, აღნიშნული ისტორიული წიგნი ანზორ კაკაბაძის (ჩემი მეგობრის მამა) ოჯახში სამახსოვროდ მიუტანია მის მამიდაშვილს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცნობილ ფილოლოგს (პროფესორი) ვახტანგ (ვატო) როდონაიას. თვით ანზორ კაკაბაძე და მისი მეუღლე ციალა თოდუა იყვნენ ღვაწლმოსილი პედაგოგები, რომლებიც მოღვაწეობდნენ ხობისა და ხეთის სკოლებში.

ბიოგრაფიული რომანი **„ილიაობა“** დაბეჭდილია 358 გვერდზე და მოიცავს საქართველოს უგვირგვინო

მეფის, დიდი ილია ჭავჭავაძის, ბიოგრაფიული ხასიათის საკმაოდ ვრცელ და უნიკალურ მასალებს.

გასული საუკუნის შესანიშნავი მწერალი კლიმენტი გოგიავა მივიწყებული ქართველი მწერლების სიაში რომ არ მოხვდეს, მისი სახელის უკვდავყოფის მიზნით, გადავწყვიტე ბიოგრაფიული რომანიდან „ილიაობა“ გამეცოცხლებინა ეპიზოდები, რომლებიც უშუალოდ ეხება ჩვენი ქვეყნის უდიდესი ადამიანების ისტორიული, დოკუმენტური და შემოქმედებითი ურთიერთობის უაღრესად საინტერესო პროცესებს.

გარდა ამისა, მე როგორც ს.ს.„საქართველოს რკინიგზა“-ს ერთ-ერთ მოკრძალებულ მუშაკს, წიგნიდან ეპიზოდების გამოქვეყნების სურვილი გამიმძაფრდა ძალზე საინტერესო სტილში გადმოცემული „თემის“ შემდეგ, თუ როგორ იყო დაინტერესებული ილია ჭავჭავაძე კახეთის მხარეში რკინიგზის მშენებლობის აუცილებლობით.

ვფიქრობ, ეს წიგნი საინტერესო იქნება ყველა ასაკისა და კატეგორიის მკითხველი საზოგადოებისათვის.

P.S. კლიმენტი გოგიავას ბიოგრაფიული რომანიდან „ილიაობა“, პუბლიცისტური ნაშრომის წიგნად გამოცემის მომზადებისას, იმასთან დაკავშირებით, რომ შემდგომში არ წარმოშობილიყო სხვადასხვა სახის გაუთვალისწინებელი მომენტები და იგი სადაო არ გამხდარიყო, მის დასაზუსტებლად, თუ რეგისტრაციის მიხედვით აღნიშნულ რომანზე ვინ ფლობდა ქონებრივ უფლებებს და რა დროიდან - დახმარებაზე თხოვნა გაიგზავნა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საქპატენტი“, საიდანაც ცნობილი გახდა (N01-05/233 08.06.2020წ), რომ არ გააჩნდათ ინფორმაცია, მითითებულ ნაწარმოებზე თუ ვინ ფლობდა საავტორო უფლებას, შესაბამისად მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას დაეკმაყოფილებინათ თხოვნა. ამასთან, რეკომენდაცია იყო საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციაში საკითხის გარკვევა. ცნობილი გახდა (29.06.2020 - **skurashvili@gca.ge**), რომ მემკვიდრე ან/და მისი საავტორო ქონებრივი უფლებების მფლობელი პირი არ იყო გაწევრიანებული ასოციაციაში, რომლის გარდა დამატებითი ინფორმაცია მათთან არ არსებობდა.

წიგნის გამოცემისათვის აუცილებელი მასალების მოპოვებაში სათანადო დახმარების გაწევისათვის, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველოს“ ნამდვილი წევრი, პოეტი - მამუკა ძაძამია, იმსახურებს მადლობას.

ელგუჯა ადეიშვილი

დაიბადა 1948 წელს ვანის რაიონის სოფელ ყუმურში, მოსამსახურის ოჯახში.

1973 წელს დაამთავრა მოსკოვის კოოპერაციული ინსტიტუტი და მიენიჭა ეკონომისტის კვალიფიკაცია. 1996 წელს დაასრულა უნივერსიტეტი „აჭარა“-ს სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი. 1986-1989 წლებში ირიცხებოდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის აღრიცხვის, ანალიზის და კონტროლის კათედრის მაძიებლად. 2000-2006 წლებში გაიარა: აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროგრამით განხორციელებული საგადასახადო სისტემის რეფორმასთან დაკავშირებული საკვალიფიკაციო ტრენინგები; აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტის ეგიდით ორგანიზებული და გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში ჩატარებული ტრენინგები. 2010-2011 წლებში წარჩინებით დაასრულა თავისუფალი უნივერსიტეტის - პროფესიული განვითარების პროგრამა (CBA (Certified Business Administrator)).

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1971 წელს. მუშაობდა სპეციალობით და სხვადასხვა თანამდებობებზე -

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში, ფინანსთა სამინისტროში, საგადასახადო სამსახურში, კონტროლის სახელმწიფო კომიტეტში, კონტროლის პალატაში, საბაჟო დეპარტამენტში, ამჟამად მუშაობს ს.ს."საქართველოს რკინიგზა"-ს კონტროლის, მონიტორინგის და ინსპექტირების დეპარტამენტში.

მინიჭებული აქვს საგადასახადო სისტემის ოპერატიული სამსახურის კაპიტნის წოდება.

გახლავთ ქტიტორი მშობლიურ სოფელ ყუმურში წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მშენებლობისა.

2010 წლის ივნისის თვეში, ვანის საკათედრო ტაძრის გახსნასთან დაკავშირებით, საჩუქრად მიიღო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ისაგან - „საგალობლები"-ს ალბომი, ხოლო შემდგომში საქართველოს საპატრიარქოს, ვანისა და ბაღდათის ეპარქიის მეუფე ანტონისაგან - „სამკერდე ნიშანი".

2010 წლის 25 ნოემბერს, ვანისა და ბაღდათის ეპარქიაში გამართულ საზეიმო შეხვედრაზე, ელგუჯა ადეიშვილს გადაეცა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის "დალოცვის სიგელი".

ვანის რაიონის გამგეობისა და ეპარქიის მღვდელმთავრის ერთობლივი გადაწყვეტილებით, რაიონის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის,

2016 წელს იგი არჩეული იქნა ვანის საპატიო მოქალა-ქედ და გადაეცა საპატიო სიგელი.

ელგუჯა ადეიშვილი არის საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა - საქართველოს“ აკადემიკოსი, გაზეთ „ქალდეა“-ს სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე.

პუბლიცისტური წერილები გამოქვეყნებული აქვს გაზეთ „ქალდეა“-ს სხვადასხვა ნომრებში.

მას ერგო წილად იყოს პოეტი-აკადემიკოსის ვაჟა ეგრისელის „კოლხური ფსალმუნები“-ს ოცდაათ-ტომეულის, 25-ე ტომის გამომცემლობის რედაქტორი (გამომცემლობა „უნივერსალი“ 2019წ.).

ელგუჯა ადეიშვილს გამოცემული აქვს წიგნები - „ქართული სიწმინდეები“ (გამომცემლობა „უნივერსალი“ 2019წ.), „ჭალასამზიარი“ (გამომცემლობა „უნივერსალი“ 2020წ.), რედაქტორი ვაჟა ეგრისელი; ლექსების კრებული - „აკაციის ყვავილობა“ (გამომცემლობა „უნივერსალი“ 2020წ.). მომზადებული აქვს გამოსაცემად რომანი - „ჯვარიქედიდან დანახული“.

მის შესახებ გამოქვეყნებულია მასალები სხვადასხვა წიგნებში და გამოცემებში:

- „ვანი ოქრომრავალი ქვეყანა“ (ოთხტომეული) (მწე-რალი საზოგადო მოღვაწე ბადრი სვანაძე, გამომცემლობა ქუთაისი 2012 - 2015წწ.).
- ტომი N3 „ქტიტორი“ (ვანის მუნიციპალიტეტის ყუმურის

წმინდა გიორგის სახ. ეკლესიის მშენებლობასთან დაკავშირებით).

- ტომი N4 მისი მშობლების შესახებ მოგონებები და სარწმუნოებრივ თემაზე ნაშრომი.

– „აღსარება“ (შემოქმედებითი თემა - აკადემიკოსი ანზორ ჯაფარიძე. გამომცემლობა „ივერიონი“ 2015წ.).

- „არ დავიწყება მოყვრისა (შემოქმედებითი და ბიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოები - თეიმურაზ ადეიშვილი, იური ადეიშვილი, გამოცემული 2019 წელს).

- ვანის მუნიციპალიტეტის პერიოდული დამოუკიდებელი გაზეთი „საჩინო“ (რედაქტორი ნატო მეფარიშვილი) (ბიოგრაფიულ-შემოქმედებითი მონაცემები რამდენიმე ლექსთან ერთად, 2019 წელი, სექტემბერი).

- ჟურნალი „ათინათი“ - წიგნი „ქართული სიწმინდეები“, რამოდენიმე ლექსი (N1 (35) და N2 (36), 2020 წელი).

ჰყავს მეუღლე - თინათინ გეგეშიძე, უმაღლესი განათლებით (ფილოლოგი); შვილები - კონსტანტინე ადეიშვილი, დაბადებული 1979 წელს, დამთავრებული აქვს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი და შალვა ადეიშვილი, დაბადებული 1984 წელს, დამთავრებული აქვს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი; ოთხი შვილიშვილი.

ყვარელი

I

მამამ ილიას თბილისიდან საწერი ქაღალდი ბლომად ჩამოუტანა.

- აჰა, წერე და წერე!

გრიგოლს მოსწონდა შვილის ნაწერი. ლამაზად გამოყვანილი ასოები.

ილიამ ერთ ფურცელს თავისი სახელი და გვარი დააწერა.

- სწორი არ არის, - დაუწუნა მამამ, - აქ ორი მთავარი სიტყვა კიდევ აკლია! - და ნაწერს ხაზი გადაუსვა. - ამიერიდან როგორც მე გეტყვი, ისე დააწერე ქაღალდს, წიგნს, ყველაფერს!

ილიამ ახალი ფურცელი დაიდო წინ. გრიგოლმა უკარნახა:

- თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე.

ილიამ გულმოდგინედ გამოიყვანა ასოები.

- აი ასე, შვილო, ასჯერ დაწერე, ტვინში ჩაგეჭედება, მერე არასდროს არ დაგავიწყდება.

გრიგოლი ნადიმის თადარიგს იჭერდა. ამის მიზეზიც ჰქონდა. სამიოდე წლის წინათ თავადების სიაში შვილების ჩარიცხვა ითხოვა. დროზე პასუხი ვერ მიიღო, ბოლოს, ძლივს ეღირსა დასტური. ეს გასახარელი ამბავი თბილისიდან საწერ ქაღალდთან

ერთად ჩამოიტანა. ვინ იცის, რამდენი ფიქრი, რამდენი ჯავრი დაადნა გულზე, სანამ ეს საქმე დაგვირგვინდებოდა. ახლა შვილმა თავისი ღირსების მაჩვენებელი სიტყვა რომ არ დაწერა, ეწყინა.

ილია ლამფის შუქზე თავაუღებლად წერდა. სამი ფურცელი გადააშავა და მერე ძილმა წაიღო.

გათენდა. სახლში ვეღარ გაჩერდა, მასწავლებლისთვის უნდა ეჩვენებინა ეს ლამაზი ასოებით ნაქარგი ქაღალდი. ამიტომ სკოლაში ადრე მივიდა და რვეული ნიკოლოზ მასწავლებელს გადასცა.

- ნახეთ ჩემი ნაწერი.

ნიკოლოზს გაეცინა - „მარტო სახელიღა შერჩა გრიგოლს, სახრავი კი გამოელია“. მერე ილიას ქოჩორზე ხელი გადაუსვა.

- კარგად დაგიწერია. წიგნი არ ჩამოუტანია? - ჰკითხა ნიკოლოზმა.
- ვერ უშოვია.

ნიკოლოზ სეფაშვილი წარმოსადეგი ვაჟკაცი იყო, გამხდარი, მკრთალი სახისა, მაგრამ ამ სიგამხდრეს ხელი არ შეუშლია ყვარელში ფალავნის სახელი მოეხვეჭა, მისი წამქცევი და მომრევი არავინ იყო.

ნიკოლოზი ღმერთსაც კარგად ემსახურებოდა, ყვარლის თომა მოციქულის ეკლესიაში მთავარ დიაკვნად მუშაობდა. ამ ხელობას მან სოფლისთვის უფრო საჭირო და აუცილებელი საქმე შეუთავსა, - ეს იყო

მასწავლებლობა. როცა ჟინი აიტანდა, შავ ანათვორას კუთხეში მიაგდებდა და მოედანზე ტოლ-სწორებს იწვევდა. ჭიდაობაში გამარჯვებულს, გადაბმული ქეიფი და დროსტარება ვერ ერეოდა. სკოლას მაინც არ აცდენდა, მოწაფეებს მზრუნველ მამასავით ეპყრობოდა.

ბიჭებს თავი მოჰქონდათ, რომ ასეთი ღონიერი მასწავლებელი ჰყავდათ.

ყვარელს კი სკოლა არ ჰქონდა. ილიამ წერა-კითხვა ისე შეისწავლა, რომ მერხი, დაფა, ცარცი და, რაც მთავარია, სახელმძღვანელოც კი არ უნახავს.

კარგ ამინდში ნიკოლოზი ბავშვებს ეზოში მუხის ქვეშ ფეხმორთხმით დასვამდა ხოლმე, თვითონაც წინ დაუჯდებოდა, და მანამ ხმას არ ამოიღებდა, სანამ არ გაინაბებოდნენ.

იმ დღეს ნიკოლოზმა გაკვეთილზე გაზეთი „თბილისის უწყებანი“ მიაწოდა ილიას.

- აქ ერთი კარგი ლექსია მოთავსებული და წაიკითხე.

ილიამ კითხვა დაიწყო. პირველსავე სიტყვაზე სიცილი გაისმა.

- რა არის სასაცილო? ლექსს „ძილი“ ჰქვია. ძილი არ გაგიგონიათ? გაჩუმდით! - გაისმა მასწავლებლის დაბალი ხმა.

- ილიას თვითონ უყვარს ძილი! - უადგილოდ იხუმრა ალექსიმ.

აიმღვრა ილია, მსუქან ლოყებზე ცეცხლი წაეკიდა.

- ეს ლექსი ზეპირად ვიცი! - უთხრა მან მასწავლე-ბელს და გაზეთი გაუწოდა.

„თბილისის უწყებანი“ ილიას შინაც ჰქონდა, მარიამი თითქმის აზეპირებინებდა მის თითოეულ წერილს, ლექსს მით უმეტეს. ისე როგორ გაუშვებდა, რომ ბიჭისათვის სხაპასხუპით არ ესწავლებინა. იცოდა ეს მასწავლებელმა, ამიტომ გაჯავრებულ ილიას გაზეთი გამოართვა და ამხანაგის ზურგს ამოფარებულ ალექსის დაუძახა:

- ძილი რომ არ გიყვარს, გამომართვი და წაიკითხე.

ალექსიმ გაზეთი გამოართვა, ორი სტრიქონი ძლივს ამოიკითხა და მერე თავი ჩაღუნა.

- განაგრძე!

განაგრძო. ასოების მარცვლას მოჰყვა, მაგრამ მერე სიმწრით წაკითხულს თავი ვეღარ მოაბა.

ილიას გულმა ვეღარ მოუთმინა. შეებრალა ცუდ დღეში ჩავარდნილი ამხანაგი და მიეშველა.

- გაჩუმდი! - გააფრთხილა მასწავლებელმა და ალექსის გაზეთი გამოსტაცა.

- სირცხვილი შენ, კითხვა ვერ ისწავლე! - მერე მოწაფეებს მიუბრუნდა: - „ძილი“ პუშკინის ლექსია, ქართულად თარგმნილი, შემდეგ გაკვეთილზე გადაგაწერინებთ და ისწავლეთ.

მასწავლებელმა „თბილისის უწყებანი“ გვერდზე გადადო და მაგიდის უჯრიდან ვარდისფერი ქაღალდი ამოიღო. მოწაფეებმა იცნეს, დავით გურამიშვილის „სწავლა მოსწავლეთა“, გუშინ ამ ლექსის პირველი რვა სტრიქონი თითოეულ მოწაფეს ხუთჯერ მაინც წააკითხა. მერე გადააწერინა და საზეპიროდ მისცა. დღეს გამოკითხვას აპირებდა. ამას მაშინვე მიხვდნენ ბიჭები. ყველა მასწავლებელს მიაჩერდა. მკვესავი თვალებით შეემუდარნენ, არა მე გამიძახე, არა მეო. ნიკოლოზმა შეატყო, რომ გაკვეთილი ყველამ იცოდა, არც ერთს არ ჰკითხა და მოულოდნელად გამოაცხადა:

- მოემზადეთ საწერად!

მოწაფეებმა გრძელი, დახაზული ქაღალდები, რვეულებად აკინძულები, წინ დაილაგეს. ზოგი რვეული ვარდისფერი იყო, ზოგი ლიმონისფერი და ზოგიც თეთრი. ვის როგორი ეშოვნა, ისეთი მოეტანა.

- გურამიშვილის ლექსს ვაგრძელებთ, პირდაპირ მიჰყევით წინათ ნაკარნახევ სტრიქონებს.

შეუდგნენ წერას. ნიკოლოზი აღტაცებული კითხულობდა ლექსს, ხან აუწევდა ხმას, ხან დაუწევდა. მორჩილ მოწაფეებს თავიანთი გაუწვრთნელი ხელებით ოჩხობოჩხოდ გამოჰყავდათ ქართული ასოები.

წერას გვიან მორჩნენ.

მასწავლებელი სახელით მიმართავდა მოწაფეებს, რადგან მასთან ექვსი ჭავჭავაძე სწავლობდა.

- ილია, ამ ლექსის რომელი ადგილი უფრო მოგეწონა?

ილია წამოდგა, თვალი უცებ გადაავლო ქაღალდს და მიუგო:

- თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი.

ალექსის ენამ გაუსწრო და წამოიძახა:

- სწორია!
- ამდენი თუ გესმის, რატომ ბეჯითად არ სწავლობ?! - გაუწყრა მასწავლებელი.

კითხვასა და წერას გვიან მორჩნენ. მასწავლებელმა სახლიდან ნაჭრის ბურთი გამოიტანა. წესად ჰქონდა, ბურთს იმ ბავშვს გადასცემდა, რომელსაც გაკვეთილი კარგად ჰქონდა მომზადებული.

მაღლა ასროლილი ბურთი ილიამ ჰაერში დაიჭირა. თამაში დაიწყო.

მალე გახურდნენ ბიჭები. ბურთი ხელიდან ხელში სწრაფად გადადის, ილია მარდად ვერ დარბის, ტოლ-სწორები უსწრებენ, სტაცებენ ბურთს.

მასწავლებელმა ერთხანს უყურა ბიჭების გაწამაწიას, მერე კაკლის ხის ჩრდილში მოიკალათა და პლატონ იოსელიანის ახლახან გამოცემული ქართული გრამატიკის წიგნი გაშალა.

ბავშვებმა ყვირილსა და ღრიანცელს უმატეს. ეს არ მოეწონა მასწავლებელს და გასძახა:

- ნუ ყვირით, ენით ხომ არ თამაშობთ?!

ცოტა ხნის შემდეგ თვითონაც მოვიდა თამაშის გუნებაზე და იკითხა:

- ვინ იგებს?
- ჩვენ! -ამაყად მიუგო ალექსიმ. ამასობაში მისმა ბიჭებმა იყოჩაღეს და ორი ბურთი კიდევ გაიტანეს.

ალექსი მაშინვე გამოექანა, ილიას გაშლილ ზურგზე შეახტა და გახარებულმა დასძახა: პაწიაწო, პაწიაწო!

ასე მოიქცნენ სხვებიც. წაგებულებმა მხრებზე შეისვეს მოგებულები და სათამაშო მოედანზე გაიქც-გამოიქცნენ.

ბურთი კი დაღმართზე გორებ-გორებით დაეშვა. ენაგადმოგდებული ფინია იქვე, ჩრდილში რომ დაცუცქულიყო, ყეფა-ღრენით გამოუდგა ბურთს.

თავჩაღუნული და გაჯავრებული ილია მძიმედ დააბიჯებს.

მასწავლებელს ილიას ის ნაწერი მოაგონდა, წეღან რომ მოიტანა და გაეცინა. „ჰაი, დედასა, რა დღეში ხარ,

თავადო, მამაშენმა რომ დაგინახოს, გული გაუსკდება“ და მისდაუნებურად გასძახა:

- კარგი, ალექსი, გვეყოფა!

გლეხის ბიჭი მაშინვე ჩამოხტა.

მაგრამ ილიამ ეს იუკადრისა.

- ბატონო მასწავლებელო, კანონი კანონია, რაკი წავაგე, კიდევაც უნდა დავისაჯო! - და ალექსის ზურგი მიუშვირა.

- პაწიაწო! - დასჭყივლა ალექსიმ, მაგრამ აღარ შეახტა.

ბიჭები აღარ დარბოდნენ.

მასწავლებელმა ილია გააფრთხილა:

- შვილო, მამაშენმა არ გაიგოს, ალექსი რომ ზურგზე გეჯდა, თორემ ეწყინება.
- თამაში დამთავრდა. ბიჭებმა სული მოითქვეს, წყალი დალიეს, შინიდან მოტანილი შოთითა და გუდის ყველით შიმშილი მოიკლეს.
- ილია ჭამის გუნებაზე არ იყო. ნაზუქი შუაზე გადატეხა და ნახევარი ალექსის მოაწოდა.

უყვარდა ეს ენამწარე ბიჭი. ბევრი ლექსი იცოდა, ფანდურსაც კარგად უკრავდა და სიმღერაც ემარჯვებოდა.

ალექსიმ გამოართვა ნაზუქი და ჩაკბიჩა. მოეწონა, მაგრამ მადლობის მაგიერ მწარედ უთხრა:

- ასეთ ნუგბარ საჭმელს რომ მიირთმევ, იმიტომ ხარ

მსუქანი, სირბილ-თამაშის შნო არა გაქვს.

- მაშ რა, წიწაკა ვჭამო?

- რატომ არა, მარგებელია.

- წიწაკას რომ ეტანები, ამიტომ გაქვს მწარე ენა!

- არ იცი რო ...

- როგორც გატყობ, ამ ნაჭერზე გიჭირავს თვალი, აჰა გამომართვი.

- რომ გავსუქდე? - ჩაიცინა ალექსიმ და ხელი გაუწოდა, მაგრამ ილიამ ნაზუქი თვითონ ჩაკბიჩა.

ალექსის გაწბილება ეწყინა, მაგრამ არ შეიმჩნია, გაშვერილი ხელით ქოჩორი გაისწორა.

- შეგენანა?! - მკაცრად ჰკითხა მან.

- ვაითუ ჩემსავით გასუქდე! - მიუგო ილიამ.

მეორე დღეს მოწაფეები სკოლაში ადრე მივიდნენ. მაგიდას შემოუსხდნენ, ზოგმა წიგნი გაშალა, ზოგმა რვეული, ზოგმა ფანქარი ამოიღო და ხატვას შეუდგა.

მასწავლებელი გვიან გამოვიდა. ანაფორა გაეხადა, ტილოს შარვალ-ხალათი ეცვა, კეფაზე თუშური ქუდი მოეგდო, მოწაფეებს გაუცინა და უთხრა:

- წიგნები გადავდოთ, დღეს ჭიდაობაა!

ცას ეწივნენ ბიჭები. წიგნები ფაციფუცით ისევ ჩანთებში ჩაალაგეს.

- კი მაგრამ, სად იქნება ჭიდაობა? - იკითხა ერთმა.

- რიყეში, წამოდით.

ბიჭებმა ჩანთები ამოიღლიავეს და უკან გაჰყვნენ

მასწავლებელს.

- დღეს მე არც მასწავლებელი ვარ, არც მთავარი დიაკონი ნიკოლოზი. დღეს ნიკა ვარ, გესმით, ბიჭებო?! რომ წავაქციო, დასცხეთ ტაში და ყიჟინა, თუ დავმარცხდე, ტაში მაშინაც არ დაიშუროთ, ახია ჩემზე, გესმით?!

- არა, თუ წაგაქციეს, ტაშს არ დავუკრავ! - უთხრა ილიამ.

- ვითომ რადაო, გამარჯვებულს ტაში და შექება არ უნდა? - ჰკითხა ნიკოლოზმა.

- უნდა, მაგრამ მასწავლებელი თუ დამიჯაბნა, ტაში რა გულით დავუკრა? - კითხვა შეუბრუნა ილიამ.

- არა, არა, არ დავუკრავთ ტაშს! - აყაყანდნენ ბიჭები.

ამასობაში გზიდან გაიმინდვრეს და რიყეც გამოჩნდა. იქ უკვე ხალხს მოეყარა თავი.

- ვა, ჩვენი მთავარი თავისი ჯარით მოდის! - იხუმრა ვიღაცამ.

ყველამ ნიკოლოზისკენ მიიხედა. ნიკოლოზი დინჯად მიდიოდა, ზოგი მოწაფე წინ მიუძღოდა, ზოგი უკან მისდევდა, ილია გვერდში მიჰყვებოდა, ფეხს ძლივს უსწორებდა, უფრო მორბოდა, ოფლში გაღვრილი.

- დღეს ვის ეჭიდავები? - გვიან ჰკითხა ილიამ. ბიჭებიც დაინტერესდნენ.
- თქვენ არ იცნობთ, სიღნაღელია.

- გამოგიწვიათ?

- მე არა, მაგრამ მარჯაანთ სტუმარია. სუფრაზე დაუტრაბახებია, ყვარლელები რას გამიძლებენო. ბიჭები გაბრაზებულან და გამოუწვევიათ. მეც ახლახან შემატყობინეს, იქნებ ღმერთი გაგვიწყრეს, დაგვეხმარეო.

- თქვენ რას გაგიძლებთ! - უთხრა ილიამ.

- ვითომ რა იცი? - გაეცინა ნიკოლოზს.

- ვიცი, ვიცი! - თავი დაუქნია ილიამ. ილიას სხვებიც არ ჩამორჩნენ.

- თქვენ ღონიერი ხართ!

- ჯერ ვინმეს ხომ არ წაუქცევიხართ? - ზედიზედ აყრიდნენ კითხვებს ბიჭები.

მოედანს მიადგნენ.

მეტოქე ჯერ არ იყო მოსული. ყვარლელები კი აჩქარებულიყვნენ, ზოგი ცხენით წამოსულიყო. ფალავანი ლექსოც აქ იყო. მისი ცხენი იქვე, ბზის გადაბრეცილ ხესთან იდგა, თვითონ ნიკოლოზის შესაგებებლად წამოვიდა.

- ლექსია, რომ მცოდნოდა, შენ აქა ხარ, მე არ მოვცდებოდი! - უთხრა ნიკოლოზმა და ხელი ჩამოართვა.
- არა, კოლა, შენ საჭირო ხარ.
- სიღნაღელმა ასე როგორ შეგაშინათ?! - იკითხა გაკვირვებულმა ნიკოლოზმა.

- ტრაბახა კაცი ეშმაკიც არის, მე ეშმაკობის მეშინია, თორემ, ღონითა და ხერხით არაფერს გავატან.
- მოდის! მოდის! - იხუვლა მოედანმა.

შარაგზაზე ჯერ მტვერი დატრიალდა, მერე ცხენოსნები გამოჩნდნენ. გაღმაუბნელი მარჯანიშვილები მოდიოდნენ. მოჰყავდათ თავისი საამაყო სტუმარი.

სიღნაღელმა რიყეზე ხალხი რომ დაინახა, ვერ მოითმინა, ცხენი გამოაქანა და პირველი მოვარდა მოედანზე.

- გამარჯობათ, ხალხნო! - ამაყად დაიძახა მან.
- გაგიმარჯოთ, გაგიმარჯოთ! - დაიგუგუნეს მასპინძლებმა.

სიღნაღელი დაბალი იყო, ჩასკვნილ-ჩაგრეხილი, ქოსმენივით ჩასუქებული. ცხენიდან მარდად გადმოხტა, მათრახი და აღვირი ბიჭს გაუწოდა, მარცხენა მხარი ჩამოწეული ჰქონდა, ეტყობოდა, ღონიერი იყო. გზა დაუთმეს, სქელი კისერი მიაბრუნ-მოაბრუნა, ცხელი თვალი ყველას მოავლო.

ხალხში მაშინვე ჩუმად გაისმა:

- რა ჯანის პატრონია?!
- ეტყობა, თოხსა და ბართან მწყრალად არის, თორემ ასე რამ გაასუქა?
- ამბობენ, ერთი ჭედილაც არ ყოფნისო.
- მამა უცხონდა, სხვისი მონაგარი შეიძლება ორიც შე-

ჭამოს, მაგრამ ერთი თვითონ იშოვოს?

ილიას ეს ლაპარაკი ესმოდა და ფერფური მისდიოდა, მასწავლებელი არ წამიქციოსო.

დოლის ბაგაბუგმა ხალხი ჭიდაობის ეშხზე მოიყვანა. მოედანზე პირველი ლექსია გამოვიდა. თივის ბულულები მისწი-მოსწია და თავისი ძმაკაცების წინ დადგა, მეტოქეს ელოდებოდა, მაგრამ სიღნაღელი თავს იფასებდა, აგვიანებდა.

- გამოდი, გამოდი! - ვეღარ მოითმინა ვიღაცამ.

მოედანზე თმაქოჩორა ბიჭი გამოვიდა, ლექსოსთან მიირბინა, მკლავზე რომ ვერ შესწვდა, მუხლზე სტაცა ხელი და უთხრა:

- ჩემი ღონე შენ!

ეს ბიჭი ნიკოლოზის მონაფე იყო, ზალიკა ჭავჭავაძე. მას ილიამაც მიჰბაძა, მოედანზე ბურთივით გამოგორდა, ფალავანს წაეტანა და უთხრა:

- ჩემი ღონე, შენ!

სიღნაღელი კიდევ არ ჩანდა. ბუჩქებს მოფარებული ცხენებთან იდგა. ესეც მისი ხერხი იყო, უნდოდა გახურებული მეტოქე მოლოდინით მოექანცა.

ხალხსაც გული გაუწყალდა, ტაში დასცხეს, მედოლეც ხალხს აჰყვა. გვიან გამოვიდა სიღნაღელი. ლექსოს ბიჭები ეხვეოდნენ, თავიანთ ძალ-ღონეს აძლევდნენ.

- გეყოფათ, გეყოფათ! - ლექსომ ბიჭები ჩამოიშორა და სტუმარს შეეგება, ჯერ შორიდან თვალით მოსინჯეს ერ-

თმანეთი, მერე ხელი ჩამოართვეს... ერთ წუთში ჭიდაობა გახურდა, ფალავნებს ტანზე ბუღი ასდიოდათ. ძლიერი და ღონიერი გამოდგა სიღნაღელი, მაგრამ არც ყვარლელი იყო ჯაბანი, დიდხანს ანჯღრიეს და ამტვრიეს ერთმანეთი, ბოლოს სიღნაღელის ხერხმა გასჭრა, ელვასავით მხარზე მოიგდო ამხელა კაცი და დასცა.

გული ჩასწყდათ მოწაფეებს. ტაში არც ერთს არ დაუკრავს, თავები ჩაქინდრეს. ნიკოლოზმა კი თავისი ჯამივით მრგვალი ხელები ერთიმეორეს შემოჰკრა, მას სხვებიც აჰყვნენ, მაგრამ მათ ტაშს სიხარულის ცეცხლი აკლდა.

სიღნაღელი შუა მოედანზე გამოიჯგიმა, დოინჯი შემოიყარა და დაიბუბუნა:

- შემდეგი გამოვიდეს, მეჩქარება!

კიდევ სამმა ყვარლელმა ჭამა სირცხვილი.

აფეთქდა გრიგოლ ჭავჭავაძე, გაგულისებული მივარდა ნიკოლოზ სეფაშვილს:

- აქ რას ჩამომჯდარხარ, ბალღებში, სირცხვილი გსიამოვნებს?!

სანამ სეფაშვილი უპასუხებდა, სიღნაღელის ყვირილი გაისმა:

- შემდეგი გამოვიდეს, მეჩქარება!
- გადი, რას აყოვნებ?! - ბობოქრობდა გრიგოლი.
- ცეცხლივით ხომ არ ვეცემი, კაცმა ჯერ სული მოითქვას

- დასვენებას ელოდები?
- მაშა, ოფლი შეაშრეს.
- უცნაური კაცი ხარ, მოიტა ხელი!

ნიკოლოზმა ხელი გაუწოდა.

- ჩემი ღონე შენ! - უთხრა გრიგოლმა.

სეფაშვილმა ხალათი გაიხადა და მოედანზე გადაეშვა, მაშინვე ეცა სიღნაღელი.

ბიჭებს გული დასწყდათ, ვეღარ მოასწრეს მასწავლებლისათვის თავიანთი ღონის „მიცემა“ და ახლა, გახურებული ჭიდაობის დროს, ჩუმად გაიძახოდნენ:

- ჩემი ღონე შენ!
- ჩემი ღონე შენ!
- გაჩუმდით! - უყვირა გრიგოლმა, მაგრამ ჭიდაობის ცეცხლმა უფრო გააფიცხა ისინი, ხმას აუწიეს.

სიღნაღელმა სეფაშვილს დიდხანს გაუძლო, მაგრამ ბოლოს მუხლმა უმტყუნა. ტაში და ყვირილი ერთიმეორეში აირია. კარგი რამ იყო მოწაფეების მალაყი და ცეკვა, დოლის ბაგაბუგი.

გრიგოლმა ამ აურზაურში კარგად დაინახა, სეფაშვილმა როგორ გაშალა მკლავები სიღნაღელის გადასახვევად, მაგრამ დამარცხებულმა ფალავანმა ზურგი შეაქცია და გაიქცა.

სამაგიეროდ გრიგოლმა ჩაიკრა სეფაშვილი.

- გაგახარა ღმერთმა, რომ გამახარე! - მაშინვე ჯიბიდან

რევოლვერი ამოიღო და გაუწოდა, - ახლა საჩუქრად ეს გქონდეს, შემდეგ პატივისცემა ჩემზე იყოს.

II

ილია მუხის ჩრდილში იჯდა, სალამურს უკრავდა. ლერწმის მოხატული სალამური ხან ბულბულივით სტვენდა, ხან საჭიდაოს აუღერებდა.

ხელზე შეჩვეული ლომა იქვე ბალახს სძოვდა. ჩიჩხვინა კუდით აბეზარ ბუზებს იგერიებდა.

უცებ ლომამ მიაბღავლა და ჩაიკეცა.

ილიამ სალამური ხელიდან გააგდო. მისი გაჭირვების ტალკვესი ნიკა პაპა იყო. მაშინვე რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაიყვირა:

- ნიკაა, ااااي, ნიკა!
- რა იყო, შვილო, მგელია?
- მიშველე .....

ილია ლომას ირგვლივ დარბოდა, ტიროდა, ხბოები დაფრთხნენ და გაიქცნენ მდინარისაკენ.

ნიკა პაპამ მოირბინა, გასავათებულ ლომას რომ შეხედა, იყვირა:

- მგელი ყოფილა!
- მგელი?!

- ჰო, ჰო, აბა, წყალი, წყალი!

ქელშურა გუდა ზურგიდან მოიხსნა და მდინარისაკენ გაიქცა, მას ილია დაედევნა, მოიტანეს ცივი წყალი და ლომას გადაასხეს, ლომა არ განძრეულა.

გუდას წყლით მეორედ რომ ავსებდნენ, ილიამ მოუთმენლად ჰკითხა:

- მგელი რომ ახსენე, სად არის მგელი?
- ნამდვილი მგელი კი არა, მიწის მგელია, მე დავინახე, აბა, ჩქარა!

ბუღა რომ კარგად ამოლუმპეს, წამოდგა, ცოტაზე წაბარბაცდა და დაიზმუვლა.

- აწი არა უშავს, არ მოკვდება! - გაეხარდა ნიკა პაპას.
- კი მაგრამ, რა მოუვიდა?
- სიკვდილი, დროზე მივეშველეთ, თორემ დაიღუპებოდა.
- წყალმა უშველა?

- უშველა, მიწის მგელი ეცა, შვილო, ამ ავადმყოფობის მალამო წყალია, ხურვებას ტანიდან უცებ გამოდენის.

- ეეხ, საბრალო ლომა, მამამ მითხრა სახარედ მინდაო; მე უნდა გავხედნო, ამიტომ ვუვლი, ჩუმჩუმად პურსაც კი ვაჭმევ.

- ღვინოს თუ ასმევ? - გაიცინა პაპამ და თეთრი თმით დაფარული კისერი მოიქექა.

ილია მიხვდა, რასაც უმიზნებდა მოხუცი. კარვისაკენ გაიქცა, მალე ღვინო, პური და ყველი მოარბენინა, გულ-

მა ვერ მოუთმინა და ნახევარი შოთი ლომას აჭამა, მერე მწვანეზე სუფრა გაშალა, სურა ნიკა პაპას მიაწოდა.

დედა ყოველდღე ქინძმარაულით სავსე სურას ატანდა. მდინარის ნოყო წყალი არ დალიო, ციება არ აგყვესო. ილია იმ ღვინოს ხშირად ნიკა პაპას ასმევდა. ნიკა ხმელ თონეულს ვერ ღეჭავდა, ღვინოს ჯამში ასხამდა, შიგ პურს ფშვნიდა და ბოღლიწოს მადიანად შეექცეოდა. ახლაც ასე მოიქცა და ილიაც დაპატიჟა.

- ჭამე, შვილო.
- არა, არ მინდა.
- ჭამე, თორემ ჩემი ლოცვა ვერ გაგაძღებს.

ილიას ბოღლიწოს სუნი გულს ურევდა. ნიკა პაპა კარგად რომ დანაყრდა, ილიას ლეღვის ჩირი მუჭში ჩაუყარა და მერე თავის ნახირს მიაშურა.

ილიამ გადაგდებული სალამური აიღო, მაგრამ მისი დაკვრის გუნებაზე არ იყო. რაც პური დარჩა, სულ იმ ლომას აჭამა, საბრალოს პირიდან დუჟი გადმოსდიოდა. ბალახის ძოვის თავი აღარ ჰქონდა, გაოგნებული და დაღვრემილი იყო.

- რა იყო, ლომა, გული გადამიბრუნე, მართლა მიწის მგელი გეცა? ამოიღე ხმა.

ლომამ თავი ასწია და ილიას შეხედა.

- მიწის მგელმა შეგაშინა? ნუ გრცხვენია, რას იზამ, ჯერ პატარა ხარ. მიდი, შენებურად გაიკუნტრუშე.

ილიამ გავაზე დაარტყა ხელი, მაგრამ ლომამ ნაბიჯიც

არ გადადგა, ყელი მოიღერა და კუდი გაიქნ-გამოიქნია.

ილიამ კარვისაკენ ჯამ-ჭურჭელი წაიღო, ლომა უკან გაჰყვა.

- წამოდი, წამოდი, კიდევ არ გეცეს მგელია, თუ რაღაც ჯანდაბა.

ილია მარტო იყო, მგლის ხსენებაზე ტანში გაჰბურძგლა, შიშმა თავი უჩვენა, თუმცა შინ დედა და მამა მას არასოდეს არ აშინებდნენ. აი, ბუა მოდის, აი, მგელი შეგჭამსო, არასოდეს არ უთქვამთ. თამამად ზრდიდნენ, შიშის ავ გრძნობას არ უნერგავდნენ, მაგრამ ახლა თავისთავად ლომას უეცარმა, სასიკვდილო წაქცევამ, ილია შეძრა. „მე ვერ დავინახე, თორემ ის ნამდვილად მგელი იყო, მიწიდან ამოძვრა, და ამ საბრალოს ეცა“ - ფიქრობდა ილია, უკვე თავის ქოხში თივაზე წამოწოლილი.

ლომა იქვე კართან იდგა, პატრონს უყურებდა.

- სიკვდილს ხომ გადაურჩი, წადი ახლა, ძოვე, გეყო, რაც განებივრე, საშენო პური აღარა მაქვს, - უთხრა ილიამ და მეურმესავით დაუძახა - ეე-ხიი..

ლომას კუდიც არ გაუნძრევია. ცოხნა დაიწყო და წასვლას არ აპირებდა.

- წადი, გეყო, რა შიშიც მაჭამე! - ილიამ კომბალი მოუქნია, შინდის კაუჭა ჯოხმა შეხუთულ ჰაერში გაიშხუილა თუ არა, ლომამ წასვლა იკადრა. ქოხის წინ გადაბიბინებულ მდელოს მიადგა.

საიდანღაც ყვავი მოფრინდა, ბებერ თელაზე შემოჯდა, მოჰყვა ყვა-ყვას.

ილიამ ახლომახლო ქვა ვერსად იპოვა, მერე ჯოხი ესროლა და დააფრთხო.

ლომა ახლოს მივიდა პატრონთან.

- ვიცი, რაც გინდა, - უთხრა ილიამ, სარქეებზე ხელი წაავლო და უკან დაახევინა.

ილია ლომას წვრთნიდა, უნდოდა რქენა და ჭიდაობა ესწავლებინა, მაგრამ პირუტყვი გაუგონარი იყო, არაფერი ესმოდა პატრონის, მარტო სარქეების მოფხანა სიამოვნებდა.

ლომა ახლაც გაყუჩდა. ილიას სარქეების ფხანაში ხელი დაეღალა, მერე თავისი ნაბადი გამოიტანა, მდელოზე გაშალა და ლომას შესძახა:

- აბა, გადახტი!

ლომამ ამჯერად გაუგონა და გადახტა.

გაეცინა ილიას, ნაბადი წაიფრიალა და კიდევ წინ გაუშალა.

- გადახტი, გადახტი, პური არ გინდა?

ლომამ ნაბადს არც კი მიხედა, კუდი აიპრიხა და გაიქცა.

გული დასწყდა ილიას, ქოხში შებრუნდა, ჩანთიდან შაშალიკი ლეღვი ამოიღო და პირი ჩაიტკბარუნა. მერე მინდორზე გაშლილ ხბოებს დაუარა. ერთგული ბათარა მზეში იდგა ენაგადმოგდებული და სიცხისაგან დაზანტებულ ხბორებს თვალს არ აშორებდა.

ჯერ ხბოების წარეკვის დრო არ არის, მაგრამ ილიას ეშინია, საცაა ციება დასცემს და მერე გვიან იქნება.

გუშინ ქოხში დააგდო ციებამ, რაც ცხვრის ტყავი იყო, ნიკა პაპამ ყველა ზედ დაახურა, თავისი გაქუცული ნაბადიც დაუმატა, მაგრამ მაინც ვერ გათბა ილია.

წელან რაღაც ცივად გაჰკრა, პირიც მწარე გაუხდა, შეშინდა და დაეშურა წასვლას. ამიტომ პირველმა გადასძახა მეხბორე ბიჭებს:

- ეე... ოო...

ილიას ხმას თავისი ხმაც დაუმატა ხევმა.

ბათარამ იცოდა, ეს ძახილი რასაც ნიშნავდა, ხბოებს ყეფა-ღრენით დაურბინა და ერთ ადგილას შეაქუჩა. ლომა პირველი გაემართა შინისაკენ.

ნიკა პაპამ აშალა თავისი ხბოები. ზეგანი რომ ჩამოათავა, ილიას შეხვდა.

- როგორ არის შენი ნამგელავი ლომა?
- კარგად არის, პაპა, კარგად!
- ჰო, ეგრე, შვილო, მამას უთხარი, ერთი ხელადა ღვინო მაღარიჩად მეკუთვნის-თქო.
- კარგი, პაპა.

ბოსლის ეზოში მოსაწველად ჩამომდგარმა ძროხებმა ხბოების მოახლოება იგრძნეს და ზმუილ-ბღავილი ატეხეს. დედებს ბოჩოლებიც გამოეხმაურნენ. სოფელი გაავსო პირუტყვის ველურმა ხმებმა, მალე თბილი რძის სუნიც მოეფინა ბინდბუნდში გახვეულ ეზოებს.

მეორე დილას დედამ ილიას უთხრა:
- ხბოებში არ გიშვებ.
- რატომ, მე ახლა არაფერი არ მტკივა.
- მღვდელთან უნდა წაგიყვანო, შეგილოცავს.
- ხბოებს საჭმელი არ უნდათ?
- დღეს იოლად გავლენ, თივას დავუყრი, ხვალისთვის მამაშენი ბიჭს იშოვის და ის წარეკავს.
- მე?
- შენ უნდა მოგარჩინოთ და ისწავლო.
- მე მოვრჩები, ნიკა პაპამ მითხრა, ბევრი თაფლი ჭამე და მორჩებიო.

ჭიშკართან მენახირის ხმა გაისმა. ილია აივანზე გადმოდგა და ზევიდან გადახედა ჭალისკენ ზლაზვნით მიმავალ ნახირს.

შინ დარჩენილმა ხბოებმა მალე ბღავილი ატეხეს, თივას პირი არ დააკარეს, არც სალაფავს მიეტანენ.

- დედა, ცოდონი არიან, გავრეკავ!
- არა. მოშივდებათ და შესჭამენ!

ილიამ გვიან მაინც წარეკა კუდბაწარა ხბოები. ლომა არ წაუყვანია, ბოსელში შეაგდო და ბოსტნიდან მოტანილი ლორთქო ბალახი დაუყარა.

ჯანიანი ბიჭი იყო ილია, ციებამ ეგრე ადვილად ვერ დაასუსტა. გუდა სავსე ჰქონდა შოთი პურებით, მოხარშული ხორცით, ცხვრის ახალი ყველით, სურით ერთი ხელადა ღვინო მიჰქონდა ნიკა პაპას გასამასპინძ-

ლებლად. ხბოებს ცხარედ მიერეკებოდა, ეშურებოდა, ისეც დაგვიანებული იყო.

ნიკა პაპა მინდორში დაუხვდა, ბერიკაცი მორზე იჯდა და სალამურს აკვნესებდა. დინჯი დაკვრა იცოდა ნიკა პაპამ, კაცს სევდას აუშლიდა.

ილია ზურგიდან მიეპარა.

- გამარჯობა ნიკა პაპა!

- გაიზარდე, შვილო.. მოხვედი?

- მა რა მექნა, ხბოები შემეცოდნენ... ღვინო მოგიტანე, მამამ თქვა, თხოვნის შნოც არა აქვს, ერთი ხელადა რაა, ათი წაიღოსო.

- შაქარი და ბარაქა გრიგოლის ოჯახს! - დალოცა ნიკამ და მერე, როცა სასაუზმოდ დასხდნენ, ნიკამ ხმელ პურსა და ყველს ორი ჯამი ღვინო დააყოლა.

ხბოებმა ბალახ-ბალახობით გაიმინდვრეს, თვალს მიეფარნენ, ილია მათკენ გაიქცა.

ტყის პირას, ჩრდილში მოძალებული ბალახი ძალიან მოეწონათ ხბოებს. მადიანად ძოვდნენ, თან პატარა კუდებით ბუზებს იგერიებდნენ. ბუზი ერთობ ბევრი იყო. ილიამ ხერხს მიმართა, ძაღლს დაუსტვინა, აბა, ეცი, ეცით, და მობალახე ხბოები იქვე, ახალ ამონაყარ ფოთლიანში შელალა, მერე ყვირილითა და სახრის შხუილით ისევ ფიცხლად უკანვე გამორეკა. ხერხმა გაჭრა, ხბოებმა აბეზარი ბუზები ფოთლებს შეატოვეს.

ის დღე მინდორში ილიამ კარგად გაატარა,

არ შეუციებია და შინ გახარებული მოვიდა, მაგრამ ეზოში ლომა თავგასისხლიანებული რო დაინახა, ელდა ეცა.

- დედი, ვინ დაჭრა ჩემი ბუღა, ვინ?! - ატირდა ილია.
- გაჩუმდი, არავისაც არ დაუჭრია.
- მა სისხლი რადა სდის?!

- ღმერთს შევწირეთ, მღვდელმა თქვა, ასე სჯობიაო, აწი არასოდეს არ შეგაციებს!

ლომა ახლოს მივიდა ილიასთან, გაჭრილი ყურიდან სისხლი წვეთავდა.

- შეუხვიეთ ყური, თორემ სისხლისგან იცლება! - შეევედრა დედას.
- დაიცალოს, მოკვდეს, სამაგიეროდ შენ მეყოლები კარგად.

გვიან, როცა ბინდი დაეშვა, ილია ბოსელში შეიპარა; თეთრი ტილოს ნაჭრით თავის ძმობილს ყური შეუხვია, თან შოთი პურიც აჭამა.

იმ ღამეს მშვიდად ეძინა ილიას, მაგრამ დილით ლოგინიდან ვერ ადგა, შეამცივნა. აკანკალებულ ბავშვს დედა საბნებს აყრიდა, მაგრამ მაინც ვერ თბებოდა.

- ხომ ხედავ, აქ ვერაფერს ვშველით, წაიყვანე ქალაქს! - მიატირა მარიამმა გრიგოლს.

პეტერბურგში

I

პეტერბურგში ილია ბედს არ ემდუროდა. ამაღლების პროსპექტზე, ვაჭრის ცოლის, კალიჩინას სახლში რიგიანად მოეწყო. კალიჩინა კეთილი დედაკაცი გამოდგა, ოთახი ძვირი არ დაუფასებია, ილიამ ორი თვის ქირა წინასწარ გადაუხადა.

ახლა მთავარი საზრუნავი უნივერსიტეტში შესვლა იყო. დარგიც შეარჩია, იურიდიული ფაკულტეტის კამერული განყოფილება. აქ მისაღებ გამოცდებზე ბევრი საგანი არ ჰქონდა ჩასაბარებელი. ამ დარგზე შესვლა შედარებით ადვილი იყო ილიასთანა სტუდენტისათვის, რომელსაც გიმნაზიის სრული კურსის დამთავრების საბუთი არ გააჩნდა.

ილიამ 1857 წლის 19 ივლისს თხოვნა დაწერა უნივერსიტეტის რექტორის ემინ ლენცის სახელზე. ილია წერდა: „მაქვს რა სურვილი საბოლოო განათლების მისაღებად მოვისმინო ს. - პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კამერული განყოფილების სრული კურსი, უმორჩილესად ვთხოვ თქვენს აღმატებულებას ჩამრიცხოთ თავისუფალ მოსიარულე სტუდენტად.“

თხოვნის შეტანა არ იყო მთავარი, ილიას გამოცდებისა ეშინოდა. მან საჭირო სახელმძღვანელოები ჩამოითხოვა და ოთახში ჩაიკეტა.

სიბეჯითემ ნაყოფი გამოიღო, გამოცდები კარგად ჩააბარა.

ყვარელში წერილი აფრინა, თავისიანები გაახარა.

„მე შევისწავლი ევროპის ქვეყნების სახელმწიფოთა უფლებებს, - წერდა ილია, - რუსეთის იმპერიის სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა საქმიანობას, ფინანსებისა და სახელმწიფოებრივ დანიშნულებათა კანონებს, მართლმსაჯულების კანონებს, პოლიტიკურ ეკონომიას, სტატისტიკას, ბუნებისმეტყველებას, ტექნოლოგიას, აგრონომიას, არქიტექტურას.“

პირველ ნოემბერს ილიამ სწავლის ფული ოცდახუთი მანეთი შეიტანა, ქვითარიც მიიღო.

- ახლა ნაღდი სტუდენტი ხარ, წამო ლექციაზე! - უთხრა კოხტამ, მაგრამ ილია შეჩერდა, ის ქვითარი უბის წიგნაკში ჩაიდო და მეგობარს უთხრა:
- სტუდენტი ვარ, უფულო სტუდენტი!
- რამდენი დაგრჩა?
- ცხრა მანეთი.
- „კუხმისტერსკში“ გეყოფა, ჯავრი ნუ გაქვს. წამოდი!

სალექციო დარბაზში ადრე შევიდნენ, ახალბედა სტუდენტებმა მალე მოიყარეს თავი; თითქოს სოფლის სკოლაში არიანო, მერხებთან ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ. ზოგ ჯგუფში რაღაცაზე ცხარედ დაობდნენ, ზოგში მღე-როდნენ, ვიღაც მოწყენილი და დარცხვენილი სტუდენტი თავისთვის იჯდა კუთხეში, ხმას არ იღებდა,

ილია მასთან მივიდა და მორიდებით ჰკითხა:

- შეიძლება?
- დაბრძანდით!
- რა ხმაურია?! - თქვა ილიამ.
- იცინიან, სანამ ეცინებათ, გამოცდები რომ მოაღწევს, მაშინ ვნახოთ ამათი ბიჭობა.
- ჯერ რა დროს გამოცდებია?!

უცნობმა რაღაც ჩაილაპარაკა, მაგრამ ილიამ კარგად ვერ გაიგონა, აღარ ჩაეკითხა, უზრდელობაში ჩამომართმევსო, და გაჩუმდა.

ილია უკვე მეხუთე ლექციას ესწრება. ნეტავი რომელი პროფესორი შემოვა? ცხრილი ჯერ არ გამოუკრავთ, თორემ გვარი მაინც ეცოდინება.

შარვლის ჯიბიდან ვერცხლის მსხვილძეწკვიანი საათი ამოიღო.

- ვლადიმერ დანილოვიჩი არ დაიგვიანებს, ისეთი კაცია! - უთხრა გვერდით მჯდომმა.
- ვინ ვლადიმერ დანილოვიჩი? - ჰკითხა ილიამ.
- სპასოვიჩი.
- პროფესორი? - დაინტერესდა ილია.
- პროფესორია, უნივერსიტეტში იმისი ფასი კაცი არ დადის.
- თქვენ საიდან იცნობთ ასე კარგად?
- ვიცნობ, ვიცნობ!

დერეფანში ზარმა გაიწკარუნა. დაფეთდნენ სტუდენტები, ყველამ თავისი ადგილი დაიკავა, ნანატრი სიჩუმეც ჩამოვარდა.

კარი გაიღო, შემოვიდა ახალგაზრდა კაცი, კათედრასთან არც მისულა, შუა დარბაზში შეჩერდა, სტუდენტებს ხელით ანიშნა, დასხედითო.

- ვაიმე! - აღმოხდა ილიას და გაწითლდა.

პროფესორმა მერხებს შორის გაიარ-გამოიარა, სტუდენტებს გადახედ-გადმოხედა, ილიას მერხთან ნაბიჯი შეანელა და იმ მოწყენილ სტუდენტს უთხრა:

- ყოჩაღად იყავი, არაფერია.

არც ილია დატოვა გულნაკლული, მხარზე ხელი მოუთათუნა და კათედრისკენ წავიდა.

რაღა მაინცდამაინც ამ ორ სტუდენტს მიაქცია ასე განსაკუთრებული ყურადღება?

ილია მიხვდა, რაშიც იყო საქმე, პროფესორმა რატომ მიუალერსა მის დარცხვენილ მეზობელს, მაგრამ მაინც ჰკითხა:

- რატომ გაგამხნევათ, რატომ გითხრათ, არაფერიაო?
- რა ვიცი, რა ვიცი! - დაიბნა სტუდენტი. მერმე, თითქოს გამოსავალი იპოვაო, ახლა თავის მხრივ ილიას უთხრა: - შენც ხომ მოგეფერა.
- ჩემი საქმე სხვანაირად იყო და იმიტომ.
- მაინც რა საქმე გქონდა პროფესორთან?

- აი, რა. გუშინ „კუხმისტერსკში“ ვსადილობდით ქართველი სტუდენტები, ეშმაკად იურიდიულ საგანზე ჩამოვარდა ბაასი. როგორც მოგეხსენებათ ახალგაზრდობის საქმე, ბაასი ცხარე და მწვავე კამათად გადაგვექცა. კამათში ჩამოგვერია სწორედ ეს პროფესორი, რომელიც იქვე სადილობდა. იმასაც მაშინვე პირში ვეცით და არა დავუთმეთ რა, თუმცა მეტად გარკვევითა და სადად განმარტა საკამათო საგანი. რა ვიცოდი, პროფესორი იყო, თორემ ხმას როგორ ამოვიღებდი.
- თქვენ გგონიათ, მუნჯივით რომ მჯდარიყავით, უფრო ასიამოვნებდით? არა, ჩემო მეგობარო, სპასოვიჩს კამათი და შეხლა-შემოხლა უყვარს. იგი ბუნებით იურისტია, ენის ვარჯიშს დიდ ყურადღებას აქცევს.

ილიამ ფანქარი მოიმარჯვა და ლექციის ჩაწერას შეუდგა, მაგრამ ახლადგაცნობილმა შეაჩერა.

- თავს ნუ შეიწუხებთ, მე ჩაწერილი მაქვს მისი ლექცია და მოგართმევთ.
- როდის მოასწარი?
- შარშანაც პირველ კურსზე ვიჯექი.
- ჩაგტოვეს?!
- ნუღა მკითხავთ, დიდი ისტორიაა! - შეიშმუშნა უცნობი.

ილიამ მაინც განაგრძო წერა, სპასოვიჩი „იყო ერთ მოუსვენარ ხელების შლაში, თითქმის ტრიალში, ცმაცურში“. ეშხიანად კითხულობდა, გრგვინავდა, ლექ-

ციის ჩაწერა ილიამ ვერ შესძლო, ფანქარი ჯიბეში ჩაიდო და თვალი მიაპყრო, ნიკო ნიკოლაძის თქმისა არ იყოს, „ტანში ეშმაკ ჩამჯდარ კაცს“.

- როგორ შესძელი ამ კაცის ლექციის ჩაწერა? - დაინტერესდა ილია.
- სტენოგრაფია მწყალობს, ჩემი დაწერილი ლექცია პროფესორმა გაასწორა და ხუთიანი არ დაიშურა.
- ყოჩაღ, მერე რატომ ჩაგტოვეს?
- სხვებმა არ გამახარეს.

ილია პროფესორის თითოეულ მოძრაობას თვალს ადევნებდა, მაგრამ რაღაც გამოუცნობი შიში მის გულს თანდათან ერეოდა და მომართულ სმენას უხშობდა. „რაღა ამ დანაკრული კაცის გვერდით მოვხვდი, - ფიქრობდა იგი, - იქნებ მეც მისი ბედი მომელის. რა ვიცი, როგორ წავა ჩემი საქმე. აა, ეს რა წამომცდა, სწავლის მეშინია, იმიტომ ჩამოვედი აქ, ცხრა მთას იქიდან, ცოდნას უნდა ვეზიარო. განათლებული და შემართული უნდა დავუბრუნდე ჩემს ქვეყანას“.

პირველი ახალწლის ღამე ილიამ პეტერბურგში მხიარულად ვერ გაითენა. მართალია, სტუდენტთა ხა-ლისიან სუფრას ეჯდა, მაგრამ დანა პირს არ უხსნიდა. დეკემბრის მიწურულს სტუდენტებმა ჯიბე მოიქექეს და სწავლის ფული შეიტანეს. ილიას ჯიბეს კი, როგორ თვითონ იტყოდა ხოლმე, „ჭავჭავაძის ავადმყოფობა“ სჭირდა.

გუშინწინაც ასე იყო. ილია მაგიდასთან იჯდა, სანთლის მკრთალი შუქი თეთრ ქაღალდს დასციმციმებდა. ქაღალდზე მხოლოდ ორი სიტყვა ეწერა: „ხმა სამარიდამ“. კალამი მომარჯვებული ჰქონდა, მაგრამ სიჩუმეში კაკუნი გაისმა და ილიამ კარისკენ მიიხედა.

- შემობრძანდით!

შემოვიდა დიასახლისი, კარი ზურგს უკან მიხურა და იქვე მორიდებით გაჩერდა.

ილიას ორი თვის სახლის ქირა ევალებოდა, დიასახლისის შემოსვლა თუმცა არ გაეხარდა, მაგრამ შუბლი მაინც გახსნა და მიიპატიჟა.

- მობრძანდით!
- გმადლობთ, კნიაზო, პატარა საქმისათვის შეგაწუხეთ.
- პატარა საქმეო, მწარედ გაეცინა ილიას. - ახალი წელიწადი კარზე მოგვადგა, არ მინდა ვალი გაგყვეს, თქვენთვისაც არ ვარგა, ამიტომ შეგახსენეთ.
- კარგი, ხვალ მოგართმევთ!
- გაიხარეთ, ძილი ნებისა! - დიასახლისი გავიდა.

მაგრამ იმ ღამეს ილიას ძილი არ მიჰკარებია. „ხმა სამარიდამის“ წერაში პეტერბურგის ცივი ღამე ისე მალე დაიწვა და დაილია, როგორც ის სანთელი, შანდალზე რომ იღვენთებოდა.

ეს იყო 31 დეკემბერი.

ორი საათის შემდეგ ახალი წელი კარს შემოაღებს. რა

სიკეთეს ჰპირდება 1858 წელი?

იმედი მაინც სხვა არის! ილიამ ერთ თავის ნათესავ ქალს მისწერა:

„...ჩემი ამბავი რა მოგწეროთ, ხომ იცით ჭავჭავაძის სისუსტე სად არის - ჯიბეში და ისევ ჯიბეში; უხ! ხანდისხან რა უგრძნო ქარიშხალი წამოუბერავს ხოლმე ჯიბით, რა რუსეთული თაგვები შადგებიან ხოლმე ყალყზედ თითქო ძალათ დაცარიელებულ ჯიბეში; მაგრამ კი სასოწარკვეთილებაში არ შევალ ხოლმე, ნუგეშ-ვიცემ და ამას ვეტყვი ხოლმე ჩემს თავს: ნუ გეშინიან, ერთხელაც იქნება, რომ ჩვენც გაგვიბრწყინდეს მზე-მეთქი, და ჩემი თავი ჩვეულებრივ სიცივით მიპასუხებს ხელმე: პაპაშენიც მაგას ამბობდაო, მაგრამ კი, შენი ჯიბე მაინც არ გათბაო. მეც თავს გავიქნევ ხოლმე, და ჩვეულებრივ სასოებით შავყურებ პირღია ცას, თითქო იქიდან მოველოდე გაქლიბულს ჭრელ-ჭრელ მანეთებს, მაგრამ თქვენც იცით, ცას რა რიგად ჰსძულს ვერცხლი. მაშასადამე, ლოდნა ჩემი ციდან ფულისა ამაოა.“

ახლა ეს წერილი მოაგონდა და გაიღიმა, მერე „ხმა სამარიდამ“ გაახსენდა, იქ ხომ ფულზე, მექრთამეობასა და ადამიანის სულის სიბინძურეზე წერს; დიამბეგს ცოდვა სამარეში მაინც აწუხებს, და აიძულებს მკვდარმა მაინც სიმართლე თქვას.

„სამართალს ფულითა ვსჭრიდი,
გროშისათვის კაცს ვყიდდი,
თვით ძმას ორმოს გავუთხრიდი
და ჩემს ჯიბეს ნელ-ნელ ვზრდიდი“.

ილიას სულაც არ ესმოდა სუფრის აურზაური, მეგობრებმა ბევრჯერ შესძახ-შემოსძახეს ტკბილი ქართული სიმღერა, მაგრამ ის მაინც მოწყენილი იყო. ახლა კი სუფრა ეშხში შევიდა, ბიჭებს სასმელი მოეკიდათ. სიმღერას ტაში მოჰყვა. ერთი წოწოლა სტუდენტი სკამზე შედგა და ფეხები გაუსვ-გამოუსვა.

კოხტა ილიასთან მივიდა.

- ილიკო, ჩვენ რა გვეშველება, არც სიმღერა ვიცით, არც ცეკვა. მოდი, დალევით მაინც დავლიოთ.

ილია ფეხზე წამოდგა. კოხტამ სასმისები შეავსო, ერთი ილიას მიაწოდა, მეორე თვითონ აიღო.

- ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს გაუმარჯოს!
- გაუმარჯოს, გაუმარჯოს! - შესძახა ილიამ და ჭიქა აიღო.
- მოიცა, ჩვენებურად დავლიოთ.

მკლავი მკლავში გაუყარეს, ჭიქები პირთან მიიტანეს და ვახტანგურად გამოსცალეს.

მერე კარი გაიღო და თოვლის ბაბუა შემოვიდა. ამ დროისათვის შემონახული შამპანური გახსნეს. საცობები ჭერს მიეხალა, ჭიქები ქაფით გაივსო.

თოვლის ბაბუა ჭიქას არ დასჯერდა, ახალი წლის სადღეგრძელო ბოთლით შესვა, მერე საჩუქრები ჩამოარიგა.

ილიამ მალე დატოვა სუფრა, ქუჩაში გავიდა, თოვლის ბაბუას მიცემული კანფეტი პირში ედო. ცუდ გუნებაზე იყო, ბეწვის საყელო აიწია, ხელები ჯიბეში ჩაიწყო და დაცარიელებულ ქუჩას გაჰყვა, მალე ნევას მიადგა. გაყინული მდინარე თითქმის თოვლს ამოევსო. მაგრამ ყინულის ქვეშ მაინც ცოცხლად ფეთქავდა, ღამის მოსაწყენ მყუდროებას არ ეპუებოდა. მარმარილოს მოაჯირს მიყრდნობილი ილია ზევიდან დაჰყურებდა მდინარეს, მაგრამ ფიქრით და გულით შორეულ პეტროგრადში კი არა, თბილისში იყო და მტკვრის ჯავრიანი დუდუნი ესმოდა.

ზამთრის სუსხიანი სიჩუმე დაარღვია ილიას ოდნავმა ჩურჩულმა. იგი თავისთვის ამბობდა ჯერ კიდევ გულში ახლად აკინძულ ლექსს.

ბევრი ვიტანჯე, ვიცი რომ მელის
ბევრიც სხვა ტანჯვა მომავალშია,
მაგრამ ეს არ არს მიზეზი ცრემლის,
რომელიც მარად თრთის ჩემ თვალშია.

ყველას გავუძლებ: სასტიკ ტანჯვასაც,
ჩემ საყვარელთა იმედთ დანთქმასაც,
თვით სიყვარულის ფიცისა ღალატს
და თვით ჩემ ბედსაც, ამ უგრძნო ჯალათს.

ყველას გავუძლებ, როგორც კლდე ქვისა,
ბედთანა ბრძოლა ვით მეშინება?!
ხოლო ჩემ თავის არაფრობისა
არ ძალმიძს, ძმანო, ვერ რით გაძლება!

იანვრის შუა რიცხვებში უფრო გაჭირდა ცხოვრება. უნივერსიტეტში სწავლის ფულის შეტანის ვადა მიიწურა, მამიდამ ფულის მაგიერ სიღარიბის მოწმობა გამოუგზავნა, ესეც ძლივს ვიშოვნე, თელავში ვინ არ შევაწუხეო.

ილიამ ბედი სცადა, უნივერსიტეტში თხოვნა შეიტანა, სწავლის ფულისაგან გამანთავისუფლეთო. თხოვნას სიღარიბის ცნობაც დაურთო, ბედმა გაუღიმა, მალე სასურველი პასუხი მიიღო და დამშვიდდა.

ერთი თვის შემდეგ ილიამ კარდანახიდან წერილი მიიღო, ნინო ათას მოკითხვას და კოცნას უგზავნიდა. პასუხში ილიამ უფულობის ჩივილთან ერთად საყვედურიც არ დაივიწყა. „რა არის, ნინუცი, რომ იწერები წიგნს და ახალ მანდაურ შექცევაზედ, ან კუტ-

რობაზედ, მაგრამ კუტრობა წამომცდა, კუტრობაზედ ნუღარ მომწერთ, თვითონ მე კარგად ვიცნობ, რა წითელი კოჭიცა ბრძანდება. ჩემ ჯიბეში ნეტავ ჩაგახედა, რა ამბავია, რუსეთულ თაგვებს ისეთი ჯირითი გააქვთ, რომ მეტი არ იქნება. ღმერთმანი, ჭრელ-ჭრელ მანეთებს წამოჰკრავენ ფეხს, შენ ნუ მოუკვდე ჩემს თავს! ისეთი მოწმენდილია აქაურობა, რომ ყაბახის მოედანზედ არ იქნება ასე“.

მაგრამ ამ უფულობამ, ამ გაჭირვებამ ვერ გასტეხა ილია, ხშირად ხმელ პურს ლოღნიდა, გულს დაიმაგრებდა და ისევ ლექციებზე წავიდოდა. იქ შიმშილი და ხელმოკლეობა ავიწყდებოდა, თავის საყვარელ პროფესორებს ყურს უგდებდა, მათ სიტყვებს გულში ილექავდა.

სიღარიბეზე წუხილი და ჩივილი ნათესავებისადმი მოწერილ ბარათებში რომ ვერ ჩასტია, მერე პოეზიას მიმართა. უეჭველად ავტობიოგრაფიულია მისი ცნობილი ლექსი „ქართველ სტუდენტების სიმღერა“. ამ ლექსის ერთ-ერთ ვარიანტში ვკითხულობთ:

„ღარიბნი ვართ, ჩვენს ჯიბეში
ხშირად გროში არც კი არი.
.....

გამხმარ პურსა ცივ წყალშია
უდრტვინველად ხშირად ვალბობთ,
ჩარდახშია ცივსა ოთახს
ჩვენი გულის ორთქლით ვათბობთ“.

მაგრამ, მიუხედავად ასეთი დუხჭირი მდგომარეობისა, სტუდენტი მაინც მხნედ არის, სულიერად არ ეცემა, პირიქით, წინასწარ გამიზნული აქვს მომავალი ბრძოლის გზა, სწამს თავისი მიზნის სიდიადე, მოწადინებულია, მაღალ კულტურას ეზიაროს და ქვეყანას გამოადგეს.

II

ტახტზე წამოწოლილი ილია ვახტანგ მეფის სამართლის წიგნს კითხულობდა. ეს ნანატრი წიგნი თბილისში ვერ იშოვნა, შორეულ პეტერბურგში კი აღმოჩნდა. პროფესორმა დავით ჩუბინაშვილმა სალომე ბატონიშვილისეული წიგნები ქართველი სტუდენტების ბიბლიოთეკას გადასცა. წიგნების მიღება-ჩაბარების აქტზე, სხვებთან ერთად, ილიამ და აკაკიმაც მოაწერეს ხელი.

ილიამ მაშინვე წამოიღო ვახტანგ მეფის სამართალი და, აი, დღეს მეორედ კითხულობს ამ ძველი ქართული კანონების კრებულს.

საღამომ მოატანა, დიასახლისმა პეწიანად გაწმენდილი და გაუთოებული მუნდირი შემოიტანა და სკამის საზურგეზე გადაჰკიდა;

დიასახლისი ჩუმად გავიდა ოთახიდან. ილიამ მისი შემოსვლა ვერც კი გაიგო, გატაცებით კითხულობდა, მალე კოხტა აფხაზმა შემოაღო კარი და შემოსძახა:

- სოფო დაგავიწყდა?

ილიას წიგნისთვის თვალი არ მოუშორებია, ისე მიუგო:

- უქონლობა ყველაფერს ავიწყებს კაცს!
- ფარ-ხმალი დაჰყარე?!
- ეგრე გამოდის! - ილია წამოდგა და გაშლილი წიგნი მაგიდაზე ჩამოდო. - მოდი, უმუნდიროდ მივიდეთ.
- თავი მოგვეჭრება!
- შენ ეგა თქვი, ახლა რა ვიღონოთ? - უთხრა კოხტამ.
- აი მუნდირი, ჩაიცვი და წადი! - უთხრა ილიამ.
- გულის გარეთ ნუკი მეუბნები, სოფო შენ მოგწონს, მის სანახავად მე მგზავნი?.. კარგი, წავალ! - ჩაიცინა კოხტამ, მუნდირს ხელი დასტაცა, ჩაიცვა და ილიას მიაძახა: - აბა გამიძეხ, წავიდეთ!
- კი მაგრამ, მე უმუნდიროდ?
- მაშა, წამოდი!
- ეგ არ გამოვა, კოხტა.
- წამოდი, კარგი რამ მოვიფიქრე.
- მაინც რა მოიფიქრე, ხომ უნდა მითხრა?
- წინასწარ ვერ გეტყვი, ახლა წამოდი.

* * *

ილიამ სოფიო ჩაიკოვსკაია ილიკო ჩოლოყაშვილის წვეულებაში გაიცნო. უცებ, ერთი ნახვით მოეწონა ეს ლამაზი ქალიშვილი. როცა ჩაის შემდეგ ბაღში გავიდნენ, მთვარის შუქში გახვეული სოფიო მიუწვდომელი ეჩვენა.

„ლამის, ტურფავ, შენს ტრფობაში მე შთავწურო სრულად გული!“ - ენაზე მოადგა, მაგრამ ვერ გაუმხილა. ის ბედნიერი საღამო იყო. ილია გატაცებით ლაპარაკობდა. საქართველოს ამბებმა ქალიშვილი ძალიან დააინტერესა.

ბოლოს გაბედა და თავისი მოცახცახე ხელი შეახო სოფიოს პატარა ხელს, რომელსაც ბადესავით ნაქსოვი თეთრი ხელთათმანი ემოსა.

ოცდასამი წლის ვაჟკაცს ამაზე მეტი სიხარული არც უნდოდა. გული დასწყდა, სტუმრები რომ ადრე აიშალნენ, ილია და სოფიო საერთო დარბაზში გავიდნენ.

- ბევრი ლექსი გითხრათ ილია გრიგორიჩმა? - ჰკითხა სოფიოს დიასახლისმა - ივანე ანდრონიკაშვილის ასულმა, და გამომცდელად გაუღიმა.

  სოფიო გაწითლდა.

- ლექსები არ უთქვამს, მაგრამ თავისი ქვეყნის ისტორია სცოდნია.

სოფიომ თავი დაუკრა დიასახლისს და ტანის მოქნილი რხევით წინ გაუძღვა ილიას. ქუჩაში გამოვიდნენ. სადარ-

ბაზოსთან ეტლი იდგა. მეეტლე მაშინვე წელში გასწორდა და სკამის საფარი გადასწია.

- შეიძლება გაგაცილოთ? - მორიდებით ჰკითხა ილიამ.
- თუ დრო გაქვთ...

ილია ეტლში ჩაჯდა, ახლოს, სულ ახლოს იგრძნო ქალიშვილის მსუბუქი, სურნელოვანი სუნთქვა. აღელდა, სიტყვა დაეკარგა, უხერხულად ჩამოწოლილი სიჩუმე სოფიომ დააღვია.

- რას გაჩუმდით, მითხარით თქვენი ლექსი.
- აი, თქვენზე დავწერ და მაშინ სიამოვნებით.

ილიას უცებ სხვა ფიქრი შემოაწვა, ჯიბეში ხელი ჩაიყო, ნეტავ რამდენს გამომართმევს მეეტლეო და გუნება წაუხდა.

- როდის დასწერთ?
- ამაღამ, შინ რომ მივალ.
- ცეცხლი ხართ, კავკასიელები! - აჩქარება მოუწონა სოფიომ და ხელი ტუჩთან მიიტანა, სიბნელეში ბეჭდის თვალმა გაიელვა.
- კიდევ როდის შევხვდებით? - შეაგება ილიამ.
- ასე უცებ პაემანი? ჯერ გავიცნოთ ერთმანეთი.
- თუ არ შევხვდებით, როგორ გავიცნობთ? - მოუჭრა ილიამ.
- კარგი, თქვენ და კოხტა აფხაზი ერთად მოდით. ასე აჯობებს. დედა კოხტას იცნობს და აფასებს.

- როდის?
- ზეგ, საღამოს რვაზე, ლექსიც არ დაგავიწყდეთ.

ეტლი გაჩერდა.

სოფიომ მეეტლეს ასძახა:

- ეს ბატონი შინ მიიყვანე! - ხოლო ილიას ხელი ჩამოართვა და უთხრა: - ჩემი ეტლია, არაფერი მისცეთ.

სოფიო სადარბაზო შესასვლელში რომ მიიმალა, მეეტლემ ილიას უგემურად ჰკითხა:

- საით, ბატონო?
- ამაღლების პროსპექტი, 122.

ილია ეტლში არხეინად გადაწვა. ღრმად ჩაისუნთქა ნელსაცხებლის მოტკბო სურნელი, რომელიც ასე უხვად დატოვა ჩაიკოვსკაიამ.

შინ გვიან მივიდა, კოხტას ეძინა. ილიამ ლოგინიდან წამოაგდო და მოუთმენლად მიაძახა:

- ბიჭო, გავკეთდი, ჩაიკოვსკაია გავიცანი, ანგელოზი ყოფილა, ტყუილად კი არ აქებდი შენ.
- მერე?
- ზეგ დაგვპატიჟა, უშენოდ კარს არ გამიღებს. დედა გაუჯავრდება, წამოხვალ?
- თუ საჭიროა, რატომაც არა.

იმ ღამეს არ დაუძინიათ, უეცარმა გატაცებამ ძილი გაუკრთო ილიას. ხან მღეროდა, ხან ოხრავდა, ხან ლექ-

სებს ამბობდა. გათენებისას მაგიდას მიუჯდა.

ნანატრი პაემანის დღეც დადგა, მაგრამ მეგობრებს ერთი მუნდირის მეტი არ ჰქონდათ და საგონებელში ჩავარდნენ. ბოლოს კოხტამ ურჩია:

- მუნდირს ილიკო ჩოლოყაშვილისას ვიშოვნით.

ჩოლოყაშვილი იმპერატორის ამალაში მსახურობდა და ყველაფერი თავსაყარი ჰქონდა, მაგრამ ილიას ესირცხვილა მასთან სათხოვნელად მისვლა. არც ამხანაგი გაუშვა.

ქუჩაში უგუნებოდ გამოვიდნენ. კარეტა გააჩერეს, შიგ ჩასხდნენ. ჩაიკოვსკაიას სადარბაზოსთან მუნდირში გამოჭიმული კოხტა კარეტიდან გადმოვიდა და ათიოდე წუთის შემდეგ გამობრუნდა. დახურულ კარეტაში მუნდირი უცებ გაიხადა, ილიას ჩააცვა და ზურგზე დაჰკრა ხელი.

- ღმერთია შემწე, შედი.

ილია რომ კარეტიდან ჩავიდა, კოხტამ მეეტლეს ასძახა, წადიო. კარეტა დაიძრა, კოხტამ ფანჯრიდან გახედა დაბნეულად მდგარ ამხანაგს.

ილია გვიან, გაუბედავად აჰყვა მარმარილოს კიბეს.

ლაქიამ კარი გაუღო, კართან თვითონ სოფიო შემოეგება. ილიას მოწყენილი ეჩვენა ეს ნანატრი ქალიშვილი. უცებ ხელი გაუწოდა და გაიღიმა.

- სალამი, მაპატიეთ, ცოტა დავიგვიანე!

- კოხტამ არ დაიცადა, საშური საქმე მაქვსო, მეგონა, თქვენც არ მოხვიდოდით. ჰო, მართლა, ლექსი? - აჩქარდა სოფიო.
- ვერ დავწერე. ლექსის წერას მშვიდად ყოფნა უნდა. თქვენ სიმშვიდე წამართვით.

ეს პასუხი მოეწონა სოფიოს, მკრთალ სახეზე კმაყოფილმა ღიმილმა გადაურბინა.

- თქვენი პასუხიც ლექსია, მხოლოდ რითმა აკლია! - უთხრა სოფიომ და მეორე ოთახში გავიდა, იქ ვიღაც იყო. ილიას ჩურჩული მოესმა.

სოფიო მალე გამობრუნდა, შავი ხავერდგადაკრული ალბომი გამოიტანა და მაგიდაზე დადო.

- აი, ჩემი ალბომი, გთხოვთ ჩასწეროთ რამე! - ალბომი გადაშალა, საწერ-კალამიც მიაწოდა.

ილია მაგიდას მიუჯდა.

- მხოლოდ ქართულად. მე მიყვარს თქვენი ენა.

ამ აღიარებამ ილია უფრო გაახარა.

უცხო თემის ყარიბ მთქმელსა
რად აღმიგზენ სიყვარული?..
ლამის, ტურფავ, შენს ტრფობაში
მე შთავწურო სრულად გული! –

ჩაწერა ილიამ, მერე სიტყვასიტყვით უთარგმნა ლექსი. სოფიო გაწითლდა და თავი დახარა. შუბლზე წაბლისფე-

რი კულული ჩამოეშალა. ილიამ თვალი ვერ მოსწყვიტა დარცხვენილ ქალიშვილს.

ილიას სიტყვა დაეკარგა.

დუმილი სოფიოსაც გადაედო.

ოთახი უხერხული სიჩუმით აივსო.

მაგიდაზე გადაშლილ ალბომში ოთხსტრიქონიან ლექსს ლამფის შუქი დასციმციმებდა. ილიამ თვალი გადაავლო ლექსს. უცებ კალამი აიღო და რაღაც მიაწერა.

- რა დაუმატეთ? - მაშინვე ჰკითხა სოფიომ.
- კითხვის ნიშანი.
- კითხვის ნიშანი?
- დიახ, რად აღმიგზენ სიყვარული-მეთქი, გეკითხებით.
- ჰო, კარგით, კარგით.

სოფიო გავიდა წინა ოთახში, ცოტა ხნის შემდეგ მაღალ, ჭაღარა დედკაცს შემოუძღვა.

- თავადო, გაიცანით დედაჩემი.

ილია მაშინვე წამოდგა და დიასახლისს მიეგება. მისალმებისა და კითხვა-მოკითხვის შემდეგ სტუმარი დიდხანს არ გაჩერებულა.

მალე სოფიოს ორი ამხანაგი მოუვიდა. ერთი მათგანი, დაბალი და გამხდარი, პრანჭია ჩანდა, რუსულად ხმას არ იღებდა, ფრანგულად ირჯებოდა, სულ თავის ფეხსაცმელსა და ვარდისფერ კაბას უყურებდა.

ილიამ მოიწყინა, წამოდგა.

- რა გეჩქარებათ?
- წიგნები, სწავლა, სტუდენტი კაცის ხვედრი!

სოფიომ ხელის ჩამორთმევის დროს ჩუმად უთხრა:

- შემოიარეთ, არ დამივიწყოთ!

გახარებული ილია შინ წავიდა.

სახლში კოხტამ მაშინვე შეაგება:

- როგორაა საქმე?!
- შევირთავ, ქორწილი და მისი ჯანი!

მაგრამ ნაჩქარევ აღტაცებას უცებ ფრთები შეეკვეცა.

დიასახლისმა ყვარლიდან გამოგზავნილი კონვერტი შემოუტანა. საჩქაროდ გახსნა და მაშინვე შუბლი შეიკრა.

- რა ამბავია? - ჰკითხა კოხტამ.
- ნახე, რაებს მიბედავს სოლომონი! - მიუგო ილიამ და მუჭში ჩაჭმუჭნული წერილი მიაწოდა.

სოლომონ ჭავჭავაძე წერდა: „ილიკო, სირცხვილი არ მაჭამო, ი, რაღაც მიქარვა ბრძოლებია მანდ, სტუდენტებს თურმე მეფის ჩამოგდება უნდათ, მათი ჩამოსაგდები მეფე ჯერ არ დაბადებულა. შენ არ გაბრიყვდე და ფეხის ხმას არ აჰყვე, მალე დაამთავრე, გელოდები. ხომ იცი, რა ფული მიჯდება შენი შენახვა. ეს შენ უნდა დააფასო“...

ილიამ ვერ მოითმინა, მეგობარს წერილი გამოსტაცა და ღუმელში შეაგდო, უყურებდა, როგორ მოიკრუნჩხა ქაღალდი ნაკვერჩხლებზე, მერე ცეცხლი აბრიალდა და შავი ფერფლი ალმა აიტაცა.

- ასე უკვალოდ დავიწვა, თუ სოლომონს ეს წერილი ძვირად არ დავუსვა!
- რას იზამ, უნდა მოითმინო.
- მე და მოთმენა? მაშ, მჩვარი ვყოფილვარ. შენ მაინც კარგად მიცნობ, ასეთ რჩევას როგორ მაძლევ?!
- მაშ რას იზამ?
- ყველაფერს, ყველაფერს. რომ მოვდიოდი, მომშხამა ჭკუის სწავლებით, გავჩუმდი, ვიფიქრე, უფროსი კაცია-მეთქი და მოვითმინე, მაგრამ არა. ვერ მოვითმინე, წამოსვლისას მამიდას დავუბარე, როგორმე ფული მოაქუჩე და ეს ბრიყვი სოლომონი ჩამომაშორე-მეთქი.
- გოგოს რას ეუბნები?!
- ფულმა, ანგარიშმა გოგო კი არა, თავი შემაძულა, არ მინდა, არაფერი არ მინდა, მომასვენოს სოლომონმა. ეეხ, შენ რა იცი, რა შხამია სხვისი დამადლებული ლუკმა.

მეორე დღეს ფოსტალიონმა კარზე მიაკაკუნა.

- ფული, ფული! - მიახარა ილიას.

ხმაურზე დიასახლისიც მოვიდა, სწორედ კარგ დროს მიიღო ფული, ორი თვეა ილიას სახლის ფული არ გადაუხდია.

- აი, აქ მოაწერე ხელი! - უთხრა ფოსტალიონმა და სალოკი თითი ქვითარზე დადო.

ილიამ ქვითარი გამოართვა, გახედ-გამოხედა, შუბლი

შეიკრა. „ხედავ, სოლომონს, იმ მწარე წერილისათვის ფული დაუდევნებია“, გაიფიქრა ილიამ და ხელმოუწერელი ქვითარი ისევ ფოსტალიონს გაუწოდა.

- არ მინდა, არ ვღებულობ ამ მოწყალებას.
- რატომ?! - ერთხმად იკითხეს დიასახლისმა და ფოსტალიონმა.
- ეგ მე ვიცი, უკან წაიღე! - ილიამ ჯიბე მოიქექა და ორიოდე გროში, იქ რომ უბრწყინავდა, ისიც ფოსტალიონს ჩაუდო ხელში.
- მაშ წამიწერე, რომ მიღებაზე უარს აცხადებ.
- სიამოვნებით!

ფოსტალიონი რომ წავიდა, გამშრალ დიასახლისს ილიამ შინაურულად მხარზე ხელი წაუთათუნა.

- ნუ მოიწყენთ, თქვენს ვალს ორ-სამ დღეში მოგართმევთ!
- აქ სად იშოვნით ფულს?
- ვიშოვნი, ფულს ყოველთვის ვიშოვნი.
- ღმერთმა ხელი მოგიმართოს, მაგრამ იმ ფულს, უკან რომ დააბრუნეთ, სუნი სდიოდა?
- მაშა, ცუდი სუნისა იყო! - გაიღიმა ილიამ.

საუზმის შემდეგ წერილი დაწერა. სოლომონის ფულს მწარე წერილი დაადევნა, თავისი ბოღმა და კილვა იმ წერილში ძლივს ჩატია.

გულიდან ლოდი რომ მოიხსნა, მერე დიდ მაგიდაზე გაშლილ ქაღალდებს მიაშურა, ილია „გლახის ნაამ-

ბობს“ წერდა. სამწუხაროდ, იმ პირველმა ვარიანტმა ჩვენამდე ვერ მოაღწია.

ელენე ანდრონიკაშვილმა დაბადების დღეს თბილისიდან საჩუქრად ვერცხლის ქალური ქამარ-ხანჯალი მიიღო. ოფიცრების ცოლებსა და ქალიშვილებს ყველას თვალში მოუვიდა ეს საჩუქარი, ზოგმა წელზე შემოირტყა და სარკეში გასინჯა მისი პეწიანობა. სხვებს არც სოფიო ჩაიკოვსკაია ჩამორჩა. ქამარ-ხანჯალშემორტყმული დიდხანს ტრიალებდა სარკის წინ.

- გხატავს, სოფოჯან, გხატავს! - ქართულად ჩასჩურჩულა ელენემ.

სოფიოს ეგონა, დიასახლისი თავის ნივთს სთხოვდა, ქამარი მოიხსნა და გაუწოდა.

ილია მის ყოველ მოძრაობას თვალს ადევნებდა, სოფიო რომ მასთან მივიდა, მაშინვე ჰკითხა:

- მოგეწონა?
- ძალიან.
- გექნება. მივწერ ჩვენებს და გამოგიგზავნიან.

მეორე დილას ილია ადრე ადგა, კარდანახში გასაგზავნი ბარათი დაწერა. ამ ბარათში პოეტმა თავისი ნათესავები მიიკითხ-მოიკითხა და ბოლოს „სულზედ უტკბეს დას - ნინოს“ სათხოვარი გაუმჟღავნა. „ერთი რამა მაქვს შენთვის სათხოვარი, თუ გიყვარდე, თუ ჩემი

მცირედი სიყვარული გაქვს, ამისრულე. ერთმა ქალმა ქალური ვერცხლის ქამარი მთხოვა ხანჯლითა და დავპირდი. შენი ჭირიმე, ნინუცი, ნუ გამამტყუნებ იმ ქალთან, მერე უნდა იცოდე, რა ქალია! იმათ ოჯახში, როგორც შვილი ისე ვარ მიღებული, ასეთი დედ-მამა ჰყავს, რომ თავი შემაყვარეს. თუ შეიძლება, შენი სულის ჭირიმე, ნინო, სააღდგომოდ გამომიგზავნე. ვიცი, რომ გიყვარვარ, თუმცა ცოტა ხელის მოჭერა გიყვარს, მარამ ჩემი სიყვარული გაგაბედინებს“.

ამ წერილმა მოგონებები და ფიქრები აუშალა, ცუდ გუნებაზე დადგა. წერილი კონვერტში ჩადო და წიგნი აიღო. ფიქრების გასაფანტავად წიგნი უებარი წამალი იყო. დიდხანს იკითხა, უკვე სადილობამ მოაღწია, შიმშილი არ უგრძვნია, მაგრამ გულმა მაინც მეგობრისაკენ გაუწია.

პეტრე ნაკაშიძე, იქვე ახლოს, ილიას მეზობლად ცხოვრობდა, საზაფხულოდ თბილისში წასვლა ვეღარ შეძლო და პავლოვსკში დარჩა.

- პეტრეს გაუმარჯოს! - შესძახა ილიამ ღია ფანჯარაში.

პეტრეს მაგიდაზე „ცისკრის“ ნომერი გაეშალა, ფურცლავდა გაყვითლებულ ჟურნალს, რაღაცას ეძებდა. იქვე კუთხეში სამოვარი შიშინებდა. პეტრეს გაეხარდა მეგობრის მოსვლა და გაეხუმრა:

- ასე ადრე რამ მოგიყვანა, ჩაიდნის შიშინი ხომ არ გაიგონე?!

- მაშა.

ილია ოთახში შევიდა, საყელო შეიხსნა და სკამზე ჩამოჯდა.

- ამ გაზეთების კითხვას კიდევ ვერ მორჩი?
- ზოგი ნომერი არ მქონდა და გუშინ მივიღე.

ხანდახან გადავფურცლავ და გულს მომეშვება ხოლმე... შენ ბედი დაგყვა, ილია, პირველმა ლექსმა პირველი ქება მოგიტანა. ივანე კერესელიძის წერილი ხელახლა გადავიკითხე და მეამა.

- მადლობის მეტი რა მეთქმის, მაგრამ, ჩემო პეტრე, „ჩვენი ცისკარი ჯოჯოხეთის კარია და არა ცის“.
- რა მწარე ენა გაქვს.
- არ მეთანხმები თუ?

პეტრე ჩაფიქრდა, პასუხი შეუგვიანა.

- გეთანხმები, მაგრამ „ცისკარი“ გასაწირავი არ არის, ის მაინც დიდ საქმეს აკეთებს.
- დიდი საქმე... - დაიწყო ილიამ, მაგრამ მეგობარმა შეაჩერა.
- რა გაქვს საკამათო, მოდი, ჩაი დავლიოთ. ყუათიანი ნამცხვარიც მაქვს.

ილიას ცხელი ჩაი არ უყვარდა. როგორც ყოველთვის, ახლაც ფინჯანში დაასხა მოყავისფრო, გუბგუბა ჩაი, თანაც ნამცხვარი შეატანა. ერთი ჭიქა რომ გამოცალა, მეგობართან ბოდიში მოიხადა და წამოდგა.

- იყავ, სად მიდიხარ?

- შინ უნდა წავიდე. „დედა და შვილი“ მიტირის! - გაიღიმა მან.

პეტრე გუშინ იყო ილიასთან, წაიკითხა პოემის დასაწყისი, მოეწონა დედის მონოლოგი და დაიმახსოვრა. მას საოცარი მეხსიერება ჰქონდა. იცოდა მეგობარს აამებდა და ის ადგილი ხმამაღლა წარმოთქვა:

მე ვწუხვარ მასზედ, რომ ჩვენს მამულს ამ ნეტარ დღესა
მხოლოდღა ერთი შეაკვდება ჩემგან შობილი...
ასიც რომ მყვანდეს, ასსვე მხედრად მამულს მივცემდი.

ილიამ გადაწყვიტა ეს პირველი პოემა მიეძღვნა პეტრე ნაკაშიძისათვის.

და, შინ რომ მოვიდა, უკვე მოფიქრებული „მიძღვნა“ ცალკე ქაღალდზე დაწერა და პოემას წაუმძღვარა.

სიჩუმეში, ფიქრსა და წუხილში ილიამ დაინახა, როგორ შემოვიდა სოფიო ჩაიკოვსკაია. რაღაც ამაყი და მიუკარებელი ეჩვენა, ერთიც არ გაუღიმა, ფანჯარასთან გოროზად დადგა.

ილია მისკენ რომ წავიდა, მაშინვე უკვალოდ გაქრა.

ილიამ თავისი ფიქრი, სურვილი და ეჭვი პატარა ლექსში გამოამჟღავნა:

„სატრფოვ! ხშირად ლაღი ფიქრი
გამიტაცებს მსუბუქ ფრთითა,
ვითომც მე რომ მოგხვევივარ
სავსეს ეშხის სიამითა.
„დასტკბი, გიჟო! - მეუბნები, -
აჰა ჩემი წრფელი გული!
ბაგე ბაგეს ჩავაკონოთ
და ჩავართათ სულთან სული!“
თუმც ეს, ტურფავ, სიზმარია,
მითაც სტკბება გული კრული...
თუ არ სიზმრით, მაშ რით დასტკბეს
უიმედო სიყვარული!“.

ილიამ ლექსს თარიღი მიაწერა: „21 ივლისი 1860 წ., პავლოვსკი“.

კვირას სოფიოს მოსამსახურემ ბარათი მოუტანა.

ილიამ ამ მოულოდნელ ბარათს თვალი გადაავლო და გაუკვირდა: „პაემანი სასწრაფოდ, დღეს ექვს საათზე, რამ ააჩქარა?“ - გაივლო გულში და იკითხა:

- სტუმრები ხომ არ ჰყავს?
- არა, რა გადავცე?
- შევხვდები.

მოსამსახურე წავიდა. ილია ფიქრმა წაიღო.

ივლისმა ცუდად დასცადა. სოფიოს თითქმის ყოველ-დღე ხვდებოდა, მაგრამ მათ ურთიერთობაში ჩამომ-

დგარი სიცივე თანდათან ღრმავდებოდა. ქალიშვილი გულს არ უხსნიდა. წინანდელივით წრფელი და მხიარული აღარ იყო, რაღაცას მალავდა. ჩაფიქრებული და მოწყენილი ჩანდა.

ილია გრძნობდა ამ სიცივეს, მოახლოებულ შიშს და მოსვენებას კარგავდა.

... ექვს საათზე ილია სოფიოს აგარაკზე მივიდა.

შემკრთალი სოფიო ღიმილით გამოეგება და იქვე, ბაღში, სკამზე ჩამოსხდნენ. პირველად ხმის ამოღება ორივეს გაუჭირდა, ბოლოს ისევ ილიამ დაარღვია უხერხული სიჩუმე.

- ქამარ-ხანჯალი გექნება, აუცილებლად გამომიგზავნიან!
- რა საჭიროა, - ცივად მიუგო სოფიომ. - მე ხომ მაგ საჩუქარს ვერაფერში ვერ გამოვიყენებ?!
- რატომ, დაგშვენდება!
- მე და ხანჯალი?! - სოფიომ გაიცინა.

ილიას გული ჩასწყვიტა ამ ცივმა სიცილმა.

- მე მოგართმევთ და, თუ გინდათ, მერე გადააგდეთ.
- ბრაზდებით?! რას ნიშნავს, რომ ფიცხი ქვეყნის შვილი ხართ, მაგრამ ამაზე ახლა სიტყვას არ გავაგრძელებ. ისედაც ბევრი რამ უნდა გითხრათ.

ილიამ უკვე იგრძნო, კარგ რამეს რომ არ ეტყოდა, წინასწარი შიში და ეჭვი არ ასვენებდა.

ის „ერთი სიტყვა“ ილიამ მშვიდად ვერ მოისმინა, ტყუი-

ლად კი არ უაზრებდა გული ცუდს. შინ გვიან მივიდა მოშხამული, დამცირებული და უიმედო. ის „ერთი სიტყვა“ და თავისი ბოღმა მაშინვე ქაღალდზე გადაიტანა ლექსად.

„ერთხელ მითხარ: „ცხოველს ქვეყნის
ივერიის შობილი ხარ;
მაღალ მთების ქარიშხალით,
ელვით, ჭექით გაზრდილი ხარ.
მე ჩრდილოეთის ველზედ ვყვავი,
ზამთრის სუსხით დაჩაგრული;
შენს მხურვალს გულს ვითა გასცემს
პასუხს ჩემი ცივი გული?!“

ლექსი დაამთავრა, ხმამაღლა გადაიკითხა და თარიღი მიუწერა: „22 ივლისი, 1860წ., პავლოვსკი“.

ილია წამოდგა და ის იყო კარიც გაიღო. შემოვიდა კოხტა. ჩაის შესატანებლად ნამცხვარი ეყიდა, ქაღალდის პარკი მაგიდაზე დადო, ჯერ კიდევ მელანშეუშრობელი ლექსის გვერდით.

- ტკბილი ჩაი, ტკბილი ნამცხვარი, პირი ჩავიტკბარუნოთ და მერე კარგა დაგვეძინება! - თქვა კოხტამ და უკან კარებში გასძახა: - ხაზეიკა, სამოვარი!

ილიას ხმა არ ამოუღია, მოღუშული იჯდა.

კოხტამ მისი უგუნებობა უცებ ვერ შენიშნა, პარკი დარ-

დიმანდულად გახსნა და მიაწოდა.

- აჰა, აიღე.
- არ მინდა, გმადლობთ!
- რა მოგივიდა ილიკო?! - იკითხა გაკვირვებულმა, მაგრამ გულის ტკივილს უცებ მიუხვდა. - გაგიჭირა ამ სიყვარულმა საქმე, დღესაც მოგშხამა?

კოხტამ ახლა შენიშნა ლექსი, აიღო, წაიკითხა და ისევ ჩუმად დადო მაგიდაზე.

- „ცივი გული“... მართალი უთქვამს. გაუშვი, მაგისი რჯული არ იყოს, შენ მაინც უცნაური გატაცება იცი, მოეშვი მაგ ცივ გულებს. საცაა შინ დავბრუნდებით და იქ ჩვენებური ცხელი ქალის გული ცოტაა? ჰა, რას იტყვი?

ილიას ნაღვლიან ფიქრში გული ეწურებოდა და კოხტას ლაპარაკი არც გაუგონია.

- კაცო, ენაც წაგართვა იმ ქალმა? ხმა გამე! - წამოიყვირა კოხტამ.
- კალოზე ხომ არ ხარ, დაჯექი! - მიუგო ილიამ.

კოხტა არ დამჯდარა, ახალი ლექსი, თეთრ, ტკიცინა ქაღალდზე შავი მელნით რომ იყო დაწერილი, ხელში შეაფრიალა.

- ვაცხონე სოფიოს მამა, ისე დაგწვა, რომ ცხელ-ცხელი ლექსები გაყრევინა.
- კოხტა, გეყოფა.
- სოფიოს მადლობას ვეტყვი. აი, ნახავ, თუ არ ვუთხრა.

- კარგი ერთი, გეყოფა!

ილიამ ქაღალდი გამოართვა, ახალი ლექსის სათაური - „სოფიო ჩაიკოვსკაიას“, წაშალა.

- მარტო ეს არ კმარა. გულიდან უნდა ამოიშალო.
- რა ხუმრობის გუნებაზე ხარ?!
- რაც უნდა მითხრა, შევხვდები თუ არა, კარგ მადლობას ვეტყვი.
- რისთვის?
- ივლისში რომ კარგი კალო დაგვიყენა. ამდენი ლექსი შენ არასდროს არ დაგიწერია.
- რას ამბობ, „მუშაც“ იმან დამაწერინა?
- არ იცი რო!

ილიას გაეცინა.

- გეტყობა, ბევრი ტკბილი გიჭამია, კარგ გუნებაზე ხარ.
- შენც მოგიტანე, ჭამე, შენც კარგ გუნებაზე დადგები.
- მე კანფეტი გუნებას ვერ გამიკეთებს.
- აბა, მე რა ბავშვი მნახე?

დიასახლისმა მოთუხთუხე სამოვარი შემოიტანა, მაგრამ ლაპარაკს შეჰყვნენ და ჩაი არც ერთს არ დაუსხამს.

ბოლოს კოხტა მაინც არ მოეშვა:

- კიდევ როდის შეხვდები სოფიოს?
- არასდროს! - ფიცხლად მიუგო ილიამ.

კოხტა გვიან წავიდა.

იმ ღამეს ილიას არ დაუძინია. ახალ ნაწარმოებს, რო-

გორც თვითონ იტყოდა, შალაშინი გაჰკრა, გადაიწერა და ჩვენამდე ის ლექსი ასეთი სათაურით მოვიდა „ს...სას“.

ილიამ იმ კვირას ბევრი იკითხა გოეთე. ერთ ლექსში ასეთ სტრიქონს წააწყდა, გოეთე ამბობს: „მე ვმღერი, ვით მღერის ფრინველი“. არ მოეწონა და გულში კიდევაც გაეკამათა დიდ პოეტს. მერე ის ფიქრი ლექსად აკინძა:

„მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო,
ვით ფრინველმა გარეგანმა;
არა მარტო ტკბილ ხმებისთვის
გამომგზავნა ქვეყნად ცამა“...

როცა „მგზავრის წერილებს“ წერდა, ილიას ისევ გოეთე წარმოუდგა თვალწინ. „მე, როგორც ქვეყნის შვილს, თერგის სახე უფრო მომწონს, უფრო მიყვარს. მყინვარი დიდ გოეთეს მაგონებს და თერგი კი მრისხანე და შეუპოვარ ბაირონსა. ნეტავი შენ, თერგო! იმით ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ... მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მომცემი“.

III

მაისი იწურებოდა. არდადეგები კარზე იყო მომდგარი. სტუდენტები გაწამაწიაში იყვნენ. ვინ სად აპირებდა დასას-

ვენებლად წასვლას და ვინ სად. ილიას ჯერ არ ჰქონდა თავისი ბარგი-ბარხანა შეკრული. მან ძირითადი საგნები ჩააბარა, ნიშნებიც კარგი მიიღო, ეგონა ამით მოვრჩი პირველ კურსზე ჯახირსო. მაგრამ უნივერსიტეტში ხმა დაირხა, იურიდიულ ფაკულტეტს კიდევ რამდენიმე საგანში ექნება გამოცდაო.

- ბედი არ გინდა, ბოღჩა შეკრული მქონდა! - წუხდა კოხტა.
- მაინც სად აპირებდი? - ჰკითხა ილიამ.
- შინ. განა შენ არ მიდიხარ?
- ჩვენი არდადეგები გზას უნდა. ეს არ იანგარიშე?
- ვიანგარიშე და კიდევ ორი კვირა გვრჩება.
- იქნებ ცხენი შეგხვდა ჯაგლაგი და ის ორი კვირაც გზაზე დაგტოვა, მაშინ?
- მაინც წავალ, ჩვენები მომენატრა! - არ თმობდა კოხტა.
- შენი ნებაა, მაგრამ დამატებით გამოცდებს რას ეუბნები?
- მეც ეგ მაწუხებს. წამო, წავიხემსოთ, არა გშია?
- მშია, მაგრამ მამაცაშვილს ველოდები, დამპირდა, რომელ საგნებში იქნება დამატებითი გამოცდა გავიგებო.
- ვინ ეტყვის?
- სტასიულევიჩის იმედი აქვს.

დიდხანს ლოდინი არ დასჭირდათ.

მალე გაიღო კარი და კონსტანტინემ დაიძახა:

- მოდით!
- გაიგე? - მოუთმენლად იკითხა ილიამ.
- ბრძანება გამოაკრეს, წამოდით დასტკბით.
- რაღა მესამე სართულზე გინდა აგვიყვანო, - მიუგო ილიამ, - გვითხარი და გაათავე.
- პირველი, სახელმწიფოებრივი უფლება, - დაიწყო კონსტანტინემ, - მეორე, რუსეთის კანონმდებლობის ისტორია, მესამე კიდევ, ჩემო ილია, შენი საყვარელი საგანი - ღვთისმეტყველება, კიდევ, ზოოლოგია. როგორ მოგწონს?
- სულ ეგ არის?
- არა, კიდევ ფსიქოლოგია.
- ძალიან გამახარე, ამას ერთი მაღარიჩი უნდა! - გაეცინა ილიას. - კაცო, ეს ზოოლოგია რაღა აგვკიდეს?!
- რას იზამ, კანონი კანონია! - თქვა კონსტანტინემ.
- ეგრეა, ახლა ლაპარაკი კუჭს ვერ ამოგვივსებს, წავიდეთ!
- არ მინდა საჭმელი, არაფერი არ მინდა!

ილიამ ქუდი მოიშვლიპა და წავიდა.

- რა მოუვიდა? - გაუკვირდა კონსტანტინეს.
- ამ საგნებში ინჩიბინჩი არ იცის.
- როგორ არ იცის, ფსიქოლოგია?

- ფსიქოლოგიას არ გეუბნები, მაგრამ სახელმწიფოებრივი უფლება, რუსეთის კანონმდებლობის ისტორია პუშკინისა და გოეთეს ლექსები ხომ არ არის. დალოცვილი ჩაუჯდა და დაიწყო მათი გადმოქართულება. სწავლა?
- ეს რომ სოლომონ ჭავჭავაძემ გაიგოს, ორმოც მანეთს კი არა, ორმოც კაპიკსაც არ გამოუგზავნის.
- თუ კაცი ხარ, ეს ფული არ უხსენო ილიას, გაგიჟდება. იმ ბრიყვმა სოლომონმა არ იცის ილიას ხასიათი. ფულს ისეთი ჭკუის დამრიგებლური ბარათი მოაყოლა, კაცს დაბადება აწყევლინა, თავში მუშტები ირტყა ილიამ, რატომ ვარ ასეთი უბედურიო. ბარათი და ფული უკან გაუგზავნა, არ გაბედო და ჩემკენ არ მოიხედოო.
- მაინც რა მოსწერა ამ ბრძენმა სოლომონმა?!
- რევოლუცია არ გააკეთო, მეფის აუგი არ წამოგცდესო, თორემ კაპიკს არ გამოგიგზავნიო.
- ძალიან ფიცხია ილია, ახლა ელოდოს შინიდან როდის გამოუგზავნიან ფულს!
- ავკაცობა სოლომონს, თორემ ილია შიმშილით არ მოკვდება.

სიტყვა გაუგრძელდათ, მაგრამ ნელ-ნელა სიარულით მაინც დროზე შევიდნენ სტუდენტთა ღარიბულ სასადილოში.

იმ საღამოს კოხტას ილიასთან არ შეუვლია, თავის

ოთახში ჩაიკეტა და გვიანობამდე მეცადინეობდა. დილით ადრე წამოდგა და ამხანაგს მიაკითხა. მაისი იწურებოდა, საკმაოდ თბილოდა და ორივე ფანჯარა ღია დაუხვდა კოხტას.

კოხტას კარზე არ დაუკაკუნებია, ფანჯარაში შეიხედა. წიგნებით სავსე მაგიდაზე თავი ჩამოედო ილიას და ეძინა. დილის ნიავს მისი სქელი, შავი თმა ფაფარივით გაეშალა.

კოხტას დიასახლისი გამოეგება და ჩურჩულით უთხრა:

- თავს იკლავს, თავადო, ამდენი სწავლა შეიძლება? წუხელის არ დაუძინია და ახლა ჩაეძინა. ეს ცხოვრებაა?
- ცხოვრებაა, სტუდენტური ცხოვრება! - გაიცინა კოხტამ. - ეძინოს, მერე შემოვივლი.

მთელი ორი კვირა გაწამაწიაში იყო ილია.

წერდა, კითხულობდა, გასაზეპირებელს იზეპირებდა.

მაისის მიწურულს ილიამ გამოცდები ჩააბარა.

პეტერბურგის უნივერსიტეტის „იურიდიული ფაკულტეტის 1857-58 აკადემიური წლის დამატებით გამოცდების შესახებ“ არქივში არსებულ უწყისს შემოუნახავს ილიას მიერ გამოცდებზე მიღებული ნიშნები: სახელმწიფოებრივი უფლება - 4, რუსეთის კანონ-მდებლობის ისტორია - 4, ღვთისმეტყველება - 5, ზოოლოგია - 3, ფსიქოლოგია - 5.

ილია მეორე კურსზე გადავიდა, უკვე თავისუფალია,

შეუძლია არხეინად დაისვენოს, გულითა და სულით ყვარელშია, თავის ნათესავებთან, ტოლ-სწორებთან. მაგრამ რომ ვერ მიდის, მისი წუხილი და ტკივილი ეს არის.

ფიქრმა თითოეული გლეხის გულში ჩაახედა. რაც იმათ ალალ გულში ტკივილი და სიხარული, ჭირი და ვარამი ნახა, ის ლექსში წმინდა სანთელივით ჩამოქნა და თავის მადლიან ნახელავს „გუთნის დედა“ უწოდა.

ეს ლექსი მაშინვე გამოსაქვეყნებლად ვერ გაიმეტა. ხუთ წელიწადს არც გულის სითბო მოაკლო, არც კალმის გაკვრა-გამოკვრა და მერე „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდა.

„გუთნის დედას“ მეორე ლექსი - „სიმღერა“ მოჰყვა, ისიც ურმულს ჰგავდა, ჩვენებურ ურმულს, თუმცა განსხვავებაც ბევრი იყო. მეურმე აღზევანზე ერთი მიზნით მიდის, მარილის მოსატანად. პეტერბურგში მყოფ ილიას კი ცოდნა უნდა მოეტანა სამშობლოში და იმ ბეჩავი მეურმის ბედზე უნდა ეზრუნა. ამიტომ მოელოდა ხიფათს და მღეროდა:

სად მიგყევარ, მდინარევ
მოწყენილ სიცოცხლისავ!
ჩემს მცირეს ნავს რას არხევ,
ზვირთო წუთისოფლისავ!
რას შემამთხვევ, ვინ იცის.

1859 წლის თებერვალი ყველაფერს თოშავდა, ილიას დაეზარა ფოსტაში წერილი წაღება, ისევ „ვახტანგის სამართალი“ აიღო და ფანჯარასთან მივიდა. გარეთ არ თოვდა, მაგრამ ყინვა მძვინვარებდა, ტიტველი არყის ხე ჭილყვავებს გაეცოცხლებინა, ზოგი ტოტიდან ტოტზე ხტებოდა, ზოგი მოფუყული იჯდა თავისთვის, ზოგიც კენწეროს დასტრიალებდა.

ილიამ ერთხანს უყურა ამ შეწუხებულ ფრინველებს, მერე წიგნიც დაკეცა და მაგიდას მიუჯდა. მაგიდაზე ეწყო პოლიტიკური, ეკონომიური და ფილოსოფიური წიგნები. ილია გატაცებით ეწაფებოდა მეცნიერების ამ დარგებს.

დეკარტე, ბეკონი, „ოტეჩესტვენიე ზაპისკი“, დიკენსი, ჟორჟ სანდი, გოეთე, შექსპირი, ბევრი გაყვითლებული და გაცრეცილი წიგნი ეწყო მაგიდაზე. „ოტეჩესტვენიე ზაპისკის“ ერთ-ერთი ნომერი გადაშლილი იყო და წერილი „მსოფლიოს მექანიკური თეორია“ ორ ადგილას ამოეხაზა ილიას, ხოლო ერთგან ფანქრით კითხვის ნიშანი დაესვა.

ახლა ეს ჟურნალი დაკეცა და თაროდან ჩამოიღო ყდაშემოცლილი „ათენის რესპუბლიკის ისტორია“.

როცა წერდა ან კითხულობდა, დაღლას ვერ გრძნობდა, შეეძლო მთელი დღე მაგიდასთან ჯდომა და თავაუღებლივ კითხვა, კითხვა ავიწყებდა ჭამას, სმას და ძილსაც კი, ასე იყო დღესაც, ათენის ისტორიას თვალი ვერ მოსწყვიტა. ათენელების ცხოვრებისა და ბრძოლის

ამბები შორეული მთებიდან ანკარა მდინარედ მოედინებოდა, ილია თავისი დაუცხრომელი წყურვილის მოსაკლავად ამ მდინარეს დაეწაფა.

მაგიდაზე ჩამოდგმული სადილი გაცივდა, დიასახლისმა ლამფა აანთო და „კნიაზს“ უსაყვედურა: სადილისათვის ხელი არ გიხლიათო.

- ჭამას მოვასწრებ!
- ვახშამს მიირთმევთ?
- თუ მაჭმევთ, რატომაც არა.

კალჩინა სამზარეულოში გავიდა და მოხრაკული ღორის ხორცით სავსე თეფში შემოიტანა.

არც მეორე დღეს გამოსულა შინიდან, არც მესამე დღეს. მეოთხე დღეს პარასკევი იყო. თოვლს თოვლი დაემატა და შემოძარცვული არყის ხე თეთრად შეიმოსა. ყინვამ ძალა მოიკრიფა, მარხილებს დარი დაუდგათ. ციოდა, მაგრამ ილია ოთახში მაინც ვერ გაჩერდა, უნივერსიტეტში პროფესორ ნიკოლოზ კოსტომაროვის ლექცია იყო და შინ რა გააჩერებდა. ილიას უყვარდა ეს სწავლული და დღესაც ერთი საათით ადრე წავიდა, რომ აუდიტორიაში პირველ მერხზე მოხვედრილიყო. კათედრის წინ უყვარდა ჯდომა, პროფესორის არც ერთი სიტყვა რომ არ გამოპარვოდა.

დილას ცოტა წაეძინა, ჩაის და საუზმის დრო არ დარჩა, სახელდახელოდ ჩაიცვა და უნივერსიტეტისაკენ გაექანა. იქ კოხტა დაუხვდა და ორივემ ერთად შეირბი-

ნეს მეთერთმეტე აუდიტორიაში, მაგრამ ილიას აჩემებული მერხი უკვე დაეკავებინათ. დარბაზში სტუდენტები ირეოდნენ, მეშვიდე რიგის კუთხეში, ფანჯარასთან, ძლივს მოკალათდნენ დანჯღრეულ მერხზე. უნივერსიტეტის ეს ყველაზე დიდი აუდიტორიაც კი მოზღვავებულ სტუდენტებს ვეღარ იტევდა.

დაიწყო ლექცია. კათედრაზე მდგომ პროფესორს ილია კარგად ვერ ხედავდა. წინა მერხზე ვიღაცა მაღალი სტუდენტი გამოჯგიმულიყო და მისი გაშლილი მხარბეჭი უშლიდა. ილიამ ხერხს მიმართა, სკამზე წიგნები დააწყო და ზედ ჩამოჯდა.

- ეი, ჩამოდი! - ზურგზე უბიძგა ვიღაცამ, მაგრამ ილიას ყურადღება არ მიუქცევია, პროფესორის მეტს ის ვერავის ხედავდა, მისი გული რუსეთის ისტორიის წყაროებს მიეპყრო.

კოსტომაროვი მოხუცი იყო. მჭკნარ, უფერულ სახეს თეთრი წვერი უბურავდა, სიარულიც აუჩქარებელი იცოდა, აუდიტორიაში ძლივძლივობით შემოდიოდა, მაგრამ უცებ იცვლებოდა, თითქოს ასობით სტუდენტის თვალები - მისკენ მიპყრობილნი, ახალგაზრდულ სიმხნევეს მიასხივებდნენ, მისი სიძაბუნე იქვე, კართან რჩებოდა, კათედრაზე უკვე ჭაბუკი და რიხიანი ადიოდა. „დიდი ენერგიით კითხულობდა თავის საგანს, ხმამაღლა, გარკვევით. თითოეულ სიტყვას კვერს ჰკრავდა ხოლმე და ექვსასი თუ შვიდასი მისი მოწაფე ისე გულმოდგინებით

უგდებდა მას ყურს, რომ ბუზის ფრენასაც კი შეიტყობდა იმ სიჩუმეში“, - შენიშნავს ნიკო ნიკოლაძე.

ლექცია დამთავრდა, კოსტომაროვმა სტუდენტებს თავი დაუკრა და აუდიტორიიდან გავიდა. განაბული სტუდენტები ისევ აზრიალდნენ.

ილიამ კოხტას შეახსენა:

- გახსოვს, რომ მითხარი, კაცი ჩაცმაააო?
- მახსოვს, მერე რა?
- პროფესორს, ხედავ, რა გახუნებული და მოფლაშული სერთუკი ეცვა.
- იმას ტანისამოსზე ვინ უყურებს, აი აქ უყურებენ, - კოხტამ შუბლზე მიიდო ხელი.
- მაშ, კაცი ტანისამოსი არ ყოფილა!
- რას ჩააცივდი ამ ტანისამოსს?! - გაუბრაზდა კოხტა, მაგრამ ისევ მალე მოლბა და ორივენი „კუხმისტერსკში“ შევიდნენ სასადილოდ.

ერთი თვის შემდეგ ილია თავის არეულ-დარეულ მაგიდას რომ ალაგებდა, ქაღალდებში დისადმი გასაგზავნ ბარათს წააწყდა. ეწყინა, როგორ გადამავიწყდა გაგზავნაო. გადაათვალიერა, ისევ „კუტრობაზე“ წერდა.

შემდეგ წერილს ჩაჰყვა და იმ ადგილს მიადგა, სადაც ქალურ ქამარ-ხანჯალს სთხოვდა, მოინდომა ამოშლა, მაგრამ გულმა შეაჩერა და ფანქარი ისევ მაგიდაზე დააგდო... გუშინ სოფიომ გული ატკინა - პაემანზე არ მო-

ვიდა. მთელი სამი საათი ბიბლიოთეკის წინ წრიალებდა ილია, გაბრაზებული და გაავებული დაბრუნდა.

დილით იმ ბარათს მიაწერა: „ნინუცი! მეგონა ეს წიგნი გამოგიგზავნე შენ და ახლა ვიპოვე ქაღალდებში, აქ დამრჩენია თურმე“.

უნივერსიტეტში წასვლის დრომაც მოაღწია, პალტო ჩაიცვა ქუდი დაიხურა და თბილი ოთახიდან გავიდა. ციოდა, ფეხს აუჩქარა, ფოსტაში შეირბინა, წერილი გაგზავნა და მერე უნივერსიტეტისაკენ გასწია.

IV

ილიამ ცოტა მოიხედა, მაგრამ ლოგინს ვერ შორდება, მუხლებში ძალა არ მოსდევს, ჩამოდნა, ჩავარდნილ ლოყებს შავი, გაბურძგვნილი წვერი უფარავს, ფართო შუბლი უხურს, სიცხისაგან პირი უშრება. ექიმი დღესაც ეწვია, სიცხე გაუზომა, წვეთები გამოუწერა და თან გააფრთხილა:

- მარტო წამალი ვერ გიშველის, შენც უნდა იყოჩაღო, ადექი, გაიარ-გამოიარე, საღამოსაც გამოგივლი, ლოგინში არ გნახო, იცოდე!

ექიმი რომ წავიდა, ილია წამოდგა, თბილად ჩაიცვა, მაგიდას მიუჯდა. მაგიდაზე, წამლების გარდა, ტკბილეულიც ბლომად ელაგა. მეგობრებმა იცოდნენ, რომ ილიას შაქარყინული უყვარდა და ცოტაცოტა ყველას

მოეტანა, თეფშებზე წითელი და თეთრი შაქარყინული ბრწყინავდა.

„ეხ, ნეტავი თემო მოვიდოდეს, პირს ჩაიტკბარუნებდა“. ილიამ ამასწინათ თავის დას კარდანახში ბარათი მისწერა, თემურის ამბავიც შეატყობინა: „თემური ძალიან კარგად არის, გაიხარე, ნინუცი, კარგი ჭკვიანი ძმა გყავს, ღმერთმა აცოცხლოს, მარტო ერთი არ მომწონს თემურში, ძალიან ფიქრიანია“.

თემური ძვირად იცინოდა, სახე მუდამ მოღუშული და ბურუსიანი ჰქონდა. „ნეტავი რა ჯავრი ბრუნავს თემურის გულში“, - ფიქრობდა ახლა ილია. არც კითხვის თავი ჰქონდა, და არც წერის. ფიქრი არ ასვენებდა, თავისთავად მოდიოდა, ფიქრს არც ღონე უნდა, არც დრო.

ვიღაცამ კარზე დააკაკუნა.

- შემობრძანდით!

შემოვიდა თემური. უფროსი ძმა ფეხზე რომ დაუხვდა, გაუხარდა, ჯარისკაცული ნაბიჯით მიუახლოვდა და ხელი გაუწოდა.

- მთლად „სალდათს“ ნუ დაემსგავსე, ბიჭო, - შეაგება ილიამ და გულში ჩაიკრა.
- ექიმმა ადგომის ნება მოგცა?
- მომცა!
- მე მაინც მეშინია, არ შეგაქციოს.

- არა მგონია... მოდი, პირი ჩავიტკბარუნოთ, დაჯექი.

ილიამ თემური გვერდით მოისვა, წითელი შაქარყინულით სავსე თეფში წინ დაუდო.

- ექიმმა მირჩია, სამშობლოში წადიო, - დაიწყო ილიამ, - მეც ვიცი, ყვარლის ჰაერი მარგებს, უნდა წავიდე.
- როდის აპირებ?
- როცა შევძლებ, ჯერ ონსილა არა მაქვს, ძლივს დავხანხალებ.
- ნეტავი მეც მოვდიოდე!
- წამოდი.
- ვინ გამიშვებს. ყოველ წუთს რას, დვა! რას, დვა! მომბეზრდა, შემზიზღდა ყველაფერი.
- აა, ეს არ გამაგონო, შენ ჭკვიანი ბიჭი ხარ, ცოტა ხანს გაიჭირვე, ისწავლე და მერე...

თემურს პირში შაქარყინულის ნაჭერი ედო და სანამ არ შეახრამუნა, ხმა ვერ ამოიღო.

- მე ოფიცრობით აშენებული და გამდიდრებული კაცი არ მინახავს.
- მაშ შენ, მომავლისა არა გწამს?!

კაკუნი გაისმა და კარიც გაიღო...

სოფიო ჩაიკოვსკაია თამამად შემოვიდა, მისი კაბის შრიალმა თითქოს სიო შემოიტანაო.

თემურმა უცებ ილიას შეხედა, გაიღიმა და თავი ჩაღუნა. ეს ჩუმი, ბავშვური გულწრფელობით სავსე ღიმილი სტუმარმა მაშინვე შენიშნა, წარბი ასწია და ილიას

თვალი ჩაუკრა.

- ავადმყოფო, როგორ გიკითხო?
- მეშველა, მგონი აღარ მოვკვდები! - მიუგო ილიამ და სკამი შესთავაზა.

სოფიომ ბადესავით ნაქსოვი, შავი ხელთათმანი, რომელიც იდაყვამდე სწვდებოდა, წაიძრო, ხელჩანთაში ჩააგდო. ცოტა ხნის შემდეგ ისევ გახსნა ხელჩანთა, ფრანგული კამფეტები ამოიღო და მაგიდაზე დაყარა. ერთი ფილა თემურს მიაწოდა.

- პატიჟის თავი არა მაქვს, გენაცვალე, ჯარისკაცივით მითხარი: - არის, შევჭამოო, და მიირთვი.

თემურს გაეცინა და გამოართვა.

- ბოდიში, კანფეტი და ქართველი რაღაც ვერ ეწყობა, - ღიმილით გადაუჩურჩულა სოფიომ ილიას, - კონიაკისა და შამპანურის დალევა ჯერ არ შეიძლება, რას იზამ!
- ნუ სწუხხართ, კანფეტი კი არა, შხამიც რომ მოგეტანათ, იმაზედაც მადლობას გეტყოდით.
- ენა მწარე გაქვს, ილია გრიგორიჩ, გული კი კეთილი და ტკბილი.
- ვითომ?

თემური წამოდგა.

- მე წავალ! - მორიდებით თქვა მან.
- იყავი, რა გეჩქარება?

- მაშინ მეც წავალ! - სკამზე ნაზად შეირხა სოფიო.
- თქვენ ბრძანდებოდეთ, მე ათასი უფროსი მყავს, ცოტა ხნით ძლივს გამომიშვებს!
- უფროსებისა ნუ გეშინია, მამას ვეტყვი და უბატონოდ ხმას ვერავინ გაგცემს. ცოტა შეიცადე.
- ასე აჯობებს, დარჩი, - სთხოვა ილიამაც. თემური დაჯდა.

თემურმა მაგიდიდან „ცისკრის“ ახალი ნომერი აიღო და გადაფურცლა. „ცისკრის“ იმ ნომერში შილერის ლექსი „ცრემლთა შინა ნუგეში“ იყო დაბეჭდილი. როცა ამ ლექსს ილია თარგმნიდა, მაშინ თემური მასთან იყო სტუმრად და ახლა დაბეჭდილი რომ ნახა, გაეხარდა. გუშინწინაც ლოგინში მწოლიარე ილიას გოეთეს ლექსი ხმამაღლა, გამოთქმით წაუკითხა. ავადმყოფი ძმა ამით ასიამოვნა და ესეც ბევრ რამედ უღირდა პატარა „თემურიკოს“.

სოფიო ახლა უფრო ლამაზი ეჩვენა ილიას. თმა მოდაზე დაეყენებინა, კეფაზე წვრილ-წვრილი ხვეულები ტალღა-ტალღად ეყარა, ხოლო ლამაზ, პატარა ყურებზე დაშვებული კულულები ოდნავ ერხეოდა. სოფიო სკამზე რომ დაჯდა, მოსასხამი მხრებზე გადაიგდო და გამოაჩინა ვიწრო წელზე შემოჭერილი ვერცხლის ქამარი, მორკალული პატარა ხანჯლით. ეგონა ამით ავადმყოფს ასიამოვნებდა, ილიამ თვალი შეავლო ამ სამკაულს, ცი-

ვად გაეღიმა და მერე ქალიშვილს შეხედა. სოფიო ღელავდა, მკრთალი სახე წამოსწითლებოდა, ვარდისფერი ცხვირსახოცით ნიკაპზე ოფლს ნაზად იწმენდდა.

- თქვენები როგორ არიან? - გვიან შეაპარა ილიამ.
- გმადლობთ, არ ვიცი, დედას როგორ შეურიგდებით, გაჯავრებულია, ჩვენი ოჯახიდან ფეხი რომ აიკვეთეთ.
- იქნებ მე უფრო მეტად ვარ გაჯავრებული? - კითხვა შეუბრუნა ილიამ.
- ამაზე ახლა ნუღარ ვილაპარაკებთ, გთხოვთ! - მიუგო სოფიომ და თითქოს ახლა გაახსენდაო, წამოდგა, მოსასხამი ხელებით გასწი-გამოსწია და წელი შეარხია.
- მეუბნებიან გხატავსო, მართალია?
- თქვენ ისე ხართ დახატული, რომ ქართული ქამარ-ხანჯალი სილამაზეს ვეღარ შეგმატებთ! - ილია თემურს მიუბრუნდა: - რას იტყვი, ძმაო, ქამარ-ხანჯალი ალამაზებს სოფიოს, თუ სოფიო ალამაზებს ქამარ-ხანჯალს?
- რა ვიცი! - მორცხვად მიუგო თემურმა.

სოფიოს სახეზე უცებ სიწითლემ გადაუარა.

აივანზე ფეხის ხმა გაისმა და ის იყო კარიც გაიღო. კოხტა აფხაზი თამამად მოდიოდა, მაგრამ სოფიო რომ დაინახა, კარებშივე შეჩერდა და ბოდიში მოიხადა.

- არა უშავს, არა უშავს, მობრძანდით! -შეაგება სოფიომ.

ცოტა ხნის შემდეგ სოფიო და თემური წავიდნენ, ილიამ ისინი სადარბაზომდე მიაცილა, იქ ძმას ქაღალდში შეხვეული შაქარყინული ჯიბეში ჩუმად ჩაუდო და გაისტუმრა, ჩქარა შემობრუნდა, ნისლი იყო და გაციებისა ეშინოდა.

- რა ამბავია ეს კანფეტები, ღვინო არა გაქვს? - ჰკითხა კოხტამ.
- არა!
- მთლად ფრანცუზი გახდი. ჯანზე როგორა ხარ?
- რა მიშავს.
- ჩაიკოვსკაიას მალამომ გარგო?
- ოხ ძალიან, - გაიცინა ილიამ.

ილიას ავადმყოფობამ შეაძრწუნა პეტერბურგის ქართველობა. ექიმებმა და წამლებმა მომძლავრებულ სატკივარს ვერაფერი უშველეს. მეტი გზა არ იყო, კოხტა აფხაზი ეახლა სამეგრელოს დედოფალს და დახმარება სთხოვა.

მეორე დღეს ცარსკოე სელოდან ექიმი ნიკოლოზ არენდი მოვიდა, გულდაგულ გასინჯა ილია, წამლები არ გამოუწერია, ჩემთან გადაგიყვან და იქ გიმკურნალებო.

კოხტა ცას ეწია, იმპერატორის პირადი კანვოის ექიმს, ნიკოლოზ არენდს, კარგი სახელი ჰქონდა.

ზაფხულში იმპერატორი ალექსანდრე მეორე ცარსკოე სელოში იმყოფებოდა თავისი კანვოით. მეფის დაცვის

უფროსი პეტრე რომანოზის ძე ბაგრატიონი იყო, ნიკოლოზ ბარათაშვილის თანაკლასელი, ცნობილი ფიზიკოსი და ქიმიკოსი, სწორედ ამ ბაგრატიონს სთხოვა ეკატერინემ ილიასადმი ყურადღება.

ილია დაუყონებლივ გადაიყვანეს ცარსკოე სელოში, ბაგრატიონის კომფორტაბელურ ვილაში. ექიმი არენდი სიტყვის კაცი გამოდგა: მან რომ გაიგო, მისი ავადმყოფი პოეტი იყო, უფრო დაინტერესდა. არენდს უყვარდა პოეზია და პოეტები. დუელში სასიკვდილოდ დაჭრილ პუშკინს პირველმა შეუხვია იარა, წამლებიც მან დაალევინა.

დასტაქრის ის ხელსაწყოები კი, რომელთაც პუშკინის სამკურნალოდ ხმარობდა, სამუდამოდ ჩაკეტა ყუთში და ხელი აღარ უხლია.

ამ საბედისწერო ამბის შემდეგ ოცდაორმა წელმა გაიარა, ბევრი რამ დავიწყებას მიეცა, ბევრს ისტორიის მტვერი დაედო, მაგრამ არენდის მგრძნობიარე გულში ისევ ცოცხლობდა პუშკინი, ცოცხლობდა მისი ხსოვნა.

ეს ხსოვნა და სიყვარული ექიმმა თავის შთამო-მავლობას გადასცა. ერთი საუკუნის შემდეგ მისმა შვილიშვილმა მოსკოვში, პუშკინის მუზეუმში მიიტანა ის ყუთი.

ამ დილით კოხტა აფხაზი და ლევან მაღალაშვილი მივიდნენ ილიას ამბის გასაგებად, არენდიმ სტუდენტები

გულთბილად მიიღო, თან შიშიც ვერ დამალა.

- წუხელ სისხლი აღებინა, - ჩურჩულით უთხრა მათ.
- მაშ ცუდად ყოფილა! - შეიცხადა კოხტამ.
- პოეტს არავითარ სატკივარს არ მოვაკვლევინებ, პოეტი მხოლოდ დამბაჩას უფრთხილდეს.

სტუდენტებმა ვერაფერი ვერ გაიგეს ამ გადაკრული სიტყვებისა.

- რა ბრძანეთ?! - ჩაეკითხა მაღალაშვილი.
- სიმართლე, ალექსანდრ სერგეევიჩი ბევრჯერ იყო ავად, მაგრამ ყოველთვის ვკურნავდი ხოლმე, დამბაჩის პატარა ტყვიამ კი გაათავა კაცი!

ილია ამ დროს ბევრს კითხულობდა და ბევრსაც თარგმნიდა, უნდოდა ქართველი მკითხველისათვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო პუშკინი, ლერმონტოვი, გოეთე, შილერი... ილიას თარგმანები მოსწონდათ მის მეგობრებს, ხელნაწერები ხელიდან ხელში გადადიოდა.

ახლა ექიმის ნათქვამი მიზანს მოხვდა, რაკი ექიმმა პუშკინი ახსენა, კოხტა ილიასაკენ გადაიხარა და ჩუმად უთხრა:

- მოდი, თქვი „ჭეშმარიტება“, გაუხარდება, - და მერე ექიმს მიმართა: - ილია ახლა წაიკითხავს პუშკინის „ჭეშმარიტების“ ქართულ თარგმანს.
- სიამონებით მოვისმენ, ბრძანეთ!

მისუსტებული ილია ლოგინში წამოჯდა და დაიწყო. არენდი განაბული უსმენდა. ილიამ კითხვა რომ დაამთავ-

რა, ექიმმა ჯიბეში ჩაიყო ხელი, იქიდან გაცრეცილი ქაღალდი ამოიღო და კოხტას მიაწოდა.

- ახლა ეს წაიკითხეთ!

კოხტამ ქაღალდი გამოართვა, გაშალა. ლერმონტოვის ლექსი იყო, პუშკინის მკვლელები რომ ამხილა.

- ზეპირად ვიცი! - თქვა კოხტამ და დაიწყო. იცოდა, ექიმზე უფრო ილიას გაეხარდებოდა ამ ლექსის მოსმენა.

ილია გაერთო და წამოდგომა დააპირა, მაგრამ ექიმმა შეაჩერა.

- ერთ კვირას მაინც გასძელით ლოგინში. მერე, სიცხემ თუ დაიკლო, შეგიძლიათ ოთახში გაიარ-გამოიაროთ.

დაუჯერა ილიამ. კოხტას კი სთხოვა, ჩვენებს არ მისწერო ავად რომ ვარ, შორიდან ვერაფერს მიშველიან და თავად ცუდ დღეში ჩავარდებიანო.

არც თემურს შეატყობინეს კადეტთა კორპუსში.

ილიას ყურადღება და მოვლა არ აკლდა. ამხანაგები თავს ევლებოდნენ. ეკატერინეს პირადი მღვდელი თეოდორე ხოშტარია ხშირად აკითხავდა, ნუგბარი საჭმელ-სასმელი მოჰქონდა.

ილია ავადმყოფობას არ ეპუება, როცა მნახველები გაიკრიფებიან, მარტოობაში მაშინვე „აჩრდილის“ ხელნაწერს გადაშლის, წერასა და ფიქრში თავს უკეთ გრძნობს, ხშირად წამლების დალევაც კი ავიწყდება.

გუშინ ივანე პოლტორაცკი ესტუმრა. ხელკასრით საფერავი მოუტანა, ცოტა დალიეს. ბევრი ილაპარაკეს თბილისზე, გიმნაზიაში ერთად გატარებულ დღეებზე. გახარებულმა ივანემ ოთახში გაიარ-გამოიარა, კუთხეში მიყრილ-მოყრილმა ქაღალდებმა მიიპყრო მისი ყურადღება. აიღო, გვერდების მიხედვით დააწყო და მერე ჰკითხა:

- ილიკო, ეს რა გრძელი ლექსი დაგიწერია.
- შევამოკლებ, არა უშავს.
- სათაური?
- ხომ აწერია.
- რა ვიცი, უშნოდ მიგიხაზ-მოგიხაზავს, ვერ ამოვიკითხე.
- „აჩრდილი“.
- ეს ის არის, რომ მეუბნებოდი, თავისუფლების სიმღერა უნდა დავწეროო?
- სიმღერა კი არა, მოწოდება! - გაუსწორა ილიამ და მერე სუფთად გადაწერილი თავები წაუკითხა, მაგრამ ოცდამეათე თავი რომ ჩაათავა, ივანებ შეაჩერა.
- კარგად ვერ გავიგე, აბა ისევ წაკითხე.
- რა არის აქ გაუგებარი? - ილია შეიშმუშნა და განაგრძო:

„ნუთუ ეს ხალხი, რომელთ დაჰბადეს
დავით, დიმიტრი, დიდი თამარი,
რუსთველი და მის ძლიერი ქნარი,
ნუთუ ეს ხალხი, აღარა აღსდგეს?“

- კარგად არის ნათქვამი, მაგრამ ცენზორი დაგიბეჭდავს?
- მაშ, ცენზორის შიშით, გულში რაცა მაქვს, არა ვთქვა?!
- თქვი, რას მიქვია შიში. ახლა განაგრძე, ხვალ გადავწერ და საქართველოში გავგზავნი!

ილიამ კითხვა დაამთავრა, შუბლზე ოფლი მოიწმინდა და ივანეს უთხრა:

- შექებას ვერ მოგისმენ, აი ნაკლი და ხინჯი თუ შენიშნე, ის მითხარი.
- ხალხს, ჩვენ უნდა ვუჩვენოთ ბრძოლის გზა და კვალი. ამიტომ სწავლობთ აქ! - დინჯად თქვა ივანემ.

ილიას ეს სიტყვები მოეწონა. ივანე რომ წავიდა, ხელნაწერს, სადაც სათაური ძლივს ჩანდა, დააწერა: „ვუძღვნი ივ. პოლტორაცკის“.

შემდეგ ისევ ჩაჰყვა ქვემოთ, იკითხა, ბევრი სიტყვა და გამოთქმა ჭკუაში არ დაუჯდა, წაშალა. სხვა უკეთესი რომ ვერ მოიგონა, ისევ ხაზგასმული აღადგინა. მეცხრე თავის დასაწყისში „მარად და ყველგან შენთან ვიყავ, ტკბილო ქვეყანა! დასაბამითვე შენი დამყვა მე სიყვარული“ წაშალა და ბევრი ფიქრის შემდეგ იქვე, გვერდზე მიაწერა: „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!... მე ვარო შენი თანამდევი უკვდავი სული“.

- აჰა, ესეც ასე! - ჩაილაპარაკა, მერე ხმამაღლა წაიკითხა ახლად დაბადებული სტრიქონები და გაიღიმა.

ასე თავაუღებლივ იმუშავა „აჩრდილზე“ თითქმის მთელი წელიწადი. მერე ჯანღონის მოსაკრეფად თბილისში რომ ჩამოვიდა, ჟურნალ „ცისკარში“ მიიტანა და ივანე კერესელიძეს სთხოვა დამიბეჭდეო.

ივანე გულითა და სულით პოეტური კაცი იყო, ლექსებსაც სწერდა, მართალია არ მოსწონდათ მისი ლექსები, მაგრამ მაინც აქვეყნებდა. ილიას ის იცნობდა, როგორც ახალგაზრდა, ნიჭიერ პოეტს, პირველი თარგმნილი ლექსი „ჩიტი“ მან დაუბეჭდა და კიდევაც შეაქო, შემდეგ სხვა ლექსებიც გამოუქვეყნა. ახლა ვერ მოითმინა და პოემა იქვე, ავტორის თანდასწრებით წაიკითხა.

- კარგია, დიდებული აზრებია, ბრძოლა ბატონყმობის წინააღმდეგ, ბრძოლა თავისუფლებისათვის, მაგრამ ამდენ ბრძოლას ცენზორი აიტანს?

- უნდა როგორმე დაიყოლიო! - სთხოვა ილიამ.
- ხელს არ დავაკლებ, თუ რამე გამოვიდა. დიდი ხნითა ხარ ჩამოსული?
- ცოტას მოვიკეთებ და ისევ გავბრუნდები.
- ოქტომბრის ნომერში რომ იყოს?!
- დიდი მადლობელი ვიქნები.

ილია დაემშვიდობა და წავიდა.

კერესელიძის შიში გამართლდა. ცენზურაში პოემა მიშალ-მოშალეს და მოლოდ მეხუთე თავის გამოქ-ვეყნების ნება მისცეს.

რა ექნა კერესელიძეს, დაპირებულ ნომერში ის ნაწყვეტი მაინც მოათავსა. პოემის ეს ნაწილი აკაკიმ წაიკითხა, მოეწონა და ლექსიც კი უძღვნა. აკაკის ეს ლექსი - „ამაო ძებნა“ - რამდენიმე ხნის შემდეგ „ცისკარში“ დაიბეჭდა.

ეს იყო აკაკისა და ილიას პირველი პოეტური შეხვედრა.

ილიამ, რაკი „აჩრდილი“ ჟურნალში მთლიანად ვერ დაბეჭდა, მოინდომა მისი ცალკე წიგნად გამოცემა, მაგრამ აქაც ცენზორი წარმოუდგა თვალწინ. ამიტომ ხერხს მიმართა. მკაცრი ცენზორის თვალის ასახვევად ლერმონტოვის „ჰაჯი-აბრეკის“ თარგმანი დაურთო თავის პოემას და ისე მოითხოვა მისი გამოქვეყნება. თვითონ ამ დროს პეტერბურგში იყო. ამ საქმის მოგვარება თავის განუყრელ მეგობარს ილია წინამძღვრიშვილს მიანდო. ძალიან ღელავდა, ყოველდღე მოელოდა თბილისიდან წინამძღვრიშვილის ბარათს. პასუხმა რომ დაიგვიანა, თვითონ მიმართა მეგობარს:

„ერთი წიგნი მომწერე ჩემი აჩრდილი და ჰაჯი-აბრეკი რა ყოფაში არიან“.

წინამძღვრიშვილი ბევრს ეცადა, მაგრამ ამაოდ. ცენზორმა ხელნაწერი ჩამოართვა და უჯრაში ჩაკეტა. გამწარდა წინამძღვრიშვილი, ვინ არ მიუგზავნა, მაგრამ საცენზურო კომიტეტის ვერც ერთ მოხელესთან ვერაფვე-

რი გააწყო.

ეს სამწუხარო ამბავი მეგობარს ვერ გაუმხლა, ავადმყოფმა ძლივს მოიხედა და ახლა ეს რომ შევატყობინო, იდარდებსო.

V

1859 წელი. ზაფხული. ილია ჭავჭავაძე პეტერბურგიდან თბილისს ჩამოვიდა, სტუდენტის ფორმა ეცვა, წვერი მოშვებული ჰქონდა, შავი წვერი ვერ ფარავდა ჩრდილოეთის მკაცრი ჰავისაგან ჩამქრალ სახეს.

ცოტა ადრე ილია პეტერბურგიდან თავის დას ნინოს კარდანახში სწერდა: ეს რა ქვეყანაში მოვხვდი, სამი თვეა მზე არ მინახავსო. უმზეობამ, ბურუსმა და ნესტმა ილიას ჯანმრთელობაზე იმოქმედა, სისხლის ღებინება დააწყებინა და გახურებული გამოცდების დროს ლოგინად ჩააგდო.

ივნისის დამდეგს უკეთესობა დაეტყო, აწ არაფერი მიშავსო და ამხანაგები დაითხოვა, ღამე მარტო დარჩა ოთახში. ერთხანს გოეთე იკითხა, მერე ძილს მისცა თავი, მაგრამ ვერ დაიძინა, ფიქრი აეშალა. წინა დღით მეგობრებმა უთხრეს, საქართველოში წადი და სულ მთლად მორჩებიო. ექიმმაც ეს ურჩია. ახლა ფიქრით და ოცნებით თბილისში იყო. მტერი, მოყვარე, ბრძოლა, თა-

ვისუფლება, ყველაფერი, ყველაფერი წარმოიდგინა, მერე კალამი აიღო და მოლურჯო ქაღალდს „ელეგია“ დააწერა. ერთ საათში დაიბადა ეს შესანიშნავი ლექსი, მაგრამ, ვინ იცის, რამდენი საათის ნაფიქრი და ნატანჯი იყო.

დილით უნივერსიტეტის სტუდენტთა ინსპექტორს ფიცდებ ფონ ეკსედეტს თხოვნა მიართვა: მთელი მაისის თვეში და განსაკუთრებით კი მის უკანასკნელ რიცხვებში, ვიმყოფებოდი რა ავად, მე არ მქონდა შესაძლებლობა გამოვცხადებულიყავი 28 მაისს სასოფლო მეურნეობის გამოცდაზე. გაუწყებთ რა აღნიშნულს და გირდგენთ რა საექიმო მოწმობას, უმორჩლესად გთხოვთ მიიღოთ ეს გარემოება მხედველობაში როგორც საპატიო მიზეზი“.

ამ თხოვნას დაურთო ცარსკოე სელოს ექიმის მოწმობაც. ექიმი ნიკოლაი არენდი 10 ივნისს წერდა: „ეძლევა ესე პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტს თავად ილია ჭავჭავაძეს მასში, რომ 1859 წლის მთელი მაისის თვის განმავლობაში ვწამლობდი ავადმყოფს, რომელიც სისხლს იღებდა გულიდან და, თუმცა სენმა უკლო ახლა, წამლობამ არგო, მაინც საბოლოო გაჯანსაღებისათვის საჭიროა სამხრეთის ჰავა“.

ილიამ შვებულება აიღო და სამშობლოსკენ გამოეშურა.

თბილისმა გული უჩვენა, ნათესავებსა და მეგობრებში მალე მოიკეთა. უქმად ვერ გაჩერდა, ამხანაგები გვერდ-

ში ამოიყენა და „მეფე ლირი“ ცოცხალი სურათებით წარმოუდგინეს საზოგადოებას.

„გიმნაზიის დარბაზში, - წერს პეტრე უმიკაშვილი, - სცენა მოეწყო, თბილისის წარჩინებული ოჯახების და თავადის ქალებმა მიიღეს მონაწილეობა ამ სურათებში, რომელიც კარგის ესთეტიკური გემოვნებით, ხელოვნებით და აზრიანად იყო შედგენილი.

თბილისის საზოგადოება ინტერესით მიაწყდა და დიდის კმაყოფილებით დარჩა. ვინ იფიქრებდა, რომ ქართულის თეატრის განახლების მიზეზი უნდა გამხდარიყო ისევ ის დარბაზი, რომელშიაც პირველი ქართული წარმოდგენა ნახა საზოგადოებამ. ცოცხალი სურათებისათვის გაკეთებული სცენა კარგა ხანს ხელუხლებელი დარჩა გიმნაზიაში“.

ილიამ თვითონ შეასრულა ცოცხალ სურათში ლირის როლი. ხალხმა ძალიან მოუწონა და ტაშით დააჯილდოვა.

მამიდამ ილია თბილისში დიდხანს არ გააჩერა. თუ დასასვენებლად ხარ ჩამოსული აქ, შენს კარმიდამოში რიგიანად დაისვენეო.

ილიამ დაუჯერა თავის გამზრდელ მამიდას, ყვარელში ჩავიდა, მაგრამ იქ გულმა ვერ მოუთმინა და მესამე დღეს კარდანახში ნინოს სანახავად წავიდა. მამიდამ გზაზე მოსამსახურე ბიჭი გამოაყოლა. ბიჭი ართობდა ილიას, სოფლურ ლექსებსა და შაირებს ეუბნებოდა. ამ საუბარში

გზა ადვილად ილეოდა.

კარდანახის ტყეში ისინი ძახილმა შეაჩერა.

- ხელები მაღლა!

ბუჩქებიდან გადმოხტა თოთმომარჯვებული კაცი და ილიას ვინაობა გამოჰკითხა.

ილიამ უთხრა, ვინც იყო, გაუკვირდა თოფიანს.

- ბრწყინვალე თავადი ყოფილხარ, ბოდიში.
- ბრწყინვალებისა რა მოგახსენო, - მიუგო ილიამ, - კარდანახში მივდივარ, გამიშვი.
- კარდანახში რა გინდა?
- სტუდენტია, თავის ნათესავ ნიკოლოზ აფხაზთან მიდის! - უთხრა ბიჭმა.

უცნობმა თოფი ძირს დაუშვა და ილიას თანმხლებს ჰკითხა:

- კარგი კაცია შენი ბატონი?
- ძალიან კარგი კაცია.
- ჭავჭავაძევ, ჩემთან პურის ჭამას იკადრებ?!
- კადრება რა მოსატანია, მაგრამ მაძღარი ვარ.
- მშიერი ბატონი ჯერ არ მინახავს, წამოდი, გზას დაგილოცავ.

უცნობმა თოფი მხარზე გადაიდო და წინ წაუძღვა სტრუმრებს. ბილიკი გაუკვალავი იყო, ნელა მიდიოდნენ. უზარმაზარ მუხებს გარს უვლიდნენ.

ქოხი მუხის ქვეშ იყო გამართული. შუა ცეცხლს შიგ ყვე-ლაფერი გამოემურა. უკანა კედელი ნაბდისა ჰქონდა.

უცნობმა სტუმრები ჯირკზე დასხა, თვითონ ნაბადი გადასწია და მეორე ოთახში გავიდა, მეორე ოთახი მუხის ფუღუროს წარმოადგენდა, საჭმელ-სასმელი იქ ელაგა, ფუღუროშიც კიბე ედგა. როცა ქოხში დასცხებოდა, ამ კიბით მუხაზე ადიოდა, იქ გაშლილ ტოტებზე მორები იყო გარდიგარდმო გადებული, ზედ ჩალა და თივა ეფინა და დასასვენებლადაც მყუდრო ადგილს წარმოადგენდა.

ილიამ ყველაფერი მიათვალიერ-მოათვალიერა, მიხვდა რომ ყაჩაღს გადაეყარა. არსენა ოძელაშვილზე ბევრს ფიქრობდა, ხალხურ ლექსებსაც აგროვებდა არსენაზე.

არსენა ჩვენი, ის მხნე არსენა,
ჩვენამდინ, ძმაო, ზღაპრად მოსული,
ის იყო ჩემი ჯავრი და ლხენა,
ის იყო ჩემი გული და სული.

ილიას დიდხანს არ ასვენებდა ბატონყმური ცხოვრების ამსახველი ნაწარმოების შექმნის სურვილი. შავად, პროზაული სახით, კიდევაც მოხაზა - კაკო, ზაქრო და გაბრო, არსენაც თვალწინ უდგას, მაგრამ ყაჩაღს სული და გული ვერ უპოვნა... ახლა კი მასპინძელს თვალს არ აშორებდა, ნუთუ ასეთი იყო არსენა?! არსენა, რომელსაც „გლეხკაცის ბედი, ჭირი და ლხინი ძმასავით კალთით უტარებია“.

ილია ჩაფიქრდა.

მოსამსახურე ბიჭი კი თოფს მიშტერებოდა, რომელიც იქვე კედელზე ეკიდა.

მასპინძელი სუფრას შლიდა. მოხარშული ხორცი, გუდის ყველი, თონის პური ტაბაკაზე დაალაგა.

- აბა მიირთვით, სტუმარო, - მიმართა ილიას ყაჩაღმა, - მოიცათ, თქვენ ხელის დაბანასა ხართ ჩვეული! - სურით წყალი მოიტანა, მაგრამ ილიამ ხელი არ დაიბანა.
- მიირთვით, რა ვქნა, ღარიბი ვარ, ოჯახში უკეთესად გაგიმასპინძლდებოდით.
- ოჯახი არა გაქვთ?
- მქონდა, დამინგრიეს.
- ვინ?
- ბატონმა, ბატონო... მაგრამ ამაზე ნუ მალაპარაკებთ, პურიჭამა ჩაგვმწარდება.
- რა გვარი ხართ, ეს მაინც მითხარით! - სთხოვა ილიამ.
- გვარად გაუხარაშვილი, სახელად ყაჩაღი შემარქვეს.
- გამიგონია, ვიცი! - ვერ მოითმინა ბიჭმა.

ყაჩაღმა პატარა ყანწი შეავსო და დაილოცა:

- ქვეყანაში კაიკაცსა და სიმართლეს გაუმარჯოს!

ყანწს ყანწი მოჰყვა. დალიეს, მოილხინეს. ილიამ გაუხარაშვილს გამოჰკითხა ვინაობა, გაიგო ყაჩაღად გაჭრის მიზეზი, მისი სიტყვები გულის ფიცარზე დაიწერა. იქ, იმ ალალ სუფრაზე ეს სტრიქონები დაიბადა:

„მხეცი რამ იყო ბატონი ჩვენი,
ერთი აჯამი, გულქვა, რეგვენი,
იმას კაცებრი გული არ ჰქონდა,
რომ მამაჩემი შებრალებოდა...
რა გავაგრძელო, თავადიშვილი
კარგი რა არის, ავი რა იყოს“.

ილია გვიან წამოდგა და წასვლა დააპირა.

- ბატონო, აქ მოგასვენებთ, თუ მიკადრებთ.
- ეგ რა თქვი, კაცო, რას მიქვია კადრება? რატომ არ უნდა გიკადრო, რა უკადრისი და უკარება მე მნახე?
- ილია ბატონო, კარდანახში გელოდებიან, უნდა წავიდეთ! - უთხრა მოსამსახურე ბიჭმა.
- ჰო, მართლა, ჩემი დაიკო მელოდება, დიდი ხანია არ მინახავს, წავიდეთ.

ილია გაუხარაშვილს გადაეხვია.

- მადლობელი ვარ, აგაშენა ღმერთმა!
- რა სამადლობელო პურმარილი მე მქონდა?!
- გული რომ მიჩვენე, ცხოვრება რომ მიჩვენე, ამისათვის მადლობა, დიდი მადლობა!

ყაჩაღმა სტუმრები შარაგზამდე ჩამოაცილა და ისევ ტყეს მისცა თავი.

ილიას ღვინო ჯერ არ მორეოდა, ბიჭს ხელი გადახვია და ფეხს აუჩქარა.

- ბიჭო, როგორი კმაყოფილი ხარ ყაჩაღის მასპინძლობით? - ჰკითხა ილიამ.
- შიშით აღარა ვარ, ნეტავ რა ეშმაკმა შეგვახვედრა.
- რატომ? - ილიამ უბის წიგნაკი ამოიღო, რაღაც ჩაიწერა და განაგრძო: - კარგი, ენაწყლიანი კაცი ყოფილა, საბრალომ კიდევაც წაუმღერა, არა?
- წაუმღერა, მაგრამ ტყეში მხეცივით დაძრწის, რა ამღერებს?
- თავისუფლება, თავისუფლება ამღერებს!

ილიამ ჯიბეში ჩაიწყო ხელები და გზის ბალახიან ნაპირს გაჰყვა. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ თვითონაც წაუმღერა.

საღამოს ილია თავის სიძის - ნიკოლოზ აფხაზის ჭიშკარს მიადგა.

ნინო ქმარ-შვილით ჭიშკრისკენ გამოექანა, მაგრამ ილიას მიკითხვა-მოკითხვის თავი აღარ ჰქონდა.

- დამაძინე, ნინუცი, დამაძინე! - სთხოვა მან ნინოს.

გაუშალეს ლოგინი და მაშინვე ჩაეძინა.

დილას კარგ გუნებაზე გამოეღვიძა. ლოგინზე წამოჯდა, შინაურები გვერდით მოისვა და გაუხარაშვილის ამბავი დაიწყო.

- რომ ვუთხარი შენთან მოვდიოდი, მაშინვე დაუშვა თოფი. იცნობ? - ჰკითხა მან ბოლოს სიძეს.
- როგორ არა, გაჭირვების ტალკვესს მეძახის.

- მომეწონა შენი გაუხარაშვილი, რკინის კაცია! - დაასკვნა ილიამ.

მოსამსახურე ბიჭი კარებში იდგა, ენამ გაუსწრო:

- რა რკინის კაცია, ცრემლებსა ღვრიდა.
- გაჩუმდი, ბიჭო, - შეუწყრა ილია, - „რკინის კაცის თვალში ცრემლი დიდსულოვნების შვილია“.
- მართალსა ბრძანებთ! - გაწითლდა ბიჭი.

მალე კოხტა აფხაზიც შემოვიდა, სტუდენტურად ჩაცმულ-დახურეული. ლოგინში ილიას დანახვა გაუკვირდა.

- სად შენა და სად შუადღემდე ძილი?! ისეთი რა გაჭამა გაუხარაშვილმა, რომ არა გშია?
- ჰო, ავდგები.

ნაადრევი შემოდგომა შვენოდა კახეთს. მზეზე გაფიცხებული მტევნებით გოდრები ივსებოდა, ქვევრებს ხახა დაეღოთ, სოფელს მაჭრის სუნი ტკბილად მოსდებოდა. ნიკოლოზ აფხაზის სახლის აივანი და კედლები აკიდოებს დაეფარა. ილია გამოვიდა პირის დასაბანად, ყურძენმა თვალი მოსტაცა და ინატრა:

- კოხტაჯან, ეს მტევნები პეტერბურგში მისცა ჩვენს ბიჭებს!
- ჩვენს ბიჭებს, თუ შენს სოფოს? - მიუგო კოხტამ და მერე ნინოს გადაუჩურჩულა: - შენი გამოგზავნილი ქამარ-ხანჯალი ძალიან დაშვენდა ჩაიკოვსკაიას ქალს, მადლობა მაინც შემოგითვალა?!
- მე ილიკოს მადლობაც მეყოფა.

- რა ქალია, რომ იცოდე!
- კარგი, კოხტა, გეყოფა! - გაეცინა ილიას.

შემოუსხდნენ სუფრას, ნინომ ინატრა თავისი პატარა ძმა და ილიას უთხრა: - კარგი იყო, თემური წამოგეყვანა, გაიხარებდა ბიჭი.

ძალიან მინდოდა, მაგრამ უარი უთხრეს, ვერაფერი გააწყო.

- ექსტრა, ექსტრა! - დაიძახა კოხტამ და ოქროსფერი ღვინით სავსე ჭიქა ასწია.

შესვეს თემურის სადღეგრძელო.

ნასაუზმევს ილია და კოხტა შესხდნენ ცხენებზე და თვალისათვის წყლის დასალევინებლად ალაზნისაკენ წავიდნენ. კამკამა ალაზანში ბიჭები ყვინთავდნენ. იქვე რიყეზე ხბოები იწვნენ.

მუხის ქვეშ ჩამოქვეითდნენ, ცხენები ჩამოხრილ ტოტებზე მიაბეს.

წყალში მოდგაფუნე ბიჭებმა ილია ბანაობის ეშხზე მოიყვანეს.

- კოხტა, მოდი, ვიბანაოთ.
- ტანისამოსის გახდა-ჩაცმა მეზარება... სჯობს ჩრდილში წამოვგორდეთ, პეტერბურგის მერე ალაზნის ჰაერი გვარგებს.

მწვანეზე წამოწვნენ. კოხტას მალე ჩაეძინა. ილიას ფიქრი წაეტანა და მშობლიური მდინარისადმი მიძღვნილი ლექსის პირველი სტრიქონებიც იქვე დაიბა-

და.

მდინარეევ, ჩემის მშობლიურ მთის ცრემლით შემდგარო!
ან შენს კიდეზე ვდგევარ, დაგცქერ მე, მეგობარო!
დაგცქერ ჭმუნვითა და შენს წყალში ვეძებ ჩემს წარსულს,
დროთა ბრუნვისგან შენ ზვირთთ შორის დამარხულს,
დანთქმულს.

ორიოდე თვით საქართველოში ჩამოსვლა ნაყოფიერი გამოდგა: ნაავადმყოფარმა ჯანიც მოიკრიფა და ლექსებიც დაწერა.

როგორც თვითონ ილია ამბობდა, ყვარლის ჰაერმა ძალიან არგო. ამასობაში კალოობა მოილია და რთველი დაიწყო. ყურძნის კრეფამ დიდხანს გასტანა, სოფელში მაჭრის სუნი დატრიალდა.

ილია საპეტერბურგო სამზადისს შეუდგა, მაკრინეს თათარა ადრე მოადუღებინა, ასიოდე ჩურჩხელა სახელდახელოდ ამოავლებინა და აივანზე გასახმობად დაკიდა.

მთელი დღე ვენახში იყო, თავის თანატოლ ბიჭებს აღარ შორდებოდა, ხან კრეფაში შველოდა, ხან ზურგზე კალათის წამოკიდებისას ხელს აუკრავდა, ხანაც პეტერბურგის ამბებს უყვებოდა, გამრთობიც იყო და დამხმარეც.

თვითონ ჯანს იკაჟებდა, ალაზნის ჰაერი და ჩათაფლუ-

ლი ყურძენი მალამოსავით რგებდა.

იმ დილით კოხტამ ვენახში ცხენი მიაგდო და კაკლის ჩრდილში წამოწოლილ მეგობარს ზედ თავზე წამოადგა.

- ვახ, როგორ დაუწვიხარ მზეს, პეტერბურგში ვეღარ გიცნობენ!

ილია წამოდგა, კოხტაც ჩამოქვეითდა, ცხენი მიუშვა და ბალახზე წამოჯდა.

- პეტერბურგიდან ჩამოსულს კაცის ფერი არ გედო, ახლა ნამდვილ გლეხს დამსგავსებიხარ, შავი, ჯმუხა, მეშინია, ჩაიკოვსკაიამ მთლად არ დაგიწუნოს.
- დამიწუნა და ეგ არის.
- არაფერიც. აი, წერილი.
- წერილი? მიჩვენე!

გაუკვირდა ილიას და სანამ კოხტა წერილს მიაწვდიდა, ვერ მოითმინა, ხელი გაუწოდა.

- რად უნდა გაჩვენო, წერილს მე მიგზავნის.
- რა მინდაო?
- ილიას ჯანმრთელობას გაუფრთხიდლი და მოუარეო, - კოხტამ წერილი ამოიღო, - აჰა, წაიკითხე.
- რაღა წავიკითხო, თუ რაცა თქვი იმის მეტი არაფერი წერია? - მიუგო ილიამ, მაგრამ წერილი მაინც გამოართვა, საჩქაროდ გაშალა, ჩაიკითხა და სახეზე ტკბილმა ღიმილმა გადაურბინა.
- კარგი გულის ადამიანია! - ჩაურთო კოხტამ.

- ცივი გულის ადამიანია! - გაუსწორა ილიამ. - თორემ მე უარს მეტყოდა?
- ნუ სცოდავ, უარი როდის გითხრა?
- როცა საქმე საქმეზე მიდგა. სიკვდილს მოველოდი და ასეთი ანგარიში გულში რომ ედო, ამას როგორ ვიფიქრებდი?!
- უნდა გეფიქრა. სიყვარული სიყვარულია, მაგრამ თავის სამშობლოს, ნათესავ-მეგობრებს ვერ დასტოვებდა და შენ ვერ გამოგყვებოდა. ეგ თავიდანვე უნდა გცოდნოდა. როგორ გითხრა, თქვი.
- რად გინდა, ხომ იცი?
- ვიცი, მაგრამ კიდევ მინდა მოგისმინო, შენ ლამაზად გამოთქვამ მის სიტყვებს.
- საქართველოში ვერ გამოგყვებიო. თუ ჩემი თავი გიყვარს, აქ დარჩი, პეტერბურგში, მამა დიდ ქორწილს გადაგვიხდის, კარგ სამსახურსაც გიშოვის და ბედნიერად ვიცხოვრებთო.

ილიამ წერილი დაკეცა და კოხტას გადასცა.

- პასუხი მისწერე?
- მივწერე!
- თუ აზრი არ შეიცვალა, ჩვენი სიყვარულისაგან არაფერი გამოვა.
- ამაზე მეც ველაპარაკე, პეტერბურგში ცხოვრება არ შეუძლია, კაცი ცუდად არის-მეთქი.
- რა გიპასუხა?

- ჰაერს მიეჩვევა და კარგად იქნებაო. რა არ ვუთხარი, მაგრამ...
- კარგი, კარგი, - შეაწყვეტინა ილიამ, - გვეყოფა იმაზე ლაპარაკი. ...რად გაისარჯე ამ სიცხეში?
- კარგი საქმისათვის მოვედი, სანადიროდ უნდა წამოხვიდე, ჩვენ სამნი ვართ, მეოთხე შენ იქნები.
- მე რომელი მონადირე მნახე? ნიშანი არც ვიცი.
- პავლოვსკში რომ დამბაჩას კარგად ისროდი?
- არ მაქვს მაგისი თავი და გული, თქვენ წადით!
- არა, უნდა წამოხვიდე! - ჩააცივდა კოხტა და იმ საღამოსვე ალაზანზე წაიყვანა.

ილიას მამისეული თოფი მხარზე გადაეკიდა, ცხენზე წახრილი იჯდა და კოხტას მხარს უსწორებდა. მუხნარს რომ მიუახლოვდნენ, ილია ცხენზე წამოიმართა და შეჰყვირა:

- ძრწოდეთ, ნადირნო, მოვედი!
- კარგი კაცო! - გაეცინა კოხტას.

ჩამოქვეითდნენ. ცხენები ბიჭს დაუტოვეს, თვითონ კარგა მანძილი გაიარეს და შეჩერდნენ. ტანაყრილ ტყეს მთვარე ზედ ადნებოდა. ერთმა მონადირემ თქვა, ამის იქით ნუღა წავალთ, ირემი აქ გამოივლისო.

თოკივით წვრილი ბილიკი პირდაპირ წყაროსაკენ მიემართებოდა. მონადირენი ამ ბილიკის ახლომახლო ჩასაფრებოდნენ, ძაღლებიც მიყუჩდნენ.

დაძაბულ მოლოდინს ბოლო არ უჩანდა. ტყის მძიმე

სიჩუმე უფრო და უფრო აუტანელი ხდებოდა. შუაღამემ რომ მოატანა, ალაზნიდან წამოუქროლა ნიავმა, ტყეს ფაჩუნი და შრიალი აუყენა.

ილიას მოსწყინდა, თოფი ხეზე მიაყუდა და თვითონ იქვე, ბალახზე წამოწვა. ყველაფერს და ყოველივეს სული გაენაბა, ილიას კოხტას სიტყვებმა და იმ პატარა წერილმა, ჩაიკოვსკაიამ რომ გამოგზავნა, ძველი ფიქრები აუშალა. გულით ის ახლა აქ, ალაზნის ტყეში კი არა, პეტერბურგში იყო და ჩაიკოვსკაიას ესაყვედურებოდა: კოხტას რომ ეუბნები ილიას გაუფრთხილდიო, რატომ თქვენ თვითონ არ მიფრთხილდებით. შეყვარებული გულის ასე უწყალოდ დაკოდვა შეიძლება?!

ძაღლების ყეფა ატყდა, მონადირე ძაღლებმა მერე რა გამწარებული ყეფა იციან!

ილია წამოხტა და თოფს წაატანა ხელი.

დაფეთებული ირემი ხეს მიეყრდნო. კოხტა ვერაფრით ვერ მიუდგა ნადირს, დიდი მუხა ეფარებოდა, ილიასთან კი მარჯვედ იდგა ირემი, რქები უკან გადაეყარა, თავი აეწია და განაბულიყო.

ილიამ ვერც თოფი დაუმიზნა, ვერც თვალი მოსწყვიტა. უყურებდა დამფრთხალ ირემს და გულში ამბობდა: „ისეთი ლამაზია, ისეთი ნაზი და სინაზესთან ერთად ისეთი მიმზიდველი ამაყიცაა, რომა, გგონია, რაც ბუნებისაგან მინიჭებული აქვს, სულ ეხლა შემოიკრიბაო, რომ სიკეთი-

თა და სილამაზით მაინც შეაბრალოს თავი დამალულს მტერსაო“.

ძაღლების გნიასი რომ მოახლოვდა, ერთი დაიფრუტუნა და გაქრა ტყეში.

გამწარებული მონადირეები ილიასკენ გაექანენ.

- კაცო, რა ჰქენი, რატომ არ ესროლე?! - მიახალა მაშინვე კოხტამ, ილიამ პასუხი შეაგვიანა.
- უხ! ისეთი ლამაზი, ისეთი მოხდენილი რამ იყო, მაგას როგორ ვესროდი, როგორ გავიმეტებდი...
- მაშინ რაღას მოდიოდით სანადიროდ? - ჩაეკითხა ერთი.
- კოხტამ ძალით წამომიყვანა, ააშენა ღმერთმა, რა ირემი ვნახე!

კოხტამ ვერაფერი უთხრა მეგობარს, მწარედ ჩაიცინა. მალე მზე ამოვიდა, მონადირეებს ხელი მოეცარათ, ღაბუა ჩიტიც ვერ მოჰკლეს, დამძიმებულნი შესხდნენ მაძღარ ცხენებზე და შინისაკენ გამოსწიეს.

სოფელში ასე ხელცარიელი შემოსვლა თავის მოჭრას უდრიდა. გამოსავალი ისევ კოხტამ იპოვა. ყველა თოფი ერთად შეჰკრა, ნაბადი შემოახვია და ბიჭის ცხენს აჰკიდა, ძაღლებიც მას ჩააბარა და სულ სხვა გზით გაისტუმრა შინ, თვითონ თავის ამხანაგებიანად რთველში წავიდა დროს გასატარებლად.

ილიამ იმავე წელს დაწერა „გლახის ნაამბობი“. ამ მოთხრობის პირველ თავში სწორედ ალაზნის ტყეში ის

ნადირობა აღწერა, მან რომ ირემს ვერ ესროლა. სამაგიეროდ სხვა დროს კოხტამ მეგობარი სანადიროდ არ წაიყვანა, ხელის შემშლელი არავინ ჰყავდა და მშვენიერი ირემი გამოასალმა წუთისოფელს. ნანადირევი შინ დიდი ზარ-ზეიმით მოიტანა. აი, მაშინ აღმოხდა ილიას ის სიტყვები „გლახის ნაამბობის“ პირველ თავის ბოლოს რომ აქვს მიწერილი: ისიც კარგია, ჩემო პირუტყვო, რომ იქა ჰკვდები, სადაც დაიბადე. ჩვენ, კაცები, ხანდახან მაგ ბედნიერებასაც მოკლებულნი ვართ“.

შემოდგომა მიიწურა, რთველი მიილია. კახეთის ღამე საარყე ქვაბების ცეცხლმა გაანათა. ყვარლიდან ხორაგით დატვირთული ილია თბილისს ჩამოვიდა, ხოლო აქედან რუსეთის შორ გზას გაუდგა.

სამშობლოში დასვენებამ, ნათესავებში ყოფნამ ილია გამოაკეთეს. გადადებული საგამოცდო საგანი, „სასოფლო მეურნეობა“ მოამზადა, ჩასვლისთანავე ჩააბარებს, მერე კვლავ ლექციები და უძილო ღამეები...

დილიჟანსი არაგვისპირს მიჰყვებოდა. ტყეც გამოჩნდა. ილიას თვალწინ ისევ გაუხარაშვილი წამოიმართა. გაუხარაშვილი ილიას სიზმარშიც ეწვევა ხოლმე. აი, ახლაც მისი ცხენი თქარათქურით მისდევს დილიჟანსს, სადაც არის დაიძახებს: „ ხელები მაღლა“!

დილიჟანსი კავკასიონის უღელტეხილს მიადგა. დაიწ-

ყო მლეთის აღმართი. თოვლით დაფარული მწვერვალები დაკლაკნილ გზას ცივად დაჰყურებდნენ, მაგრამ სიცივე მაინც არ იგრძნობოდა, თბილოდა, მომქანცველი გზა არ ილეოდა. მგზავრებს ყველაფერი მოსწყინდათ, საუბარიც, კამათიც.

დილიჟანსი მიჰქროდა, უკან მორუხო მტვერს აყენებდა. ეს მაინცდამაინც არ აწუხებდა მგზავრებს, მაგრამ შემხვედრი დილიჟანსის გამოჩენა არავის არ სიამოვნებდა, როგორც კი გამოჩნდებოდა დილიჟანსი, მგზავრებს ფაციფუცი შეუდგებოდა, ზოგი ცხვირსახოცს იფარებდა სახეზე, ზოგიც საყელოს აიწევდა და კისერს მხრებში ჩარგავდა. ერიდებოდნენ მტვერს, რომელსაც შემხვედრი დილიჟანსი კარგა მანძილზე სტოვებდა.

ახლაც გამოჩნდა მდიდრულად მორთული ეკიპაჟი. ცხენები ჩორთით მოდიოდნენ, წინ დაბალი, ჩამსხვილებული კაცი ნელა მიაბიჯებდა, ხელები ზურგს უკან შემოეწყო, დაფიქრებულს თავი დაეხარა.

- გრიგოლ ორბელიანი! - გაისმა მგზავრებში.

ილიას ფიქრი გაუწყდა. მაშინვე თავი გამოყო სარკმლიდან, გრიგოლი ილიას თვალით არ ენახა, მისი დიდებული ლექსები კი ზეპირდა იცოდა და თავის ყმაწვილურ გონებაში მაღალ გოლიათად ჰყავდა წარმოდგენილი.

თოვლიანი მთები, უფრო ქვემოთ ხერხივით დაკბილული კლდეები თითქოს ფეხდაფეხ მისდევდნენ

პოეტს.

- სწორეს ახლა, ამ დამშვიდებულ გულზე ლექსს უწერს ამ მშვენიერ ბუნებას! - აღტაცემით თქვა ერთმა მგზავრმა.

ილიამ მეეტლეს ასძახა:

- შეაჩერე!

გაქაფულმა ცხენებმა აღმართზე ძლივ შეიმაგრეს თავი, ილია მაშინვე ჩამოხდა დილიჟანიდან, მას კოხტაც ჩამოჰყვა, მერე სხვებიც გადმოვიდნენ.

ახალგაზრდები შემოეხვივნენ უკვე ჭაღარა პოეტს.

გრიგოლმა სათითაოდ ყველას ხელი ჩამოართვა. შეატყო, რომ სტუდენტები იყვნენ და გზაც დაულოცა.

- აბა თქვენ იცით, ისწავლეთ, ისწავლეთ, ასახელეთ ჩვენი ქვეყანა!

მერე ყველას გვარი და სახელი გამოჰკითხა.

ჯერი ილიაზე რომ მიდგა, გაიღიმა.

- შენ პაჭუას „ნასლედნიკი“ ხარ?

- დიახ.

- ეხ, საბრალო მამაშენი, ჩემი სეხნია, კაცური კაცი იყო. ლეკებმა ვერაფერი დააკლეს, ბრმა შემთხვევამ... - გრიგოლმა სიტყვა გაწყვიტა და ილიას ქოჩორზე ხელი გადაუსვა, - ახლა შენ ივარგე, გაჭირვება ღმერთმა გაშოროს, მაგრამ, რომ გაგიჭირდეს, ნუ მომერიდები. კადეტთა კორპუსში მივიკითხ-მოვიკითხე ქართველები. შენს ძმას წავაწყდი, გავიცანი. ლოგინში იწვა,

მაინც კარგად ვარო, მითხრა. სიცხე კი ჰქონდა. ახლა მართლაც კარგად დავტოვე.

ილია გაშრა, ვერაფერი თქვა, თვითონ ძლივს დააღწია თავი სატკივარს, ახლა თემურის ავადმყოფობამ თავზარი დასცა. „კარგად არისო“, გული გაუკეთა ალბათ, გრიგოლმა, თორემ იმისი ბედი ვინ მისცა მის ოჯახს, ავადმყოფი რომ განიკურნოს. ვინც ავად გახდა, ყველამ სამუდამოდ თვალი დახუჭა. საფიცარი ძმაღა დარჩა და ისიც თურმე ავად გამხდარა.

ილიამ ნაღვლიანი თვალი მიაპყრო გრიგოლს. გრიგოლი წელში გამართული იდგა, ყოჩაღი ჯარისკაცის პეწიანობას არ ელეოდა, მაგრამ შეწუხებული სახე მაინც თავისას ამბობდა. ამ დაუსრულებელ გზას ხანშიშესული, ნაომარი და ნაჯაფარი გენერალი საკმაოდ მოექანცა. ულვაშებსა და ქილვაშებში ჭაღარა მორეოდა.

„ლექსებში კი გრიგოლი ვაჟკაცურია და ომახიანი“, - გაივლო გულში ილიამ. მზის სხივები გრიგოლს წინ წამოწეულ, ფართო მკერდზე ჩამწკრივებულ ორდენებს უბრჭყვიალებდა.

გრიგოლი ჩაფიქრებულ ილიას გამოემშვიდობა. სტუდენტებს გზა დაულოცა, ისევ შემოიწყო ხელები ზურგზე და გზა განაგრძო.

ეს იყო პირველი, მეგობრული, უფრო კი მამაშვილური შეხვედრა. გრიგოლ ორბელიანს უკვე თავდაღმარ-

თზე გადაედგა ფეხი, ილია კი აღმა მიემართებოდა მეცნიერების დასაპყრობად. ილია გრიგოლის ჩინსა და ორდენებს არად აგდებდა, მისი პოეზიით იყო მოხიბლული.

დილიჟანსი ერთხანს ადგილიდან არ დაიძრა. მგზავრები საყვარელ პოეტს გაუფრთხილდნენ, ქვენა ქარი ქროდა და მტვერს ზედ მიახვეტავდა. გრიგოლი თვალს რომ მიეფარა, მეეტლემ მერე შეუყიჟინა ცხენებს.

ახლა უფრო მარდად გასწიეს ცხენებმა, დილიჟანსი ნავივით ქანაობდა, რიყის ქვებზე თვლები მიხრიგინებდა.

ილია კუთხეში იჯდა, ქუდი მუხლისთავზე დაედო, შავ თმას ქარი უწეწავდა. კოხტამ შეატყო მეგობარს უგუნებობა, რა არ თქვა, როგორ არ იხუმრა, მაგრამ ილიას მოღუშული სახე მაინც ვერ გაუხსნა.

ამ ფიქრსა და ურვაში თემურს ეუბნებოდა: „ჩემო, ძამიკო, ავადმყოფობა რატომ არ შემატყობინე. ვაითუ, ისევ სიცხე გწვავს“, ფიქრმა ფიქრი შეცვალა და ისევ გაუხარაშვილი წარმოუდგა თვალწინ.

ილია ფიქრით ისევ თბილისში გაჩნდა. გუშინწინ ივანე კერესელიძეს „აჩრდილის“ პირველი თავი გადასცა და მოკრძალებით უთხრა:

- თუ მოგეწონებათ, დასტამბეთ!
- დასაწუნს შენ აქ არ მოიტანდი! - შეაგებ ივანემ და ახალგაზრდა მეგობარს ხელნაწერი გამოართვა. გულში კი თქვა - „ლამის წამლეკოს ამდენმა ლექსმა“.

ილიას არაფერი აგრძნობინა, გადაფურცლ-გადმოფურცლა ხელნაწერი, როგორც იტყვიან, „თვალი გადაჰკრა“ და გაიღიმა.

- დავბეჭდავ, მაგრამ რომელი მიმართულებით გამოგიგზავნოთ „ცისკარი“, ზღვით თუ ხმელეთით?
- ჩემთვის სულ ერთია!
- ხედავ, შენთვის სულ ერთი ყოფილა, აკაკის კი ზღვით ურჩევნია.

ილიამ თავი შეიკავა, თითქოს ვერც კი გაიგო, თუ რატომ გადაუკრა სიტყვა ივანემ.

პეტერბურგის ქართველი სტუდენტი ახალგაზრდობისათვის „ცისკრის“ პოლიტიკური მიმართულება მიუღებელი იყო, თავიანთი აზრი კერესელიძეს წერილებით აცნობეს და მიუთითეს ჟურნალის „მიმართულების“ შეცვლის აუცილებლობა. სტუდენტთა ეს მოთხოვნილება ივანე კერესელიძეს სხვაგვარად გაუგია, რის გამოც აკაკის ლამაზად უხუმრია:

„ივანე კერესელიძე „ცისკარს“ გვიგზავნიდა პეტერბურგში, ჩვენც მადლობა მოვწერეთ და ვთხოვეთ, რომ „ნაპრავლენიე“ გამოეცვალა. კერესელიძემაც „დაგვიჯერა“ და ზღვით გამოგვიგზავნა ჟურნალი“.

ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი

იმ ზაფხულს ილია სამშობლოში ვეღარ ჩამოვიდა, გზას დიდი დრო და ხარჯი უნდოდა, ამიტომ პავლოვსკის მიაშურა. ხეებით დაბურული ეს გრილი სოფელი, თუმცა ყვარელს არაფრით არ ჰგავდა, მაგრამ ილია მაინც კარგად მოეწყო. პეტერბურგის შეხუთული ჰაერის შემდეგ აქ სული მოითქვა. ბევრს წერდა და კითხულობდა. მაგიდაზე დახვავებულ წიგნებსა და ქაღალდებს იშვიათად შორდებოდა.

- კაცო, ამ „აჩრდილმა“ შენც აჩრდილი არ გაგხადოს, ამდენი მუშაობა შეიძლება? - უსაყვედურა იმ დღეს კოხტა აფხაზმა.
- მიფრთხილდები?
- რატომაც არა, შენი ჯანის კაცი თავს უნდა გაუფრთხილდეს. მაშინ იყო და ძლივს გადარჩი.
- ბედი მაქვს, ახლაც გადავრჩები, - მაგიდიდან ქაღალდები აკრიფა, - „აჩრდილი“ თავს არ მანებებს, გადათეთრებას შევუდექი უკვე.

კოხტამ ჯერ კიდევ მელანშეუშრობელი ფურცლები გამოართვა, ჩაიკითხა, მერე ერთი ადგილი მოეწონა და ხმას აუწია:

მომავალია ნუგეშ-მომცემი,
რაც ვერ ჰპოვე დღეს, იპოვი ხვალე.

- ეს კარგად გითქვამს. ხალხს ნუგეში და მომავლის რწმენა უნდა. მაინც როდის დაამთავრებ პოემას?
- ჯერ რაც უკვე დაწერილი მაქვს, იმას უნდა გავკრა-გამოვკრა, ადვილად ვერ ვწერ. პირველ ნაწილს რომ გადავათეთრებ, მერე წაიკითხე, ახლა წავიდეთ, დროა, თორემ ჭავჭავაძის ქალი გაჯავრდება.
- ნეტავ რისთვის გიბარებს? - ჰკითხა კოხტამ.
- არ ვიცი.
- იქნებ რაიმე საიდუმლო უნდა გაგანდოს, მე რა შუაში ვარ?
- რას ამბობ, ჩემთან რა ესაიდუმლოება იმ მანდილოსანს?
- ორივე ჭავჭავაძე ხართ, იქნებ ქონებას გთავაზობს?
- ქონებას? - გაიღიმა ილიამ. - მაშ წამოდი, შენც გიწილადებ!

კოხტა ილიას ნებას დაჰყვა, მეგობრები პავლოვსკის ახლოს, ცარსკოე სელოში ეკატერინე ჭავჭავაძეს ესტუმრნენ.

პეტერბურგის ქართველ სტუდენტებსა და საზოგადოებაში ილია უკვე ცნობილი პოეტი იყო, მისი ლექსები ხელიდან ხელში გადადიოდა, მას ბევრი მკითხველი და პატივისმცემელი ჰყავდა.

ეკატერინე თვითონაც წერდა ლექსებს და რა გასაკვირია, ილიას პოეზია კარგად რომ სცოდნოდა.

ეკატერინე საიდუმლო განძივით ინახავდა ნიკოლოზ

ბარათაშვილის ლექსებს, თითქოს არ ემეტებოდა გამოსაქვეყნებლად, მოწყენის წუთებში (მოსაწყენი და სადარდებელი კი ბევრი რამ ჰქონდა) წიგნაკებს გადაშლ-გადმოშლიდა, თვალს გადაავლებდა საყვარელი ადამიანის ნაწერ-ნააზრევსა და შვებასაც იგრძნობდა: „ტატოს ლექსები რომ დაიბეჭდოს, - ფიქრობდა ხანდახან დედოფალი, - საქვეყნო გახდება და მე არაფერი არ დამრჩება“. მაგრამ ეს გულუბრყვილო აზრი მალევე უარყო და, ის იყო, დასახმარებლად ილია მოიხმო.

ილიასაც ეს უნდოდა, დედოფალს რომ არ მიეწვია, თვითონ ეახლებოდა, რადგან ბარათაშვილის კვალს თბილისიდან მოჰყვებოდა. ილიას თბილისში „ცისკრის“ ძველი ნომერი ჩაუვარდა ხელში, იქ წაიკითხა - „სულო ბოროტო“, „ბულბული ვარდზედ“, „ჩემი ლოცვა“, „რად ჰყვედრი კაცსა“.

მართალია ილიას წინათაც ჰქონდა წაკითხული ეს ლექსები, მაგრამ მაშინ თხუთმეტი წლისა იყო, სიბრძნეს ვერ ჩასწვდა, ახლა კი ბარათაშვილი ისე მაღალი მოეჩვენა, თვალი ვერ შეაწვდინა და იმავე საღამოს გიორგი ერისთავს ეახლა, ამ უცნობი პოეტის ამბავი გამოჰკითხა. „ცისკრის“ იმავე ნომერში დაბეჭდილი იყო გიორგი ერისთავის ლექსი „თ. ნიკოლოზ მელიტონის ძის ბარათოვის გარდაცვალებაზედ“. გიორგიმ და სხვებმაც, ვისაც ილიამ ბარათაშვილის ლექსებით გა-

მოწვეული თავისი აღფრთოვანება გაუზიარა, უთხრეს ეკატერინე ჭავჭავაძეს თუ არა, მისი თხზულებები აბა სხვას ვის ექნებაო, და ილია პეტერბურგში ჩამოსვლისთანავე ეკატერინესთან შეხვედრის თადარიგს შეუდგა, თანაც ეჭვი ეპარებოდა, ეკატერინეს ის ხშირად შეხვედრია, მაგრამ ბარათაშვილზე არაფერი უთქვამს, თუმცა, რომ ჩაუფიქრდა, საეჭვო და საყოყმანო ვერაფერი დაინახა.

ეკატერინესთან ილია შარშანწინაც იყო, მაგრამ მაშინ გულდასმით ვერ შეძლო ორივე წიგნაკის გადაკითხვა, სტუმრებმა ხელი შეუშალეს. სამაგიეროდ, იმ ერთხელ წაკითხულიდან ბევრი ადგილი დაამახსოვრდა, ზოგიერთი სტრიქონი „კაკოშიც“ ჩაურთო, რა ექნა, დაიპყრო ბარათაშვილმა, თავისი ახალგაზრდა მემკვიდრე „მტკვრის პირას“ წაიყვანა „ფიქრთ გასართველად“.

ილია მეგობრობდა ეკატერინეს ქალიშვილთან, სალომესთან. ახლაც სალომე გამოეგება. სალომე ათი წლისა იყო, დედის მიერ განებივრებული, მოწიფული ქალიშვილივით მოვიდა ილიასთან და მობრძანდიო, ფრანგულად უთხრა, მაგრამ ილიამ წარბები შეიკრა. სალომე მიხვდა, რაშიც იყო საქმე, მაშინვე გამოასწორა უნებლიე შეცდომა და ქართულად დაელაპარაკა.

- ბოდიში, სულ დამავიწყდა, რომ თქვენ ამიკრძალეთ ფრანგულად ლაპარაკი.

ილიას გაეცინა და ხელი ჩამოართვა, მერმე სტუმრები დარბაზში შეიწვიეს. ფანჯრებიდან ქარი უბერავდა. აბრეშუმის ფარდები ხან აფრასავით იშლებოდა, ხან იკეცებოდა, მისი ფრიალ-ფრიალი აგრილებდა ოთახს.

სამეგრელოს დედოფალმა გამოსვლა შეაგვიანა.

სალომე ილიას წინ თამამად იდგა, მერე რაღაც გაახსენდა, გაიქცა, დიდი, მოვერცხლილყდიანი ალბომი შემოიტანა და ილიას წინ, მაგიდაზე გაშალა.

- ეს ალბომი გუშინ მომიტანა დედამ, ჯერ არავის არაფერი ჩაუწერია, - დაიწყო სალომემ, ტატოს უბის წიგნაკიდან მე გადმოვიღე ერთი ლექსი, წაიკითხე, ვიცი, მოგეწონება.

ილიამ ალბომი მოუთმენლად გადაშალა და ბავშვის გაუწაფავი ხელით დაწერილ ფურცელს დააცქერდა. ეს იყო „საყურე“. ილია ამ ლექსს რომ კითხულობდა, სალომე სარკეში იცქირებოდა, პატარა ყურზე ჩამოკიდებული საყურე ერხეოდა და ჩუმ-ჩუმად იღიმებოდა. გოგონას მოეწონა ეს ლექსი, ზეპირადაც ისწავლა, ახალ ალბომშიც ჩაწერა.

ილიამ „საყურე“ რომ წაიკითხა, მერე თავისთავად თქვა: აგე ზღვა ნელი, სიყვარულის სხივქვეშ გაშლილი“, შემდეგ ამ სტრიქონმა ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი მიძღვნილი ლექსი დაამშვენა.

– სალომე, ეს ლექსი რომ გადმოწერე, ის უბნის წიგნაკი არ შეიძლება მაჩვენო?

- დედა მოგართმევთ, დედამ თქვა, ილიას უნდა წავაკითხო, გაზეთში დაბეჭდავსო.

შემობრძანდა ეკატერინე, მუქი ვარდისფერი აბრეშუმის მარმაშა კაბა ეცვა, მკერდზე ღრმად ამოჭრილი. ეკატერინემ ხელი ჩამოართვა სტუმრებს, დივანზე ჩამოჯდა. დაღლილი, გაფითრებული სახე ჰქონდა. ილიამ ვერ მოითმინა, ალბომი ისევ გადაფურცლა და თქვა:

- რა ჩინებული ლექსია, ნეტავი ვის საყურეს დაუწვავს ასე ეს დიდებული პოეტი?

ეკატერინე ოდნავ გაწითლდა, თავი ჩაღუნა და ხმა გვიან ამოიღო.

- ჩვენი მამები უფრო მეგობრულად იყვნენ ერთმანეთთან ვიდრე ჩვენ, შვილები ვართ... აგერ, მეორე წელიწადია პეტერბურგში ხართ, რა შორს მე ვარ, მაგრამ ერთხელ არ აღგძვრიათ სურვილი ჩემი ნახვისა... თუმცა, ახლა ვისღა ვუნდივარ, უღონო და უბედური.

ილიას უნდოდა რაღაც ეთქვა ნინო გრიბოედოვაზე. ახსოვდა მისი ამაგი, ციებიანი რომ ექიმთან მიიყვანა, მაგრამ მოერიდა, იცოდა მოგონება მწუხარებას გამოიწვევდა და ბარათაშვილთან შეხვედრის ეს ბედნიერი საღამო ჩაუშხამდებოდა.

- თქვენ ბევრი თხზულება გაქვთ ბარათაშვილისა?

- ბევრი მას არ დაუწერია. რაც თვითონ მომცა, ის შევინახე, ახლავე მოგართმევთ!

ეკატერინემ მაგიდის უჯრა გამოწია და ორი პატარა წიგნაკი ამოიღო. ერთში „ბედი ქართლისა“ იყო მოთავსებული, ხოლო მეორეში - „მერანი“, „ფიქრი მტკვრის პირას“, „სული ობოლი“, „ვპოვე ტაძარი“ ...

- აი, ლექსები, ნახეთ, წაიკითხეთ, დაბეჭდეთ, გაიგოს ხალხმა რა შვილი ჰყავდა! - თქვა ეკატერინემ და ორივე წიგნაკი ილიას მიაწოდა.

ილიამ გადაშალა „ბედი ქართლისა“, მოუთმენლად გადადიოდა გვერდიდან გვერდზე.

ეკატერინე სტუმარს თვალს არ აშორებდა. ილიას შავი წვერი უფარავდა სახეს, უფარავდა ამ სახეზე გამოხატულ სიხარულსაც, მაგრამ ეკატერინეს მახვილი თვალი მაინც ხედავდა, მაინც გრძნობდა იმ აღტაცებას, ეს ახალგაზრდა პოეტი რომ განიცდიდა „ქართლის ბედის“ კითხვისას.

კოხტამ ვეღარ მოითმინა, ხელი წაატანა მეორე წიგნაკს, მაგრამ ილიამ არ დაანება.

ილია წამოდგა, ისევ გადაფურცლ-გადმოფურცლა წიგნაკი და ახლა ხმამაღლა, თავიდან დაიწყო „ბედი ქართლისა“.

ილია გატაცებით კითხულობდა, მარჯვენა ხელს მალიმალ მაღლა სწევდა, მისი ბოხი ხმა ზარივით რეკდა.

ეკატერინე ხელებით მაგიდას დაეყრდნო და ერთ წერტილს მიაჩერდა. მის დაფიქრებულ თვალებს ახლა წინ ედგა ნიკოლოზ ბარათაშვილი, მკრთალი და ნაღვლიანი, სიტყვებიც ნაცნობი და ახლობელი ისმოდა. ცრემლმორეული თვალები ოდნავ მოჭუტა და, წარსულში გადაეშვა. ეკატერინემ თვითონ ტატოსაც მოუსმინა, მამამისის, ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლის ბანზე ახლობლებს რომ წაუკითხა ეს პოემა, მაშინ ტატო ღელავდა, ჩქარობდა, ალექსანდრემ წიგნაკი გამოართვა და თვითონ დინჯად, აუღელვებლად განაგრძო.

ახლა ილიაც თითოეულ სიტყვას სწორედ ისე გრძნობით გამოთქვამდა, როგორც მაშინ ალექსანდრე, ეკატერინეს საყვარელი მამა. „ეხ, ტატო, ტატო!“ ეკატერინეს გული აუტირდა, მაგრამ თავი შეიკავა.

სალომემ შეატყო დედის წუხილი, ნელა წამოდგა და გვერდში მორიდებით ამოუდგა, ეკატერინემ ხელი მოხ-

ვია გოგონას და მუხლზე დაისვა.

ილიამ რვეული მაგიდაზე დადო, ზედ ხელი დაჰკრა და თქვა:

- აი პოეზია, აი ნიჭი!

„საყურეს“ ილიამ ჯერ თვალი გადაავლო, მოეწონა, მისი სიტყვები, გულს ჩასწვდა. ასეთ ცისფერთვლიან საყურეს ატარებდა ჩაიკოვსკაიაც. ამ მოგონებას, რომელიც გულში ტკივილად იყო ჩალექილი, ილია ყოველთვის გაურბოდა, მაგრამ ახლა ვერ გაექცა. „საყურეს“ კითხულობდა და ჩაიკოვსკაია ედგა. ამიტომ ჰქონდა მის ხმას ამდენი სითბო. ეს ყველაზე მეტად ეკატერინემ იგრძნო, თავს ვერ მოერია. მისი ცრემლი და სიძაბუნე სტუმრებს რომ არ დაენახათ, მეორე ოთახში გავიდა.

ილია მიხვდა, თუ რა ცეცხლი სწვავდა ეკატერინეს, თუმცა წინათაც ბევრი რამ სმენია ბარათაშვილის უიმედო სიყვარულზე, მაგრამ ჭორი ეგონა, ან წუთიერი გატაცება. ახლა კი დარწმუნდა და გაიფიქრა - პოეტის გულს ყველას ღალატი რომ აეტანა, სიყვარულის ღალატს ვერ აიტანდა.

პატარა გოგონას უკვირდა, დედამ ასე მოულოდნელად რატომ დატოვა სტუმრებიო, ტატოს ლექსები მას ბევრჯერ მოუსმენია, ზოგი მათგანი ზეპირადაც იცოდა, მას არც ის გამოჰპარვია, დედა ამ ლექსების წაკითხვისას ყოველთვის რომ ღელავდა,

მაგრამ ახლა რა მოხდა?!

ეს ხომ გუშინ იყო, სწორეს გუშინ, სალომემ კვერცხის გულივით ყვითელი ჩონგური აიღო ხელში, ტახტზე ჩამოჯდა და ლარები აახმიანა, იქვე ეკატერინე იჯდა, სარკესთან თავის ორეულს მიშტერებოდა. გულს დარდით უვსებდა ნაოჭების, ჭაღარის მომრავლება, ეშხი და სილამაზე თვალსა და ხელს შუა გაუქრა. განა იყო ოდესმე ლამაზი? ულამაზესიც იყო, ამას თვითონაც გრძნობდა, ერთ სილამაზედ მისი დაკვრა ღირდა. ვისაც მისი ჩონგურზე სიმღერა არ მოუსმენია და ცეკვა არ უნახავს, მას ნამდვილი ეკატერინე არ უნახავს.

ეს ფიქრი და მოგონება ჩონგურის ხმებმა უფრო გაუღვიძა. ცეკვისა და სიმღერის მიყუჩებულმა და მიძინებულმა ჟინმა კვლავ დაიპყრო, კვლავ მოუნდა დაკვრა, მიფერფლილმა ახალგაზრდობამ ისევ გაიღვიძა, გოგონას ჩონგური გამოსტაცა.

ლამაზი თითები გზნებით ჩამოჰკრა ლარებს. მუსიკა მაცდუნებელია, უცებ დაავიწყდა, რომ ის იყო დედოფალი დიდებული და სოფლის გოგოსავით დაკვრა და სიმღერა არ შეეფერებოდა, მაგრამ სწორედ სოფლელ გოგოსავით ჟინიანად, გატაცებით უკრავდა, მღეროდა.

პატარა სალომემ ისიც კი გაიფიქრა, დედა გაგიჟდაო და შიშმა აიტანა, მაგრამ ბედზე თედორე ხოშტარია შემოვიდა - მოძღვარი და ისტორიკოსი. გოგონას იმედი

მიეცა და გაჩერდა. თედორემ ნაბიჯი ვერ გადადგა, არც ხმა ამოუღია, კართან იდგა, ჩონგურის ხმამ თავის მშობლიურ კუთხეში გადაიყვანა, სამეგრელოს დარდიანი ხმებით ევსებოდა გული.

თედორე ეკატერინეს მემატიანე იყო. ამ დიდებული მანდილოსნის თითოეული ნაბიჯი ქაღალდზე გადაჰქონდა. თედორეს ნაწერები ამჟამად ზუგდიდის მუზეუმში დევს, მაგრამ, სამწუხაროდ, მღვდელს გამორ- ჩა ეკატერინესა და ილიას შეხვედრა, მათი საუბრის აღწერა. გამორჩა, თუ გამოტოვა?!

პასუხს თვითონვე ვეძებ.

ბარათაშვილის წიგნაკებს სალომე ყოველთვის შიშით უყურებდა, მართალია, ლექსები მოსწონდა, მაგრამ ის არ მოსწონდა, რომ ამ წიგნაკების რაღაც თილისმა დედას თვალებს ცრემლებით უვსებდა. „ნეტავი სულაც წაიღოს ილიამ და მოგვასვენოს“, - ფიქრობდა ის.

- სტუმრები მარტონი არიან, წამოდი - შეახსენა დედას.

გვიან წამოდგა ეკატერინე, ჯავრი სახიდან გადაიყარა, მაგრამ გულს ვერაფერი მოუხერხა და მორიდებით შევიდა სასტუმრო ოთახში.

- მაპატიეთ, - გაღიმება სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა.
- დიდი ხანია ილიას თქვენთან მოსვლა უნდა, ემზადებოდა. გუშინწინ მამათქვენზე ლექსი დაწერა - სცადა უხერხულობის გაფანტვა კოხტამ.

ეკატერინეს გაუკვირდა და თავი დაუკრა ილიას.

- გმადლობთ! - კოხტას შეხედა, - ვთხოვოთ, წაგვიკითხოს.

ილიამ გულისჯიბიდან მოკეცილი ქაღალდი ამოიღო, გაშალა და ეკატერინეს გაუწოდა.

- ინებეთ!
- გთხოვთ, თქვენ წაგვიკითხოთ! პოეტებმა კარგი კითხვა იციან! ტატო ლექსს რომ კითხულობდა, ცეცხლსა და სევდას ორივეს ერთად აფრქვევდა.
- ტატოს ლექსების შემდეგ ჩემს ლექსებს ვერ წავიკითხავ ...მითხრეს, თქვენ შესანიშნავად კითხულობთ თურმე.
- შეიძლება წინათ, როცა ახალგაზრდა ვიყავი! - ეკატერინემ ილიას ლექსი აიღო, დახედა, სევდა აღებეჭდა სახეზე.

ვიდრე ილია ბარათაშვილის მეორე წიგნაკის კითხვას შეუდგებოდა, ეკატერინე წამოდგა და მთრთოლვარე ხმით თქვა:

- თქვენ იკითხეთ, მე ამ წუთას გეახლებით!

ეკატერინე რომ გავიდა, ილიამ კითხვა დაიწყო ...

მცირე ხნის შემდეგ სალომე პეპელასავით, უხმაუროდ წამოდგა, ცერებზე შემდგარი დარბაზიდან გავიდა. საწოლ ოთახში, ბალიშებზე დამხობილი ეკატერინე გულამოსკვნილი ტიროდა. ხელში ილიას ლექსი ეჭირა.

სალომეს ელდა ეცა.

- დედა, ვინ გაწყენინა, რატომ სტირი?
- გაჩუმდი, შვილო, აბა, როდის ვტირი?
- ცრემლი, ცრემლი!

ეკატერინემ თვალები ამოიწმინდა, ბავშვს სახე მოარიდა.

- ექიმს დავუძახებ.
- ვერ მიშველის, მოდი აქ, ჩემო გოგონა, - მოიხმო დედამ და ცნობისმოყვარე ქალიშვილი გულში ჩაიკრა, - აი, ახლა არ ვიტირებ. შენა ხარ ჩემი წამალი, გესმის? ... - და დუმილის შემდეგ გაიმეორა: - „ხან ღონდება ნაზ ქალსავით უიმედო სიყვარულით“.
- დედა, რატომ ამბობ ამას?
- აი, აქ წერია, შვილო! - და ლექსი მიაწოდა, თვითონ კი ისევ გულში უელავდა ილიას სიტყვები, - „უიმედო სიყვარული“. - კარგად უთქვამს ილიას... - ეკატერინეს თვალწინ წარმოუდგა მამა, წარსული ცხოვრების ჭირი და ლხინი ირეოდა ცნობიერებაში.

სალომემ ლოყა დედის ცხელ ლოყას მიადო და გაინაბა.

ეკატერინეს ხშირად უცრემლებდა თვალებს სამშობლოდან გასახლება. 1857 წელს მთავრობამ ეკატერინე აიძულა განშორებოდა თავის სამთავროს და პეტერბურგში ეცხოვრა ოჯახითა და ამალით. სალომეს

ეგონა, დედა ახლაც ამას დასტიროდა და გული გაუკეთა:

- არა უშავს, დედა, აქ ვიცხოვროთ, ამაზე ნუღა სტირი!

ეკატერინემ ცრემლი მოიწმინდა, თმები გაისწორა და სტუმრებთან გავიდა. უკან სალომე გაჰყვა. ცუდ დროს შევიდა ოთახში, ილია „თავადის ჭ . . . ის ასულ ეკ . . . ნას“ კითხულობდა. სახეზე ცეცხლი მოეკიდა ...

ილია ადვილად მიუხვდა წუხილს, თვითონაც გაწითლდა და ოდნავ გაიღიმა.

- ქალბატონო, გამიგონია, თქვენ ჩონგურს ჩინებულად უკრავთ, ეს ლექსი არ დაგიმღერებიათ?
- როცა დარდი არ მქონდა, ვმღეროდი, მაგრამ ახლა არ მემღერება.
- რას იზამთ, ჩვენ არავის გვემღერება, მაგრამ მაინც ვმღერით, სიმღერა დარდსაც აშუშებს! - მიუგო ილიამ, ისე, რომ ბარათაშვილის წიგნაკებისათვის თვალი არ მოუშორებია. თავისი შავყდიანი უბის წიგნაკი ამოიღო, „ფიქრი მტკვრის პირას“ და „საყურე“ გადაიწერა.

კოხტამ თვალი მიადევნა კალამს.

ამ ხელნაწერების გაცნობის შემდეგ დაიწერა ილიას „მტკრის პირას“.

და, კოხტა აფხაზის მოგონებაც, რომელიც მან მოხუცებულობის ჟამს დაწერა, ამ პირველ შეხვედრას ეკუთვნის, ალბათ.

„ვინ წარმოიდგენთ, რა შთაბეჭდილება მოახდინეს ამ ლექსებმა ილიაზე. თითქმის მთელი ერთი კვირა ყმაწვილი ბოდავდა ბარათაშვილით.“

ეკატერინეს ეგონა, ბარათაშვილი მარტო მას უყვარდა, მისი ლექსები მარტო მას მოსწონდა. მაგრამ აი, ილია პირველი შეხვედრისთანავე მოიხიბლა, ვერც კოხტა აფხაზი მალავდა აღფრთოვანებას.

- დედოფალო, ცოდვაა ეს საუნჯე ცხრაკლიტულში რომ გიდევს! - შეჰბედა კოხტამ.
- მაცალე, კოხტავ, მაცალე! - უთხრა ილიამ. უკანასკნელი სტრიქონიც ჩაათავა და განაგრძო: - დედოფალს დიდი მადლობა, რომ ეს საუნჯე შემოგვინახა. ამ სამსახურს საქართველო არასოდეს დაივიწყებს!

დედოფალს ტუჩებზე წუთიერმა ღიმილმა გადაურბინა.

- ამასწინათ გრიგოლ ორბელიანი მესტუმრა, მთხოვა ტატოს ლექსები წამიკითხეო. ვიცი მისი გულის ამბავი, როცა ტატო გარდაიცვალა, გრიგოლი ელდისაგან ავად გახდა, მაგრამ ძალიან შემომეხვეწა და წავიკითხე. იტირა გრიგოლმა, ამ ლექსების გამოცემას თავი ვერ დავადგითო, ფულიც კი შევაგროვეთ, მაგრამ საქმეს მაინც საშველი არ დაადგაო. ეხ, დაუდევრობა, დაუდევრობა, ნანობდა გრიგოლი.

- სანანებელიც აქვს, დისწულისათვის უნდა მოევლო! - ვერ მოითმინა კოხტამ.

ილიას არაფერი უთქვამს, ხელები მაგიდაზე ჩამოაწყო და იმ ჯადო წიგნაკებს უყურებდა, რომლებიც მის წინ იდო. გულმა გული იცნო: ილია მთელი არსებით ახლა ნიკოლოზ ბარათაშვილთან იყო, თავის დიდ წინაპარს „ქართლის ბედზე“ თუ ესაუბრებოდა.

იმ საღამოს, ილია რომ შინ დაბრუნდა, ამხანაგებს უთხრა: „როს წავიკითხე მისი ლექსები, ვერარა ვთქვი რა განცვიფრებულმა“.

პავლოვსკში ყველას ეძინა, არ ეძინა მხოლოდ ილიას. იგი მაგიდასთან იჯდა და წუხდა. ეკატერინე ჭავჭავაძესთან, მართალია, „ვერა რა თქვა განცვიფრებულმა“, მაგრამ თავის ოთახში იქ უთქმელი სიხარული ლექსში გაამჟღავნა.

როს წარვიკითხე მისი ლექსები,
ვერა რა ვსთქვი რა განცვიფრებულმა!..
ვით ქარიშხალით ატეხილ ბუქმა
ცას განუბნივოს შავი ღრუბლები,
ისე იდარა ჩემ მწუხარ შუბლმა!
ხალხო ობოლო, შენ მებრალები,
რომ დაგაობლა მის ციურ შუქმა
და განგაშორა თვისი სხივები!..
როს წარვიკითხე მისი ლექსები,
აღმოვიკვნესე დაობლებულმა!..

როცა პეტერბურგის ქართველ სტუდენტებში ილია გატაცებით ლაპარაკობდა ბარათაშვილის საოცარ ნიჭსა და პოეზიაზე, პოეტის უბედური მამა სიცოცხლეს ესალმებოდა... ვინ გაიხსენებდა მას, ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული შვილი რომ არ ჰყოლოდა?!

ბარათაშვილმა ილიას თვალი აუხილა და გული გაუხსნა. ილიამ პირველმა სწორად განსაზღვრა ბარათაშვილის შემოქმედების მნიშვნელობა ქართველი ერის ცხოვრებაში. მანვე მიუთითა პოეტის საკაცობრიო ხასიათზეც.

„ნიკოლოზ ბარათაშვილმა ჩვენს აზრს, - წერდა ილია, - ჩვენს გულისთქმას, ჩვენს ჭკუა-გონებას დიდი განი და სიღრმე მისცა, კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანამოზიარედ გაუხადა და კაცობრიული წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც დააწაფა“.

ილიამ ცოტა როდი იბრძოლა და იშრომა ბარათაშვილის ნაწარმოებთა გამოსაქვეყნებლად. მან ამ დიდი პოეტის არა თუ ლექსებს, არამედ ბარათებსაც მოუყარა თავი. ილიამ თავისი დისა და სიძის ოჯახში აღმოაჩინა ბარათაშვილის ოთხი წერილი, მიწერილი მაიკოსადმი. ეს მონაპოვარი მაშინვე გადაუგზავნა „კრებულის“ რედაქციაში კირილე ლორთქიფანიძეს და მისწერა:

„ძმაო კირილე! გიგზავნი ბარათაშვილის წიგნებს. შენ იცი და შენმა რიგიანობამ, როგორც კარგად, შეუშლელად და შეუმცდარად დაჰბეჭდავ. მართლწერა და ნიშნების ხმარება სრულად და შეუმცდარად დედანისა არის და აგრეთვე უნდა დაიბეჭდოს. საკვირველია, რომ ჩვენგან გაკიცხულს ასოებს არც ნიკ. ბარათაშვილი ხმარობს მაგრე რიგად. ჰსჩანს მაგ ასოებს არც ის ეწყობოდა. შესანიშნავია“.

ეკატერინე ჭავჭავაძისეული ბარათაშვილის ავტოგრაფ-კრებულები ილიას შემდეგ, ვინ იცის, კიდევ ვინ წაიკითხა. მოხუც დედოფალს ისინი ბოლო წლებში ალბომებთან ერთად ეწყო მაგიდაზე, ქართველი სტუმრები ამ საუნჯეს ეწაფებოდნენ, მაგრამ შემდეგ უკუღმა დატრიალდა ავტოგრაფების ბედი... წიგნმა შავ ბაზარში ამოყო თავი. იქ ქართულ სიძველეთა მფარველმა მოუსწრო... ეს საუნჯე ამჟამად დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში. ორივე კრებულს მიწერილი აქვს: „ვიყიდე 1887 წელს პეტერბურგში; ბუკინისტ პ. ი. ვორონინისაგან, ნევის პროსპექტზე N54. ე.თაყაიშვილი“.

აკაკი

თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, ყურადღებას იპყრობს მაღალ კვარცხლბეკზე მდგარი ილიას და აკაკის ქანდაკება. აკაკი და ილია იმ შფოთიან დროში ათეული წლების მანძილზე ერთად იბრძოდნენ, ერთად ეწეოდნენ საზოგადო მოღვაწის მძიმე უღელს.

ვერც სიკვდილმა დააშორა ისინი ერთმანეთს.

დღესაც ამაყად დგანან თბილისის მთავარ პროსპექტზე. ამ ორი დიდი ადამიანის მეგობრობას დიდი და გრძელი ისტორია აქვს.

აკაკი პეტერბურგში რომ ჩავიდა, იმ წელიწადს ილია იქ კავკასიელთა შორის ცნობილი კაცი და ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს აღიარებული ხელმძღვანელი იყო.

„ქართველ სტუდენტებს, - წერს ნიკო ნიკოლაძე, - რომელთაც ხელმძღვანელობდა ილია ჭავჭავაძე, ძველი ქართული წიგნებისა და ხელნაწერების კარგა გვარიანი კოლექცია შეეგროვებინათ და თავზე ევლებოდნენ მას. ესენი ამტკიცებდნენ, რომ მიზანშეწონილია დაარსდეს რამდენიმე კავკასიური სათვისტომო - ქართველების, სომხების, ლეკების და სხვათა, და მათ შორის უნდა დამყარდეს მჭიდრო კავშირიო... ამ აზრმა გაიმარჯვა კიდეც“.

აკაკიც ამ წრეში მოხვდა და თავის თანამემამულეს

ადვილად დაუმეგობრდა.

ილიას უკვე დაწერილი ჰქონდა „აჩრდილი“, „გლახის ნაამბობი“, „კაცია ადამიანი?!“, მრავალი ლექსი. ამ ნაწარმოებებს ქართველები ხარბად ეწაფებოდნენ, დედანშივე კითხულობდნენ, ლექსებს კი თავის უბის წიგნაკებში იწერდნენ.

სხვებს, რასაკვირველია, არც აკაკი ჩამორჩა, “აჩრდილი“ დედანში გაიცნო.

ილიამ სამშობლოს სევდა უფრო მწვავედ განიცადა მას შემდეგ, რაც ბარათაშვილის პოეზიას ეზიარა. ბარათაშვილმა გადაძალა ახალგაზრდა ილია, ოცნებით არაგვის პირას წაიყვანა, არაგვი - წმინდა ქართული მდინარე - პეტერბურგში მიმავალ ახალგაზრდებს დიდხანს მიაცილებდა და თანაც ქართლის ბედზე ეჩურჩულებოდა.

ბარათაშვილმა მჩქეფარე არაგვი დაგვიხატა, ილიამ კი ამ მდინარეს უფრო სევდიანად მიმართა:

> გულ-ხელთ დაკრეფვით შენსა წმინდა წყალს
> რამდენჯერ ტანჯვით ვადევნებდი თვალს!..
> რას ვეძებდი მე? ჩემ ქვეყნის წარსულს,
> შენ-წინ დაღუპულს ჩემს ძველსა მამულს, —
> და მარტო სისხლი ჩემს თვალს დაღალულს
> აძლევდა ხოლმე გულსაკვდავ პასუხს.

„აჩრდილის“ ნაწყვეტის „ცისკარში“ გამოქვეყნების შემდეგ, იმავე ჟურნალში, დაიბეჭდა აკაკის ლექსი „ამაო ძებნა“. ეს ლექსი ილიას „აჩრდილის“ გამო რომ არის შექმნილი, ამაზე თავის დროზე მიუთითა მათმა საერთო მეგობარმა კირილე ლორთქიფანიძემ, რომელიც კრებულ „ჩანგურის“ შესახებ დაწერილ ცნობებში აღნიშნავს „აკაკის ნაწარმოები („ამაო ძებნ“, კ.გ.) ჭავჭავაძის არაგვის გამო არის დაწერილი“.

აკაკის ეს ლექსი არის ერთგვარი პოლემიკური გამოხმაურება.

მწერლობაში ფეხის შედგმის დღიდანვე ილია და აკაკი გულმოდგინედ ადევნებდნენ თვალყურს ერთმანეთის შემოქმედებას. „ამაო ძებნის“ გამოქვეყნების შემდეგ გავიდა ორიოდე წელი, ილიამ უკან მოიხედა, განვლილ ლიტერატურულ ცხოვრებას თვალი გადაავლო, „ცისკრის“ ძველი ნომრები მაგიდაზე დაილაგა და კრიტიკული წერილისათვის მასალების ამოკრეფვას შეუდგა. მან ჩაინიშნა აკაკის ნაწარმოებები: „პ; წ-ს“, „ამაო ძებნა“. ორივე ლექსი ახლა უფრო მოეწონა და მიაწერა: „კარგია“.

აკაკი კიდევ ერთხელ გაეპაექრა ილიას. ამჯერად ისინი ერთმანეთს შეეცილნენ ქართველ სტუდენტთა შეფასებაში. როგორც ცნობილია, „ქართველი სტუდენტების სიმღერა“ მრავალჯერ გადააკეთ-გადმოაკეთა ილიამ. ამ ლექსის მეორე ვარიანტი მიუღვ-

ნა სოსიკო ვაჩნაძეს. სოსიკო ილიას ახლო მეგობარი იყო, იმ დროს პეტერბურგში აპირებდა წასვლას სწავლის გასაგრძელებლად. ამის თაობაზე მან ილიასაც მისწერა.

ილია ანიკო ვაჩნაძისადმი გაგზავნილ ბარათში აღნიშნავს: „სოსიკო მწერდა, რომ ვაპირებ რუსეთში წამოსვლასაო, არ იქნება ურიგო, რომ წამოვიდეს, ხომ იცი, საყვარელო დაო, რომ სწავლისთანა ამ ქვეყანაში გამოსადეგი არა არის რა. მაშასადამე, ცოდვა არის სწავლის მსურველს არ მისცენ საშუალება“.

ამ დროს უკვე ილია სწავლაში დაწინაურებული, გამოცდილი სტუდენტი იყო და გულითადი მეგობრის ჩამოსვლა ძალიან გაუხარდა. ეს სიხარული მან გამოხატა „ქართველ სტუდენტების სიმღერაში“. ვაჩნაძის პეტერბურგში ჩასვლა ილიამ ამ მშვენიერი ლექსით აღნიშნა. ამ ნაწარმოებში ილიამ უმღერა იდეალურ ქართველ სტუდენტებს, ღირსეულ მამულიშვილებს, რომლებიც, მიუხედავად სიღარიბისა, თავგამოდებით ეწაფებოდნენ მეცნიერებას, რომ ერისთვის გამოსადეგი მოქალაქენი გამხდარიყვნენ.

აკაკი ამ ლექსს რომ გაეცნო, არ დააყოვნა და მაშინვე გაეპასუხა. პასუხი ძალიან მკაცრი, პაროდიული გამოუვიდა.

ილია თავის ლექსს ასე იწყებს:

დედამ რომ შვილი გაზარდოს, —
ემაგრე ჩვენისთანაო;
ძმურად გამოსადეგნი ვართ
ყველგან და ყველასთანაო.

აკაკი კი პასუხობს:

დედამ რომ შვილი გაზარდოს
და მერე თქვენისთანაო?!
ნაცარქექია რამა ხართ
ყველგან და ყველასთანაო.

და ასე ბოლომდის.

კირილე ლორთქიფანიძემ „სტუდენტების სიმღერა“ უბის წიგნაკში ჩაიწერა და სადაც ახლობელს შეხვდებოდა, ყველას აკითხებდა. ეს ლექსი მან აკაკის უჩვენა. აკაკიმ წიგნაკი გამოართვა. თვითონ წაიკითხა და თქვა:

- რას ამბობს ეს კაცი, ასეთი კარგი სტუდენტი განა გვყავს?

და იქვე ექსპრომტად ეს პაროდია თქვა. ბევრი დაეთანხმა პოეტს. ილიას მორიდებით გადასცეს პაროდია.

- რას იზამთ, სარკეს ორი მხარე აქვს, წინა მხარე ბრწყინავს, ბრჭყვიალებს, მე სტუდენტების ეს მბრწყინავი მხარე მედგა თვალწინ, როცა ვწერდი. აკა-

კიმ კი სარკის უკანა მხარე დაინახა, რომელიც ბუნებით შავია და შავადაც უმღერა! -დამშვიდებით თქვა ილიამ, რადგან მან კარგად იცოდა ვის წინააღმდეგაც იყო მიმართული აკაკის ეს გესლიანი პაროდია.

აკაკის სიცოცხლეში ეს პაროდია არ გამოქვეყნებულა. მისი გარდაცვალების შემდეგაც დიდხანს ინახებოდა მუზეუმში.

პეტერბურგის უნივერსიტეტში შესვლის პირველსავე წელს ილიამ დაწერა „ხმა სამარიდამ“. ამ ლექსში ცხოვრების მანკიერი მხარეებია მხილებული. ლექსი შექმნიდან ოთხი წლის შემდეგ დაიბეჭდა „საქართველოს მოამბეში“. ეს ნაწარმოები აკაკიმ გულდასმით გაარჩია თავის წერილში და აღნიშნა: „ამ ლექსში ოცნებას კი ვერა ვხედავთ, მაგრამ ყოველდღიურს ჭეშმარიტებას, ჩვენს ნაკლოვანებას და ჩვენს საჭიროებას ვხედავთ და ამისთვის მოგვწონს პოეტი, ამაში მდგომარეობს მისი მაღალი ღირსებაც“.

ახალგაზრდა აკაკი ილიას პირველი შემფასებელი და მეგობარი იყო. აკაკიმ გაბედულად შეადარა ილია ჭავჭავაძე ნიკოლოზ ბარათაშვილს: „ჭავჭავაძე არის ბარათაშვილის მოკანანახე და მისი დიდი ღირსებაც ამაში არის დაფუძნებული. ყოველს მის ლექსში ხედავთ ქართველების ტანჯვასა და გოდებას“.

1864 წელს პეტერბურგში კირილე ლორთქიფანიძემ

გამოსცა ქართველი პოეტების ლექსთა კრებული „ჩანგურის“ სახელწოდებით. ჩანგურში მოთავსებული იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის და სხვათა თხზულებები. ერთი წლის შემდეგ „ცისკარში“ აკაკიმ „ჩანგურზე“ მოათავსა ვრცელი წერილი და გულდასმით გაარჩია ბევრი ნაწარმოები. დაწვრილებით განიხილა ილიას ლექსებიც და პირუთვნელად შენიშნა: „თუ ჭავჭავაძის ლექსებში მარტო ხელოვნებას მივაქცევთ ყურადღებას, მაშინ მის ლექსებს არ ექნებათ დიდი ღირსება. მაგრამ ჩვენ მარტო ხელოვნებას არ ვეძებთ (ხელოვნურად ნათქვამი სისულელე და ოცნება იქნება); ჩვენ ვეძებთ ჭკვიან აზრებს და მას კიდეც ვპოულობთ ჭავჭავაძის ლექსებში“.

აკაკი აღფრთოვანებულია ილიას პროზაული ნაწარმოებებით და წერს: „ჩემის აზრით მისი „კაცია ადამიანი?!“ და „გლახის ნაამბობი“ - ობოლ მარგალიტებად რჩებიან ჩვენს ლიტერატურაში“.

აქ უადგილო არ იქნება კიდვ ერთი ამონაწერი მოვიყვანოთ აკაკის სტატიიდან. აკაკი მკაცრად მიმართავს „ყოვლისმცოდნე სწავლულებს“ და წერს: „მისთვის შევეხე აქ ჭავჭავაძეს და ბარათაშვილს, რომ ეგება ჩვენმა განათლებულმა სწავლულებმა, რომელთაც ჯიბეში ხელი ჩაუწყვიათ და დაცინების მეტს არას აკეთებენ, ეგება იმათ მოჰკიდონ კალამს ხელი და კრიტიკულად გაარჩიონ ჩვენი მწერლები. თუმცა ბევრ-

ჯერ გამიგონია იმათგან, რომ ჯერ უნდა იყოს რამე, რომ მერე კრიტიკოსი გამოჩნდეს და დასწეროს მისი განხილვაო. მაგრამ ეს სულ ტყუილი თვალის ახვევა არის: ის კაცი, რომელსაც წინ უდევს რუსთაველი, ბარათაშვილი და ჭავჭავაძე, სტყუა ამ სიტყვებით, არაფერი გვაქვსო! სწავლულებო, მოგვხედეთ! რა არის ეს გულისშემზარებელი თქვენის მხრით გულგრილობა? გვიჩვენეთ გზა და კვალი და თუ ვერ გამოგყვეთ, მაშინ დაგვცინეთ და მაშინ შეგვრისხეთ!“.

აკაკი ყოველთვის მხარში ედგა ილიას და მისი ჭირისა და ლხინის მოზიარე იყო. ახალ და ძველ თაობათა ბრძოლის წინა ხაზზე ილიას გვერდით აკაკიც იბრძოდა.

1875 წლის გაზაფხულზე სითბომ ერთბაშად ააყვავა თბილისის ბაღები, მაგრამ მარტო ამით კი არ იყო წლის ეს დრო კარგი და სამახსოვრო, ბუნების ამ გამოღვიძებას დაემატა ქალაქის ლიტერატურული ცხოვრების ფეხზე წამოდგომაც. გაიმართა პირველი ლიტერატურული საღამო - აკაკი ჩამოვიდა ქუთაისიდან, ილია აქ დაუხვდა, „დროებამ“ საგანგებო მეთაური მიუძღვნა მწერალთა ამ მეჯლისს.

„ნამდვილი დამამშვენებელი და გამაცოცხლებელი ამ საღამოსი, - წერს რეცენზენტი, - იყვნენ აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე. ჩვენ იშვიათად გაგვიგონია ისეთი ოსტატური და ხელოვნური წაკითხვა,

როგორც აკაკიმ თავისი „ადვოკატის დილა“ და „სცენა საპყრობილეში“ წაიკითხა, ი. ჭავჭავაძემ - თავისი „კაცია ადამიანის“ ერთი ალაგი და გრ. ორბელიანის „დ. ო-ვის დარდები“.

ილია აკაკის ყოველთვის პატივისცემით ეპყრობოდა, ერთ-ერთი თავგამოდებული დამფასებელი იყო მისი პოეტური ღვაწლისა. როცა აკაკი კახეთს ეწვია, კახელები თავიანთ სათაყვანო მგოსანს დიდი სიყვარულითა და პატივისცმით შეხვდნენ. აკაკის კახეთში მოგზაურობას ილიამ მშვენიერი წერილი მიუძღვმა.

“საცა წავიდა ბ-ნი აკაკი, წინ დახვდა მისგან ფრთაასხმული და გაღონიერებული სიყვარული საქართველოსი და ქართვლისა, წინ დახვდა გულწრფელის პატივისცემითა და მადლიერობით აღსავსე გულითა. აგრე თვითონვე იგემა ბ-ნმა აკაკიმ ნაყოფი თავის დანერგულისა და დათესილისა.”

ჩვენ ესეთი მიღება ბ-ნ აკაკი წერეთლისა აღვნიშნეთ, როგორც სანუგეშო ამბავი, როგორც სასიხარულო მაგალითი და ნიშანი ჩვენის ცხოვრების წარმატებისა. მაგრამ ამ შემთხვევაში ერთი ფრიად შესანიშნავი საგანიც არის. ეგ არის სიტყვა აკაკი წერეთლისა, თქმული თელავში კახელების წინაშე. ამაზედ მშვენიერი სიტყვა ჩვენ არ გვახსოვს ქართულს ენაზედ. კითხულობთ და გიკვირთ, გიკვირთ და კითხულობთ. არ

იცით, რა რას დაამჯობინოთ, სიტყვა აზრს, თუ აზრი სიტყვას, - ისე შეზავებულია, ისე შეხამებულია, ისე შეხორცებულია სიტურფე სიტყვისა აზრის მშვენიერებასთან. ყოველი წესი ორატორის ხელოვნებისა დაცულია და ხმარებული, რომ სიტყვამ ისე გასჭრას, როგორც მთქმელს განუზრახავს, და აზრმა და გრძნობამ იმ გზით მიაღწიოს დანიშნულ ადგილამდე, როგორც მთქმელს სურვებია.”

აკაკიმ პირველმა აღიარა ილია ახალი თაობის მეთაურად და საზოგადო ჰორიზონტზე მისი გამოსვლა მოკუპრულ ცაზე ცისარტყელას გამოჩენას შეადარა.

„ბარათაშვილის შემდეგ ლექსებს ბევრი სწერდა, მაგრამ რაგვარს; ზოგი ლოცვებს, ზოგი მოდებს, ზოგი რას. მაგრამ იმათი მღერა, რასაკვირველია, ჩხავილი იყო და არა სტვენა, რადგანაც თვითონაც არ ბრძანდებოდნენ ბულბულები... ყოველს მის ლექსში ვხედავთ ქართველების ტანჯვას და გოდებას... ილიას ერთი სტრიქონს არ გავცვლი, - დასძენს აკაკი, - ფუთობით რომ მიბოძოთ ჩვენი ბულბულების ნაწერები, რომელშიაც მეტი პოეზიაც იქნება და რითმებიცა... ჩვენ ვეძებთ ჭკუის აზრებს და ამას კიდეც ვპოულობთ ი. ჭავჭავაძის ლექსებში“.

1882 წელს აკაკის შეუსრულდა სალიტერატურო მოღვაწეობის მეოთხედი საუკუნე. ეს თარიღი საზოგადოებამ ფართოდ აღნიშნა და ილიამაც „ივერი-

აში“ დაბეჭდა წერილი, მხურვალედ მიესალმა თავის თანამოღვაწეს და მეგობარს:

აკაკი „ტკბილის გრძნობიერების სიტყვით, - წერს ილია, - ამ ოცდახუთს წელიწადში ატკბობდა ქართველის ყურს, აფხიზლებდა გონებას და ჰმართავდა ქართველის გულს ქართველისა და საქართველოს სიყვარულისათვის“.

შემდეგ წერილში ილია უფრო მკაფიოდ, უფრო აღტაცებით მიმართავს:

„გაუმარჯოს აკაკი წერეთელს, რომლის სამსახურს და ღვაწლს ქართველი გულში ჩაირჩენს სამუდამო სახსოვრად და რომლის მშვენიერის ლექსებით არაერთხელ დაიტკბობს ყურსა და გრძნობას და არაერთხელ გულს მოიცემს მამულის სიყვარულისათვის“.

1909 წელს პეტერბურგში სახელმწიფო საბჭოს არჩევნებზე რეაქციონერებმა გაიხსენეს ილია ჭავჭავაძე რომ კრიჭაში ედგა მთავრობას და თქვეს, შევცდით, რომ ასეთი კაცი ავირჩიეთ და ახლა მაინც არ გავიმეოროთ ეს

შეცდომაო.

რეაქციონერთა აშკარა შემოტევამ გააგულისა მიხეილ მაჩაბელი, რომელიც საბჭოთა არჩევნებში მონაწილეობდა და საჯარო სიტყვაში ილიას მოწინააღმდეგეს საკადრისი პასუხი გასცა.

იმ დროს აკაკი პარიზში იმყოფებოდა. გაზეთში მაჩაბლის ეს სიტყვა რომ წაიკითხა, გაუხარდა ილიას მაძაგებლებმა ღისეული სილა რომ მიიღეს და მაჩაბელს მისწერა: „ძმაო მიშა, ჩემ ხანგრძლივ სიცოცხლეში ბევრჯერ არ დავმტკბარვარ სიამოვნებით და ერთი იმ წამთაგანი მერგო, როცა წავიკითხე შენი სიტყვა „სახელმწიფო რჩევაში“ წარმოთქმული; რომ სიტყვა აღარ გავაგრძელო, გადაგეხვევი და გადაგკოცნი სიყვარულით“.

სამეგრელოში მოვედი და საქართველო ვნახე

1885 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადეოებამ, ივანე მაჩაბლის სიტყვით რომ ვთქვათ, „მართლაც მეფური შეწირულება მიიღო“. ეს იყო სამეგრელოს სამთავროს უძველესი ხელნაწერებისა და წიგნების მდიდარი ბიბლიოთეკა.

სამეგრელოს მთავრის ოჯახში წიგნი უყვარდათ, დიდი და პატარა სიამოვნებით ეტანებოდა ქართულ წიგნებსა და ხელნაწერებს. მწიგნობრების ოჯახში რძლად ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილი ეკატერინე რომ შევიდა, მასაც მზითევში დიდძალი წიგნი და მშვენიერი ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“ მოჰყვა. ეკატერინე თვითონ იყო ლიტერატურით გატაცებული, ლექსებსაც წერდა, დაქვრივების შემდეგ, რუსეთსა და უცხოეთში ყოფნისას, ბევრი წიგნი შეიძინა და ზუგდიდის ისედაც მდიდარი ბიბლიოთეკა კიდევ უფრო გაამდიდრა.

ბიბლიოთეკის მოწყობით განსაკუთრებით თავი ისახელა მთავარმა დავით დადიანმა, მან უძვირფასესი ხელნაწერებისა და ისტორიული ნივთების მთელი მუზეუმი შექმნა, რომელიც ზუგდიდის სასახლის მშვენებას წარმოადგენდა.

1854 წელს, ომარ ხანის მეთაურობით სამეგრელოში თურქთა ურდო ასაკლებად რომ შემოიჭრა, ძვირფასი ბიბლიოთეკა უშიშარ ადგილას - გორდის სასახლეში გადაიტანეს და შემდეგ უკან აღარ დაუბრუნებიათ.

ეკატერინე ჭავჭავაძის შვილი ნიკო დადიანი ევროპულად განსწავლული იყო, კარგად იცოდა ქართული, რუსული, ფრანგული, გერმანული და სხვა ენებიც, თავისი ოჯახური მდგომარეობით გადაგვარებას არაფერი აკლდა, მაგრამ გული მაინც ქართული ჰქონ-

და და მამულისადმი სიყვარულით უძგერდა.

ნიკო დადიანი პეტერბურგში ცხოვრობდა, უგანათლებულეს თავად „მინგრელსკად“ წოდებული, იმპერატორის ამალის დიდებით მოსილი გენერალი იყო.

ნიკომ რომ გაიგო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსება, დახმარების ხელი გაუწოდა და თავისი მამის, დავითის ხსენებული ბიბლიოთეკა საჩუქრად გადასცა. იმ ხანებში ეს ბიბლიოთეკა მთელ საქართველოში ყველაზე მდიდარი გახლდათ. „თუ ამ ჩემის ბიბლიოთეკის შეწევნით, წერს ნიკო დადიანი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება მოუტანს რაიმე სარგებლობას ჩვენს სამშობლოს, მით შევრაცხ თავს ბედნიერად.“

ეს განძი ქართველი ხალხისათვის ძვირფასი საჩუქარი იყო. ილიამ საბაბი იშოვნა, არ დააყოვნა და სამეგრელოში გაემგზავრა. ჩამბარებელ კომისიაში შედიოდნენ: ვასილ მაჩაბელი (ნიკო დადიანის ახლო მეგობარი, რომელსაც მასთან ამ საგანზე მიწერ-მოწერა ჰქონდა), დავით ერისთავი, სამსონ ყიფიანი, გიგა ყიფშიძე, იონა მეუნარგია და სიმონ ღოღობერიძე, ხოლო ილია გახლდათ ამ კომისიის თავმჯდომარე და ხელმძღვანელი.

ილია ჭავჭავაძის და მისი მეგობრების სამეგრელოში გამგზავრება ნაჩუქარი ბიბლიოთეკის ჩაბარებაზე უფრო დიდ მიზანს ისახავდა. მაშინ შავბნელი დრო იყო, ცარიზმის აგენტებმა და მათგან მოსყიდულმა ადგილობრივმა შავ-

რაზმელებმა, ხალხის სურვილის წინააღმდეგ, სამეგრელო-სამურზაყანოს სკოლებიდან ქართული ენის განდევნის საკითხი დააყენეს. ყველაფერი აირ-დაირია, დაიწყო ახალი სახელმძღვანელოების შედგენა. ხალხს ვინ უგდებდა ყურს, თუმცა, ქართულმა გაზეთებმა ხალხს მხარი დაუჭირა და სასტიკად გაკიცხა ამ საქმის მესვეურნი, მაგრამ აქ ხმა აღიმაღლა ცენზურამ და გაზეთებში ამ საკითხებზე წერა აუკრძალა.

ასეთი გაჭირვების დროს, სამეგრელოს სოფლებსა და ქალაქებში ილიას მოგზაურობას, ხალხთან შეხვედრას, სკოლების დათვალიერებას მეფის მოხელეთა ზრახვების ჩასაშლელად უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ილიამ იცოდა, რომ დაგეშილი პოლიცია ფეხდაფეხ დასდევდა, სამეგრელოს სკოლების მდგომარეობის გასაცნობად, საგანგებოდ წასვლა შეუძლებელი იყო. ამიტომ, ბიბლიოთეკის ჩაბარების საბაბი სწორედ ხელსაყრელი გამოდგა.

სანამ ილია და მისი მხლებლები გორდში ჩავიდოდნენ, აკაკი წერეთელი იქ დიდი ხნით ადრე ჩასულა, მთელი ბიბლიოთეკა აღუწერია და კატალოგებიც შეუდგენია. კომისია რომ ჩავიდა, მოსამზადებელი სამუშაოები უკვე ჩატარებული იყო, ჩაბარება გაუადვილდათ, განძი ცხენებს აჰკიდეს და ქუთაისისაკენ გზას გაუყენეს სამსონ ყიფიანმა, გიგა

ყითშიძემ და სიმონ ღოღობერიძემ.

რაკი განძი გაგზავნა, ილია შეუდგა სამეგრელოს უფრო ღრმად გაცნობას, ხშირად ქვეითად ირჩევდა სიარულს, გზადაგზა გლეხებს ესაუბრებოდა, ხან ერთ ჭიშკრთან შედგებოდა, ხან მეორესთან, ათვალიერებდა კოინდრით გადამწვანებულ ეზოებს, ბაღებს, ოდა-სახლებს.

ილია მისმა მეგობარმა მექი ფაღავამ დაპატიჟა ბანძაში, სადაც ილია ებრაელებსაც ესაუბრა, გამოჰკითხა ვის რა უჭირდა, ვის რა ულხინდა.

მექი ფაღავა ქუთაისში მუშაობდა, ცნობილი იურისტი იყო და ბანძაში კარგა გამართული სახლ-კარი ჰქონდა. მწერლები და საზოგადო მოღვაწეები ქუთაისიდან ხშირად მოჰყავდა აქ და უხვ სუფრას უშლიდა.

ილიას ჩამოსვლა მან ქუთაისში გაიგო, მაშინვე გამოსწია ბანძაში, სამეგრელოს სასურველ სტუმარს გულისა და სახლის კარი ღირსეულად გაუღო.

ფაღავას ეზოში ილია ცხენით შევიდა, მას მიეგება ნიკოლოზ დადიანი, ცხენიდან ჩამოიყვანა და გულში ჩაიკრა. ილიას პატივსაცემად გამართულ ნადიმს ესწრებოდა ნიკოლოზ დადიანის შვილი შალვა დადიანი. შალვა ახალგაზრდა იყო, სუფრის ბოლოს მორცხვად იჯდა და ილიას თვალს არ აშორებდა. ბევრი რამ განიცადა და ნახა შალვამ იმ ლხინში და მერე კალმის ერთი მოსმით აღწერა მოგონებებში „ჩემი მა-

რაო“.

გორდსა და ბანძაში ილიას ყოფნისას იონა მეუნარგიას მამა, მიხეილი, სუფრის თადარიგს იჭერდა ცაიშში. მიხეილი ცაიშის საკათედრო ტაძრის დეკანოზი იყო, შეძლებული ოჯახი ჰქონდა, ილიას ახლოს იცნობდა, „ივერიაში“ თანამშრომლობდა. განიზრახა ილიასთვის შესაფერისი პატივი ეცა, ყოველნაირი ღვინო ჰქონდა, არც ფრანგული შამპანური აკლდა, მაგრამ „ოჯალეშზე“ ნაკლებად იყო და ისიც სოფელ ჭკადუაშიდან გამოგზავნა სალომე დადიანმა, მიურატის მეუღლემ.

სალომეს ბავშვობის შემდეგ ილია არ უნახავს, ახლა მექი ფაღავას სახლში შეხვდა და გაიხარა. მოიგონეს პეტერბურგი, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების გადაწერა. უკვე დაქალებული სალომე ბევრ რამეში ჰგავდა ულამაზეს დედას - ეკატერინე ჭავჭავაძეს. ილიამ ეს მსგავსება ხელად შეამჩნია, მოსწონდა თავისი გვარის შვილი ასეთი ლაღი და თვალადი რომ იყო, მაგრამ ის არ მოსწონდა, სალომე რომ მისთხოვდა ნაპოლეონ მესამის ნათესავს მიურატს. მისი შესაფერისი ქართველი კაცი ქვეყანაზე არ აღმოჩნდაო? - ფიქრობდა გულში.

სალომე ვერსალის სასახლეში დედასთან ერთად ცხოვრობდა, იქ დაუმეგობრდა თავის თანატოლს, ბარონესა ბერტა ფონ-ზუტნერს. ეს ორი ლამაზი ქალიშვილი ბევრ დიდებულს მოსწონდა, ბერტას

ეტრფოდნენ ერეკლე მეორის შვილიშვილი ირაკლი ბაგრატიონი, სამეგრელოს მთავრის ძე ნიკო დადიანი „მინგრელსკი“, თავადი ვიტგენტშეინი და სხვები... ბერტამ საქმროდ ვიტგენტშეინი აირჩია, მაგრამ ამ ვაჟკაცს ბედმა უმტყუნა, უეცრად გარდაიცვალა, ამას დაემატა ბერტას მამის უცაბედი გაღარიბება. ოჯახი ულუკმაპუროდ დარჩა, ბერტა გუვერნანტად დაუდგა ბარონ ფონ-ზუტნერის ოჯახს. ბატონის ოცდახუთი წლის ჭაბუკი არტური ძალიან დაუახლოვდა ბერტას და შემდეგ კიდევაც იქორწინეს. არც ერთის მშობელმა ეს შეუღლება კანონიერად არ ჩათვალა და უჯერო შვილებს სახლის კარი დაუკეტეს. ახალგაზრდები ქუჩაში დარჩნენ, ისევ ეკატერინემ გაუწოდა დახმარების ხელი.

სხვანაირად წარიმართა ნიკო დადიანის ბედი. მან შეირთო მარიამ ალდელბერგის ასული და მცირე ხნით სამეგრელოში მოინდომა ჩამოსვლა. ეკატერინეს შეებრალა უსახლკაროდ და ულუკმაპუროდ დარჩენილი ბერტა და არტური და შვილს დაავალა, ზუგდიდში წაიყვანე ესენი, ჩვენს მამულში მოაწყეო. ბარონი არტური დადიანმა თავისი მამულების მმართველად დანიშნა. ბერტასთვისაც გამოინახა სამუშაო - ფრანგულ და გერმანულ ენებს ასწავლიდა წარჩინებულ მეგრელთა ბავშვებს.

ილია გორდს რომ ეწვია, იმ დროს არტური და ბერტა ცაისში იყვნენ და „ვეფხისტყაოსნის“ იონა მეუნარგიასე-

ულ ფრანგულ თარგმანს რედაქტირებას უკეთებდნენ.

ილია ბანძიდან ნოქალაქევისაკენ გაემართა, თვალი მოსტაცა მიკოტახირმა, ავიდა გოჯის ციხეზე, იქიდან გადახედა სამეგრელოს, მერმე ძველ სენაკს ეწვია და ზუგდიდისკენ აიღო გეზი.

ზუგდიდში დიდხანს დააყოვნა, გულდასმით დაათვალიერა მთელი ქალაქი, ბევრ შემხვედრს გამოელაპარაკა. ჩანაწერებით უბის წიგნაკი გაავსო.

შემდეგ თავის ძველ მეგობარს იონა მეუნარგიას ეწვია ცაისში.

ილიამ მასპინძელი რომ მიიკითხ-მოიკითხა, მერე ზუტნერებთან შევიდა, მაგიდაზე საბეჭდი მანქანა იდგა, ბერტა მაშინვე წამოდგა, არტური არ ჩანდა, ილია მიესალმა ქალბატონს, მის მელნით დასვრილ თითებს შეხედა და გაიღიმა:

- გეტყობათ, ბევრს მუშაობთ!
- რა ვქნათ, გვაჩქარებენ.
- მერე როგორ მიდის საქმე?
- კარგად.
- აბა, თქვენ იცით! - ილიამ გადაშლილ-გადმოშლილი ფურცლები აიღო, თვალი გადაავლო და თქვა - ეს ისევ გადასაბეჭდია.
- რასაკვირველია.
- მოასწრებთ კი, ქალბატონო?
- მოვასწრებთ, ბატონ ზიჩის არ დავაბრკოლებთ -

ქართულად მიუგო ბერტამ, თან ჩაეცინა.

ამ დროს იონა შემოვიდა, გადახაზულ-გადმოხაზულ ქაღალდებს თვალი მოარიდა და გაწითლდა.

ილიას მოეწონა ბერტას ქართული.

- ბარაქალა, ქალო, რა კარგად გისწავლია ჩვენი ენა.
- თქვენ მოსაწონად შეიძლება არ ვიცოდეთ, მაგრამ ვჯახირობთ მაინც.
- ბატონო ილია, მეგრულიც შეისწავლეს, - დაუმატა იონამ, ცოლი და ქმარი ერთმანეთს მეგრულად რომ ელაპარაკებიან, იმის მოსმენას არაფერი სჯობია. ნიჭიერები და მონდომებულები არიან, გენაცვა, რატომაც არ ისწავლიან.

ბევრი სტუმარი ჰყავდა იონას მოწვეული. დილა იყო, საუზმის უხვ სუფრას ოცდაათამდე კაცი შემოუსხდა, ახლო-მახლო სოფლებიდან მოწვეულებს ლამაზად ეცვათ, ჩოხაშემორტყმულ წელს ხმალ-ხანჯალი და დამბაჩები უმშვენებდათ, მომღერალი ვაჟები და მეჩონგურე მანდილოსნები ერთად ისხდნენ, საუზმე მხიარული არ იყო, ილიამ წვეთი ღვინო არ დალია, ჯერ სოფელი დამანახეთ და მერე დამათვრეთო. სხვებმაც სტუმარს მიბაძეს.

ილიამ მეუნარგიას ლამაზ ეზოში გაიარ-გამოიარა, გამონასკულ ტყემლისათვის ყურადღება არ მიუქცევია, არც აყვავებული ატმისა და ბროწეულის ბუჩქისთვის შეუხედავს, დაფნის ხესთან შეჩერდა, ფოთლები მოწყ-

ვიტა, დაყნოსა და მოეწონა.

- ჩემო იონა, დათვნის ნერგები გამომიგზავნე თბილისში, იქნებ საგურამოში გაიხაროს.
- აბა, იონა, უშველე, გაუგზავნე, - დაუმატა დავით ერისთავმა, - ხომ იცი ილიას ამბავი, სადაც არ უნდა მივიდეს, ყველგან მეურნეობა უნდა წამოიწყოს.

თქვენ არ იცით, მიუგო ილიამ, თუ რა ძვირფასი და სასარგებლოა კეთილშობილი დათვნა.

ილია ჭიშკარში გავიდა - მოდი, ახლა ტაძარსაც ვნახავო. ბევრი სტუმარი გაჰყვა მას, ტაძარი ღია იყო. ილიამ დაათვალიერა ხატები და ძველი ნივთები, იქვე ტაძრის შიგნით, ეკატერინე ჭავჭავაძის შვილების საფლავებთან შეჩერდა, წარწერები წაიკითხა და ფიქრმა წაიღო.

იონა მეუნარგიას პაპა - პეპუ მხატვარ-მოქანდაკე იყო. ცაიშის ისტორიულ ტაძარში პეპუს მიერ გაჭედილმა ხატებმა ილია დიდად დააინტერესა, წაიკითხა წარწერებიც და ძალიან მოეწონა, მაგრამ ასე ძვირფასად მორთული ტაძარი რომ ყავრით იყო დახურული, ეს არ მოეწონა.

- არ სჯობდა, კრამიტით რომ გადაგეხურათ?
- გადავხურავ, ბატონო! - მორიდებით მიუგო იონას მამამ, მიხეილმა.

ილიას წასვლის შემდეგ, მან ყავარი ჩამოაყრევინა და ცისფერი თუნუქით გადახურა ეს ისტორიული ტაძარი.

იონა მეუნარგიას კარის მეზობელმა, ზურაბ ქირიამ თავის მოგონებაში მშვენივრად აღწერა ცაისში ილიას სტუმრობა. ზურაბი მაშინ სუფრას ემსახურებოდა და ბევრი რამ დაამახსოვრდა.

„ტაძრიდან სტუმრები რომ დაბრუნდნენ, - წერს ქირია, - სუფრა გაწყობილი იყო და სადილობაც დაიწყო. თამადობა პეხუ ჟორდანიას დაეკისრა, რომელიც გვარიანი მოქართულე, მომღერალი და მოქეიფე ხომ იყო და იყო. ლხინი დიდხანს გაგრძელდა, თითქმის შემოათენდათ.

ილიამაც რამდენიმე ყანწი ოჯალეში მიირთვა, ძლიერ გამხიარულდა. ყველაზე მეტს ერისთავი, ზორბა, ლამაზი კაცი ოხუნჯობდა. მისი ლაპარაკი ყოველთვის დიდ სიცილს იწვევდა, უმთავრესად რუსულად ლაპარაკობდა; მე რუსული კი არა, ქართული ძლივს მეყურებოდა. ამავე დროს სუფრასთანაც არ ვიჯექი, როგორც მოსამსახურეს, ხშირი შესვლა-გამოსვლა მიწევდა და მაშინ თუ მოვკრავდი რასმე ყურსა და თვალს. სიმღერა გაჩაღდა, რომელშიც ილიაც ჩაერია. ფერხული მოითხოვა. თვითონაც ცეკვავდა და ყველანი ჩაგვაბა. წრე ისე გაიზარდა, რომ დარბაზში არ ეტეოდა. თამადამ მოითხოვა, ვინაიდან ფერხულს დიდი დარბაზი უნდა, უმჯობესია ხვალისთვის გადავდოთ და რაკი ეზო ფართოა, აი აქ გავმართოთ ფერხულიო და თუმცა თვითონ ვერ იცეკვა, ფეხი მაინც ააყოლა, რამაც ეჩვეუ-

ლო მხიარულება, სიცილი და ქუდების ჭერში სროლა გამოიწვია.

ილია განსაკუთრებით გულისყურით უსმენდა ჩონგურსა და სიმღერებს. არ მახსოვს, თუ რომელი სიმღერა იყო, რამდენიმეჯერ გაამეორებინა მეჩონგურე ქალს და თვითონაც კი ააყოლა ხმა.

შეზარხოშებულმა ილიამ კახური სიმღერაც წამოიწყო. ამ სიმღერიდან მხოლოდ ერთი სიტყვა დამამახსოვრდა დღემდე, ეს არის „ფარინა-ფარინა“, რითაც სიმღერის ყველა ბოლო მთავრდებოდა. ილიას ხმა ააყოლეს ერისთავმა, მაჩაბელმა, ფაღავამ, ბატონიშვილმა, იონამ და სხვებმაც. შესანიშნავი სიმღერა იყო. ეს სიმღერა შემდეგ ოდნავ გადასხვაფერდა ჩვენში, „ფაფარინა-ფაფარინას“ ვამბობდით. იგი მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში არ დავიწყებია ჩვენს კუთხეს ილიას სტუმრობის მოსაგონრად, მას ყოველ შეკრებილობაზე ვმღეროდით...“

დილას ილია დაემშვიდობა მასპინძლებს, იონამ უზანგი დაუჭირა და ცხენზე შესვა. ილიამ მათრახი მოიქნია და ცხენი კარგა მანძილზე გააჯირითა. მას მაჩაბელი დაედევნა, მდინარე ჯუმამდე ჭენებ-ჭენებით მივიდნენ.

ილია და მისი მხლებლები ახალ სენაკში თეიმურაზ კაკაბაძის სასტუმროში დაბინავდნენ.

თეიმურაზ კაკაბაძე ცას ეწია, ძვირფას სტუმრებს კარგი ვახშამი გაუმართა, დილითაც, სანამ მატარებელი ჩამოდგებოდა, მშვენიერი საუზმე მიართვა და კაპიკი ფული არ აიღო.

- ილია ჭავჭავაძე მესტუმრა და ქირა გადავახდევინო, მაშინ ან რა მეგრელი ვყოფილვარ, ან სად გავახილო თვალი!“

იონას ახლო ნათესავი, ლადი მეუნარგია მოგონებაში აღნიშნავს, რომ კაკაბაძეს უთქვამს, „ილია ჭავჭავაძე უბრალო ვინმე არ გეგონოთ, მეფის ტოლი კაცია, მისი სტუმრობა დიდად სასახელოა“... მთელ თავის სიცოცხლეში ის ჰქონდა სატრაბახოდ თურმე, იონამ ილია ჭავჭავაძე მე მომიყვანა, იცოდა, მე ვიყავი იმის სტუმრობის ღირსიო“.

გიორგი ხარატიშვილის საინტერესო წიგნში „ილია ჭავჭავაძე და ყვარელი“ ასეთი ამბავი ამოვიკითხე: როცა 1885 წელს ილია სამეგრელოში ეწვია თავის მეგობარს მექი ფაღავას, თან წაიყვანა კახელი გლეხები, იმ მიზნით, რომ დასავლეთელი ძმათა ცხოვრებას კახელებიც გასცნობოდნენ“.

კახელმა გლეხებმა ბევრი რამ საინტერესო ნახეს სამეგრელოში, ილიამ ლხინის დროს თვითონ თქვა:

- ძალიან მომეწონა იმ მხარის მოსახლეობა, ეზოების განლაგება, სისუფთავე, მცხოვრებთა ზრდილობა, მეტადრე სიმღერები.

კახურ სუფრულ სიმღერებს შეჩვეულ ილიას კოლხურმა მელოდიებმა გული მოუნახა. ქალების წკრიალა, ოდნავ სევდიან, მაგრამ მაინც მხიარულ სიმღერებსა და ჩონგურების დუდუნს რომ ისმენდა აი, ნამდვილ საქართველოში ვარო და მერმე სადღეგრძელოში თქვა:

- „სამეგრელოში მოვედი და საქართველო ვნახეო!“

ეს სიტყვები მეგრელებმა გულში ტკბილად ჩაიკრეს, თაობიდან თაობას გადასცეს, დღესაც სიხარულით იმეორებენ.

სამეგრელოდან ჩამოტანილმა „ქართულ ხელნაწერთა უნიკალური ძეგლების საგანძურმა, - წერს სოლომონ ცაიშვილი, - მყარი საფუძველი ჩაუყარა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმსა და ბიბლიოთეკას.“

ამ განძის დაბინავების შემდეგ ვასილ მაჩაბელმა ნიკო დადიანს დაწვრილებით მისწერა, როგორ მოიარეს სამეგრელო, ძვირფასი წიგნები და ხელნაწერები, როგორ ჩაიტანეს თბილისში. როგორ მოილხინა ილიამ, როგორ მოეწონა ეს მხარე და მისი ხალხი.

ნიკო დადიანი მეგობრის ამ წერილმა გაახარა, მაგრამ ამ ხანებში მაინც შუბლი ჰქონდა შეკრული, წუხდა სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენა რომ იდევნებოდა. ამ საკითხზე მაშინ მთავრობის ოფიცია-

ლურ გაზეთებში ბევრი სტატია იბეჭდებოდა, რეაქციონერი კალმოსნები გაჰკიოდნენ, მეგრელები ქართველები არ არიან და ქართულად რად უნდა ისწავლონო, სკოლებში თავიანთი ენის დამკვიდრება უფრო მეტ ნაყოფს გამოიღებსო.

ეს უსამართლობა და ძმათა გათიშვის ბოროტი ცდა, იმპერატორის ამალის პირველმა გენერალმა, ნიკო დადიან „მენგრელსკიმაც“ ვერ მოითმინა და ბოღმით სავსე წერილები გამოაგზავნა სამშობლოში.

„მე წავიკითხე ის სტატიები, - წერს ნიკო დადიანი, - რომელნიც ამტკიცენებ, რომ მეგრულ ენას და ქართულ ენას შორის მსგავსება არ არისო. მე ამას ვიტყვი: ის გარეშე ქვეყნის ფილოლოგები, რომელნიც ამას ამტკიცებენ, სრულიად დაბნეულები არიან. ჯერ ჩვენი ენა ისწავლონ და მერე სწერონ... ჩვენდა საბედნიეროდ, ჩვენ ხალხს აქვს თავისი საკუთარი აზრი და რწმუნება, რომელიც დაგვიტოვა ჩვენმა საკუთარმა ისტორიამ და ახლა ვერა კაცი ვერ დაგვაჯერებს იმას, რომ ნამდვილად არ არის ჩვენთვის და რაც ავნებს ჩვენს წინსვლას, ხალხს მაშინ გაიცნობს კაცი, როდესაც იმ ხალხში ცხოვრობს, ან იმ ხალხის ენაზე ლაპარაკობს, ამას გარდა, ხალხის ისტორია და სურვილი უნდა შეიტყოს კაცმა და შემდეგ ილაპარაკოს. მე სამეგრელოს, იმერეთს და გურიას ვუყურებ, როგორც საქართველოს პროვინციებს. ჩვენ შორის განსხვავება

არ არის და არც უნდა იყოს. ეს არის ჩემი აზრი და ამ აზრით მოვკვდები. აი, რა გვაკლია. ახლა, რომ ვინმე ჩინელმა ფილოლოგმა დასწეროს ჩვენს ენაზე ან ქართული გვასწავლოს. ეგების ამასაც მოვესწროთ.“

ნიკო დადიანმა ამ მტკივნეულ საკითხზე მრავალი წერილი გამოგზავნა, რომლებიც „ივერიამ“ სიამოვნებით გამოაქვეყნა. ამ წერილებმა ზურგი გაუმაგრეს ილიას, ხალხმაც ხმა აღიმაღლა, რუსთაველის ენამ სამეგრელოს სკოლებში ისევ თავისი კუთვნილი ადგილი დაიკავა.

ვაჟა-ფშაველა

ვაჟა ილიას თავის მასწავლებლად თვლიდა, რასაც ხშირად გულწრფელადაც აღიარებდა. “უნდა გატეხილი მოგახსენოთ, რომ თუმცა არავითარი მსგავსება არ არსებობს, და იქნება ვერცა ვის შეენიშნოს, “მოხუცის ნათქვამსა” და თ. ილია ჭავჭავაძის „დი-

მიტრი თავდადებულის” შორის, მაგრამ ამ პოემის წერის დროს “დიმიტრი თავდადებულს” ჰქონდა ჩემზე გავლენა“.

ილია ყოველმხრივ ხელს უწყობდა თავის უმცროს თანამოკალმეს, უბეჭდავდა პოემებს, ლექსებს, მოთხრობებს, ეხმარებოდა ნივთიერადაც.

ვაჟამ „ივერიის“ თანამშრომლებს თავი შეაყვარა. როცა რედაქციაში ადგილი განთავისუფლდა, ილიას უთხრეს, ვაჟაზე უკეთესს ვის მოვიწვევთო. ილიას სახე მოეღუშა, გიგა ყიფშიძემ იფიქრა, უარს იტყვისო და დაუმატა:

- თვითონაც ძალიან გთხოვათ!

- დანიშნეთ, ბატონო ილია, კაცს ლუკმა გაუჩნდება! - კვერი დაუკრა მანსვეტაშვილმა.

- გამოგვადგება? ან კიდევ რომ გამოგვადგეს, ცოდო არ იქნება, მაგისი ნიჭი გაზეთის მუშაობაში ჩავკლათ?!

მაგრამ თანამშრომლებს უნდოდათ და ილიამ უარი ვერ უთხრა.

ვაჟა მიიღეს. პირველ ორ დღეს კარგად იმუშავა. ხან სოფლიდან მიღებული კორესპოდენციები გაასწორა, ხან რუსული გაზეთიდან უცხოეთის ტელეგრამები გადმოთარგმნა. მესამე დღესაც ადრე გამოცხადდა. ცოტა ჩაფიქრებული ჩანდა, მაგრამ მისი გულის დარდის გასაგებად არავის სცხელოდა, სტამბას ასაწყობი მასალა არ ჰქონდა, ჩხუბობდნენ მუშები.

მანსვეტაშვილმა ვაჟას მაგიდაზე რუსული გაზეთი გაშალა, თვალი გადააავლო წერილებს. ერთი მათგანი მოეწონა, უცხოეთში მუშათა ცხოვრებას ეხებოდა. წითელ ფანქრით შემოხაზა და უთხრა:

- აბა ლუკა, ეს წერილი მალე გადათარგმნე!

კარგიო, ვაჟამ თავი დაუქნია, გაზეთი წინ დაიდო და კალამი აიღო. მანსვეტაშვილს ათასი საქმე ჰქონდა, მუშაობაში გაერთო და გვიან მიაკითხა ვაჟას.

- რა ქენი, ლუკა, გადათარგმნე?

ვაჟას მაგიდაზე დაწერილი ქაღალდი ედო. მანსვეტაშვილს ის ეგონა თარგმანი და აიღო, მაგრამ..... ლექსი აღმოჩნდა.

- ეს რა ამბავია?
- თარგმანის მაგიერ ეგ ლექსი დავწერე. თარგმანის მაგივრობას გასწევს!
- არა ლუკა, ეგრე არ ივარგებს! - არ მოეწონა მანსვეტაშვილს.

ვაჟას მთელი ღამე არ ეძინა, ფიქრობდა და ის მოიფიქრა, რომ რედაქციაში მუშაობა მისი საქმე არ იყო და ილიას სახელზე განცხადება დაწერა, განთავისუფლება ითხოვა. ეს მაშინ, როცა მისი დანიშვნის თაობაზე კედელზე გამოკრულ ბრძანებას ჯერ მელანი შემშრალი არ ჰქონდა.

ილიას ჯერ მისი დანიშვნა უჭირდა, ახლა კი განთავისუფლება უფრო გაუჭირდა. განცხადებას ჯერ

არაფერი არ დააწერა და ვაჟა გამოიძახა, მაგრამ უთხრეს, წავიდაო. მაშინ სარედაქციო თათბირზე გაზეთის მასალების განხილვას რომ მორჩნენ, ვაჟას განცხადება ხმამაღლა წაიკითხა და მანსვეტაშვილს შეხედა. - რას იტყვი?

- უნდა გაათავისუფლოთ!

- ეგ ადვილია, - დაუდასტურა ილიამ, - მაგრამ ულუკმაპუროდ ხომ არ დავტოვებთ?... თვეში ხუთ თუმან დავუნიშნავ, წავიდეს ჩარგალში, იმუშაოს და ყოველთვიურად რაიმე ნაწარმოები მოგვაწოდოს.

- ბატონო ილია, ეს ძალიან კარგი აზრია! - გაუხარდა მანსვეტაშვილს.

- არ ეყოფა, მაგრამ დანარჩენი თვითონ იშოვოს, რა ვქნა, მეტის მიცემის საშუალება არა მაქვს.

ილია კაბინეტში შევიდა.

ამით დამთავრდა იმ დღის სარედაქციო თათბირი.

ჩარგალში ვაჟა მარტო შემოქმედებით შრომას არ ეწეოდა... იმ ხელით, რომლითაც ღამე წერდა, დღისით ამუშავებდა მიწას, მოჰყავდა ჭირნახული მრავალ-რიცხოვანი ოჯახის გამოსაკვებად.

ვაჟა შემდეგში უფრო დაუახლოვდა ილიას. რასაც დასწერდა, მაშინვე მასთან მიჰქონდა. ილიას მოსწონდა ვაჟას ძარღვიანი, მთის სიდიადით სავსე და ეროვნული შუქით განათებული პოეზია.

იმ ზაფხულს ვაჟამ გუდანაბადი აიკიდა და ილიაობაზე ეწვია თავის ქომაგსა და დამხმარეს. საგურამოში სტუმრები უკვე მისულიყვნენ. ვაჟამ ცხენი მეჯინიბეს გადასცა, თვითონ შემოგებებულ მასპინძელს გადაეხვია.

- მომილოცავს ეს ბედნიერი დღე, ჩვენო იმედო, ჩვენო მამავ!
- გმადლობთ, ჩემო ვაჟა, გმადლობთ!

ილიამ სუფრის თავში, რაფიელ ერისთავის გვერდით დასვა დაგვიანებული სტუმარი და მცირე ხნით თვითონაც იქ მოთავსდა.

რაფიელმა ილია ადღეგრძელა და ალავერდი ვაჟასთან გადავიდა.

ვაჟა წამოიმართა, მირთმეული ყანწი არ გაავსებინა, ჯერ მაცალეთო, და უბიდან რვეული ამოიღო.

- ბატონებო, ჩემთვის ღმერთს ორატორობის მადლი არ მოუცია, ანდა რად გინდათ მშრალი სიტყვა? არ სჯობია, პოემა წაგიკითხოთ, რომელიც ნიშნად სიყვარულისა ჩვენს ილიას მივუძღვენი.

ეს პოემა „ძაღლიკა ხიმიკაური“ იყო, რომელიც ვაჟამ იმ ლხინში წაიკითხა.

მოწონების და შეძახილები და ტაში გაისმა.

- დაგელოცოს კალამი! - შეაქო რაფიელმა და თბილად გადაეხვია თავის უმცროს მეგობარს.

ყანწის შემდეგ ვაჟას მადა გაეხსნა. ბევრი სვა და იმხიარულა. უკვე ღამე იყო, სუფრა რომ აიშალა. ვაჟამ წასვლა დააპირა, მასპინძლის ხვეწნა-მუდარა არ გავიდა.

- რა ვქნა, ამ ყიამეთ ღამეში როგორ გაგიშვა? - წუხდა ილია. მერე ვერაფერს რომ ვერ გახდა, მეჯინიბეს რაღაც გადაუჩურჩულა. წასასვლელად აზვავებული ვაჟა ცოტა ხნით შეაჩერა, მუსაიფი გაუბა, სთხოვა, მთვარის ამოსვლამდე მაინც დაიცადეო.

- მთვარეს ვუყურო, თათარი კი არ ვარ! - გაეცინა ვაჟას და საჯინიბოსკენ წავიდა. ცოტა ხნის შემდეგ ცივად გამობუნდა და მანპინძელს უსაყვედურა: - ცხენი რომ დაგითვრია, ესეც ხომ ანგარიშში ჩასაგდებია? ჩემი დათრობა კი ვერ შესძელი!

- არ გეწყინოს, ვაჟავ! - უთხრა ილიამ,- თუ შენ კიდევ ღვინო გინდა, წამობრძანდი, - და ხელი გადახვია.

- არა, ბატონო ილია, ვაჟას ღვინო არ უნდა, ვაჟას სიყვარული უნდა, სიხარული უნდა!

- შენ, ჩემო ვაჟა, ჩვენ ერისაგან არც სიყვარული გაკლია და არც სიხარული.

ეს რომ რაფიელმა გაიგონა, მაშინვე შენიშნა:

- მაგრამ ერთი რამ აკლია მაინც.

- ჩემო რაფიელ, შენ რომ ფიქრობ, ის ყველას გვაკლია! - მიუგო ილიამ, მაგრამ ვაჟა გაჭირვეულდა.

- ფული? ფულზე ლაპარაკი არ გამაგონოთ, ჩარჩები ხომ არ ვართ. ჩვენ, ვილაპარაკოთ პოეზიაზე, ბალახზე, ვარდზე, ხეზე, ფული? ღმერთმა შეაჩვენოს მისი მამგონი, მეჯავრება და მიტომაც არა მაქვს.

იმ ღამეს ოლღამ რაფიელსა და ვაჟას ილიას კაბინეტში გაუშალა ლოგინი. რაფიელი ადრე ჩაწვა. ვაჟამ ყური არავის უგდო, ნაშუაღამევს ნასვამმა და ნასიამოვნებმა თავისი გაქუცული ნაბადი, უნაგირზე რომ ჰქონდა მიკრული, კაკლის ქვეშ გააშლევინა და ზედ წამოწვა.

შეწუხდა ოლღა.

- ბატონო ვაჟა, აქ როგორ შეიძლება ძილი. ამობრძნდით მაღლა, იქ რაფაელი და ილია გელოდებათ.

- თუ ჩემი მოსვენება გსურთ, გამიშვით, აქ ვიყო, მესამე სართულზე არ დამეძინება. აქ ბალახებსა და ვარდებში ძილს რა სჯობია.

გაწბილებული ოლღა წავიდა.

ვაჟას მალე ჩაეძინა, მაგრამ დილას ადგომა მაინც ილიამ დაასწრო. თავისი თათრული ქუდით წამოადგა თავს, არ გააღვიძა სტუმარი, იქვე, ლოდზე ჩამოჯდა.

ბიჭს არაყი და საუზმე მოატანინა. ამასობაში რაფიელიც მოვიდა, ჯერ კიდევ ძილისთვის თავი ვერ წაერთმია, მზეს ვერ უყურებდა, თვალებს ბლიტავდა,

- ესეა, ჩემო რაფიელ, არ გვეძინება ბებრებს! - შეაგება ილიამ.

- ეგ იქით იყოს და, „ძაღლიკა ხიმიკაური“ სიზმარშიც ჩამყვა, კიდევ უნდა წავაკითხო. კარგი გამოსვლია. უი, მთლად არ დამავიწყდა, უნდა მეთქვა, კარგი იმიტომ გამოსვლია, რომ კარგ კაცს მიუძღვნა! - ბოლოს მაინც გაიოხუნჯა ენამოსწრებულმა რაფიელმა და იკითხა: - გავაღვიძო?

- არა, დაისვენოს! -მიუგო ილიამ.

- ბატონებო, მე მღვიძავს!- ვაჟა წამოდგა.

- მაშ თვალი რატომ არ გქონდა ღია? - ჩაეკითხა რაფიელი.

- შემრცხვა თქვენი, ორი ბუმბერაზი დამადექით თავზე.

ვაჟა მარდად წამოხტა, იქვე წყაროს მიაშურა, გლეხურად დაიბანა ხელ-პირი და მერმე სუფრას გადახედა.

- ისევ სმა-ჭამა? არა, ბატონო, ეხლა წავალ!

- ყმაწვილო, ვერსად ვერ წახვალ, ეგ პოემა დაგვიტოვე აქ და მერე სადაც გინდა, იქ წაბრძანდით! - უთხრა რაფიელმა.

- ვერ დაგიტოვებთ. ჯერ კიდევ შალაშინი უნდა.

- მაშინ, წაგვიკითხე, გთხოვთ!

ვაჟა წამოდგა, უბეში ჩამთბარი რვეული გადაშალა და კითხვა დაიწყო. რაფიელი და ილია სულგანაბულნი უსმენდნენ. აივანზე გადმომდგარი სტუმრებიც ჩამოვიდნენ და იქვე ჩამოსხდნენ.

ვაჟამ კითხვა გვიან დაამთავრა. ახლა უფრო მოეწონათ პოემა, შეაქეს, მაგრამ მაქებარებს თავი მოარიდა. გაწითლდა, სტუმრებს თავი დაუკრა, გამოემშვიდობა. ილიამ იგი ჭიშკრამდე მიაცილა. შარაგზაზე გასული ცხენს შემოახტა და ფშავურად დასჭყივლა.

ილია კიდევ შეხვდა ვაჟას შინაურ წრეში. ეს იყო ყვარელში. ილია თავის ახლობელ ნათესავთან, ანდრო მაყაშვილთან სტუმრობდა. ოლღაც თან ჰყავდა. გულუხვი მასპინძელი არაფერს იშურებდა, მთელ ნათესაობას მოუყარა თავი, ლხინი ლხინს გადაება. ილია ორი დღით იყო ჩამოსული და ერთი კვირა დარჩა. შაბათს ილიამ მასპინძელს სთხოვა, არავითარი სუფრა და ღვინო, დასვენება მინდა და დამასვენეო.

- როგორც თქვენ გესიამოვნებათ! - დაეთანხმა მაყაშვილი.

მაგრამ შუადღისას ჭიშკარს იალაღებიდან მომავალი ვაჟა-ფშაველა მოადგა, თოხარიკი ცხენი შეაყენა და დაიძახა:

- ეი, სანდრო, შინა ხარ?

სანდრო შეეგება სტუმარს, კიბესთან ილიაც გამოვიდა.

- ოო, ვაჟა! ვაჟა! სალამ-ქალამი! რასა იქ, როგორ სუფევ ოჯახით, ოთხფეხით?

ილიამ ძალიან გაიხარა ვაჟას ნახვით. თვითონ ვაჟას სახეზე ისეთი იერი გადაეკრა, ზეც ეწერა, არ სჯეროდა, რომ მის წინ ილია იდგა. ილიამ ეს შენიშნა და სიტყვა გადაუკრა.

- განა გასაკვირია ყვარელში დაბადებული კაცის ყვარელში ნახვა?

- რა ვიცი, ყველაფერს ველოდი და...

- მე არ მელოდი? მოულოდნეობა კარგია, ჩემო ვაჟა, თუ ის ადამიანს სიამოვნებას მოჰგვრის.

სახელდახელო სუფრაზე ილიამ არც თვითონ დალია ღვინო და არც ვაჟას დაალევინა, დღეს ცივ წყალზე მინდა გადავიდე და შენც ხათრი დამდეო. როცა წაისაუზმეს, ილია ტახტზე ჩამოჯდა, გვერდით ვაჟა მოისვა, მასპინძელს „ვეფხისტყაოსანი“ მოატანინა და ვაჟას სთხოვა - წაიკითხეო, იცოდა, ვაჟა კარგად კითხულობდა რუსთაველს.

მასპინძლები სკამებზე ჩამოსხდნენ, ოლღა ფანჯარასთან დადგა, ასე მიჩევნიანო.

დამჯდარი ვერ წავიკითხავო, მოიმიზეზა ვაჟამ, წამოდგა და ხელნაწერი წიგნი გადაშალა. იკითხა, ბევრი იკითხა, კარგად კითხულობდა და მსმენლები დაიპყრო.

ილია შორს წაიღო ფიქრმა, წარსულისაკენ მიიხედა,

მოაგონდა თავისი გატანჯული დედა. გვერდზე მოისვამდა და „ვეფხისტყაოსანს“ რომ უკითხავდა. დიდხანს, დიდხანს იყო მოგონებათა ბურუსში. ვაჟა კი გატაცებით კითხულობდა და ვერ ამჩნევდა ილიას თვალებში მწუხარების ტკბილ ცრემლს.

ეს სევდა ახალი არ იყო. წარსულის მოგონება, დარდი და ცრემლი ილიამ მშვენივრად ჩამოაყალიბა რამდენიმე წლის წინათ. ახლა კი ფიქრში მხოლოდ თავის ნაწერს კითხულობდა:

„მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ბევრი კარგი რამ წაგვართვა და თან წაიყოლა.დაგვეხოცა დედ-მამა, მომიკვდა ორი ძმა, გარდამეცვალა ერთი დაცა. დავჩით ამ ქვეყნიერებაზედ მარტო და-ძმანი. ახლა ერთსაცა და მეორესაც თმაში ჭაღარა გვირევია, და როცა ახალი წელიწადი მოდის, მინდა თუ არა, ცრემლიანის თვალით უკან მიმახედებს ხოლმე. ვხედავ ჩემს თავს ჩვენს პატარა სოფელში, ჩემს პატარა ფუნჩულა და-ძმებს შორის. ვხედავ, როგორ დაგვხარიან შვილებს დედა, მამა, როგორ შევხარით ბოვშურის სიხარულითა დედას, მამას, მესმის ტრედივით უგუნური ტიტინი ჩემის პატარა დისა, პატარა ძმისა. მომესმის ჭკუადამჯდარი, სიყვარულიანი ლაპარაკი დედი-ჩემისა, მამი-ჩემისა. დღეს ყოველივე ეს მარტო ტკბილი სიზმარია. დღეს იქ, იმ პატარა სოფელში, საცა ამოდენა სახსოვარი აუგია ჩემს გულს, მარტო ხუთი სამარეღაა და ამ სამარეებში

მარხია ყოველივე ეს, რისთვისაც ეხლა გული მეწვის, გული მედაგება. იქ მარხია დედა, მამა, ორი ძმა და ერთი და, და ამასთან ერთად ჩემი ყმაწვილობაცა - ბედნიერება, რომელიც წავიდა და თავის დღეში არ მომიბრუნდება.

წავიდა ის ბედნიერი დრო და აღარ მოვა. წავიდა და გული ჰკვნესის რაღაც სხვანირი ტკივილითა, რაღაც სხვანაირ მწუხარებისაგან, რომელსაც ზოგჯერ ადამიანი სიხარულზედაც არ გასცვლის ხოლმე. ტკბილია კვნესა ტკივილისა, ტკბილია ცრემლი ამ მწუხარებისა. აქ კვნესა ნიავივით აგრილებს გულის წვასა და ცრემლი ჰნამავს გადამჭკნარ გულსა გამოსაცოცხლებლად. ვიღამაცა სთქვა დატკბობა საამური ტკივილიაო, და სწორედ ამისთანა ტკივილია ეს ტკივილიცა“.

ვაჟა კითხვით დაიღალა და გაჩერდა,

- აგაშენა ღმერთმა! - უთხრა ილიამ. მან ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“ და ახლა თვითონ გამოიდო თავი. მიუხედავად ხანდაზმულობისა, ტარიელის წერილი მაინც დიდი გზნებით თქვა.

ვაჟა დიდხანს არ დარჩენილა, ნასადილევს წავიდა, ფშავლებთან უნდა გავიდე, საშური საქმე მაქვსო.

საღამოს ილიაც წავიდა შინ. სანდრო მაყაშვილს საკინძეები უსახსოვრა, ვერცხლის მოზრდილი საკინძე ოქროთი იყო შეფერილი და ზედ ჭავჭავაძეების საგვარეულო ღერბი ეხატა.

ილია ვაჟა-ფშაველას კითხვით ვერ ძღებოდა. მის პოემას სტამბაში რომ გზავნიდა, მაშინ ხომ კითხულობდა, მაგრამ მერე უკვე „ივერიაში“ გამოქვეყნებულს თავს უყრიდა და ხელახლა კითხულობდა. ილიას ახარებდა მთის პოეტის ქართული, ძარღვიანი ლექსი.

იმ გაზაფხულს ილია საგურამოში ისვენებდა. შინ არ აღმოჩნდა არც ერთი „ივერია“, რომელშიც ვაჟას ნაწარმოები იყო დაბეჭდილი, ამიტომ გიგა ყიფშიძეს მისწერა:

„ბატონო გიგო! თქვენი ჭირიმე, ის „ივერიები“ გამომიგზავნეთ, საცა ვაჟა-ფშაველას აფშინაა, გოგოთური და სხვა პოემები. ერთის სიტყვით, ყველა ის „ივერიები“, საცა პოემებია“.

დუელი

კოლა ერისთავი ისევ ლოგინში იწვა. ტახტზე მიყრილ-მოყრილ ტანისამოსს თებერვლის მზის სხივები ცივად ეფინა. მაგიდაზე ჩამოდებული ქამარ-ხანჯალი ბრჭყვიალებდა, იქვე ყვითელი ტყავის საფულე ეგდო.

კოლამ მაგიდისკენ მიიხედა და ის საფულე თვალში ეკალივით მოხვდა.

„იმ მამაძ... ჯიბე გამომიფხიკა და შინ ეტლითაც არ გამიშვა, ფეხით წადი, კარგი ჰაერიაო. გამამასხარავა. კაცი ამას იკადრებდა? ახია, ჩემზე, რატომ ილიასთან არ მივედი... ღმერთო, აწი თუ იმ რეგვენს გავეკარე, უარესი დამმართე, ფული კი არა, თავიც წამაგებინე“. - ფიქრობდა კოლა და იმ ცარიელ საფულეს ბოღმით სავსე თვალებს არ აშორებდა.

ბიჭი შემოვიდა და მოახსენა:

- ილია ჭავჭავაძე მობრძანდა!
- მერე, კართან რას გააჩერე?

კოლა წამოხტა, შარვალ-ხალათი ჩაიცვა, საფულე უჯრაში შეაგდო და სტუმარს მიეგება.

ილია მაგიდასთან დადგა, კოლას პირდაპირ, ჯერ ხმას არ იღებდა, პაპიროსს მოუკიდა, თამბაქოს ბოლი ულვაშსა და წვერს მოედო, მერე ღია ფანჯრისაკენ გაემართა.

- ილიკო, ეს შენა ხარ? - ჰკითხა გაოცებულმა კოლამ.
- ვეღარ მიცანი?
- ვერა, ძმაო. რა არის შენს თავს?!
- რა იქნება? სეკუნდანტად უნდა დამიდგე.
- არა, არა, არა!
- მშიშარა, - ილიამ საყელოში ჩაავლო ხელი და მოქაჩა, - საღამოს მოხვალ ჩემთან, სოსიკოც დაგხვდება, თქვენ ორს გენდობით.
- ვისთან მაგზავნი?
- ნიკოლაძესთან!
- რა დაგიშავა?
- გუშინდელი „ობზორი“ წაიკითხე?
- სად მეცალა.
- ჩემს პიროვნებასთან რა ხელი აქვს?... პირად შეურაცხყოფას არავის ვაპატიებ... დუელი არ წამოგცდეს, დანარჩენს საღამოს გეტყვი. შვიდზე გელოდები. - და წასასვლელად გაიწია.
- დარჩი, ვისაუზმოთ!
- გმადლობთ, საშური საქმე მაქვს.
- საქმე? კარგ ერთი, ვითამაშოთ, ჯავრი გადაგეყრება. დუელი რად გინდა.
- მინდა, მინდა!

იყვირა ილიამ და ოთახიდან გავარდა.

კოლამ ვერ მოასწრო ხმის ამოღება, გაოგნებული ფანჯარასთან მივიდა, თამბაქოს ბოლში გახვეული

ილია ეტლში იჯდა.

„ასე რამ გააგულისა, მაგრამ ძველი ხევსურია, თავისას არ იშლის“. - გაიფიქრა კოლამ. ბიჭი მოიხმო და უბრძანა:

- გუშინდელი „ობზორი“ მომიტანე.
- საიდან?
- სიმბორსკისთან გაიქე, იმას ექნება.

კოლას ჯავრად ის ყოფნიდა, წუხელის რომ ბევრი წააგო, ახლა დუელი რაღა ჯანდაბაა. მერე ვინ, ილია და ნიკო, ჰო, არა, არა! ორივე საქართველოს ჭკუა და გონებაა. საჩხუბარი რა აქვთ? - ფიქრობდა კოლა და მეორე ოთახიდან ხმაური რომ მოესმა, ბიჭს გასძახა:

- კიდევ აქა ხარ? გასწი, მოიტანე ის დასაწვავი გაზეთი.

კოლა ერისთავი განათლებული კაცი იყო, ევროპაში იმოგზაურა, ბევრი რამ ნახა და შეისწავლა, შესანიშნავი დეკლამატორი გახლდათ. ბიძამისის, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებს ლამაზად კითხულობდა, მერმე ილიას დაუახლოვდა და მის ნაწარმოებებსაც დაეწაფა.

ერთხელ ილიამ ექსპრომტიც კი დაუწერა.

„სხვისი სიტყვა შენგან თქმული
კეთდება და უფრო შვენის!...“

ილიას ძალიან მოსწონდა ეს ლაზათიანი მამულიშვილი, რომელმაც ფული არ დაიშურა და ნიკოლოზ ბარათაშ-

ვილის თხზულებანი გამოსცა, მერმე გრიგოლ ორბელიანთან ერთად, ზემდგომ ორგანოებში განცხადება შეიტანა, განჯიდან ნეშტის გადმოსვენების თაობაზე.

კოლა ერისთავი ილიას ხშირი სტუმარი იყო. ხან ქაღალდს თამაშობდნენ, ხანაც საქართველოს და ევროპის კულტურაზე საუბრობდნენ. როცა ილია მოწყენილი, ან ავად იყო, კოლას მოიხმობდა და მასთან საუბარში გული ეხსნებოდა.

„კოლა! აბა თუ ბიჭი ხარ. - წერდა ილია, - მოხვალ ჩემთან. მეც ეს სამი დღეა ავად ვარ. კარში არ გამოვდივარ, მოდი ერთი ლაზათიანი ბეზიკი გავჭიმოთ. კნეინას მოახსენე, რომ ექიმმა კნიაზ კოლა ერისთავის ნახვა წამლად დამიწერა და თუ ამ წამალს დაიშურებთ ჩემთვის, თქვენ იცით-თქო და თქვენმა სულგრძელობამ“.

მაგრამ, ახლა კოლა დუელმა შეაშფოთა.

საღამოს, დანიშნულ დროზე, კოლამ ილიასთან ეტლი მაინც მიაგრიალა. ხელში დაჭმუჭვნილი გაზეთი ეჭირა, სასტუმრო ოთახში სოსიკო შალიკაშვილი ფანჯარასთან ატუზულიყო, გრძელ ულვაშს იგრეხდა. ილია კი ტახტზე იყო წამოწოლილი, თავთან სკამი ედგა, რომელზეც წიგნები და გაზეთები ეწყო. კოლა რომ შევიდა, ილია მაშინვე წამოხტა, ხელი ჩამოართვა და უთხრა:

- აი, მეორე სეკუნდანტი. წესი და რიგი სოსიკოსავით ვინ იცის?!
- კი, მაგრამ, - კოლამ ხელში გაზეთი შეაფრიალა, - ამისათვის ღირს...

ილიამ სიტყვა შეაწყვეტინა.

- ღირს რომელია, შენ საქმეს მიხედე.

ილიას არავის სიტყვის მოსმენა არ უნდოდა. იმ დღეს სახლიდან არ გამოსულა, არც საჭმელი უჭამია, მოუთმენლად მოელოდა დაღამებას.

- კოლა, - მიმართა სოსიკომ, - მე უკვე ვიყავი ნიკოლაძესთან. ის თანახმაა და სეკუნდანტებად დათიკო გურამიშვილი და ნიკოლოზ სიმბორსკი წამოაყენა. რას იტყვი?
- აბა, რა ვთქვა, ჩემო სოსიკო, მე ვინ რას მეკითხება!
- მე და შენ ცალკე უნდა მოვილაპარაკოთ, ილია არ თმობს, გვაჩქარებს, ამაღამ უნდა მოეწყოს დუელი.
- ამაღამ? - კოლამ ილიას გადახედა - ცეცხლი გეკიდება?

ილიამ შუბლი შეიკრა და მეორე ოთახში გავიდა.

- სოსიკო, როგორც ვატყობ, აქ ცოდვა დატრიალდება, მე თავი დამანებეთ!
- მეც შენც დღეში ვარ, მაგრამ აწ გვიანაა. რაკი შევტოპეთ, ბოლომდე გავიდეთ!
- რა ბოლომდე, კაცო, ნიკოს და ილიას ერთმანეთი დავახოცინოთ?!

- თვითონ ასე ინებეს და... ახლა ნუ ვაყოვნებთ, სიმბორსკისთან მივიდეთ, იქ გურამიშვილიც დაგვხვდება, ოთხი კაცის ჭკუა მაინც სხვა არის!

სოსიკო და კოლია ილიამ დერეფანში გამოაცილა და თან გააფრთხილა:

- შერიგება და პატიება არ გამაგონოთ, გესმით?!
- გვესმის, ბატონო, - თავი დაუქნია კოლამ და ის გაზეთი ჯიბეში ჩაიბღუჯა.

საბურთალოს მინდორზე, ისევ ქარი ზუზუნებს. ადამიანის ჭაჭანება არ არის, ათასში ერთხელ მონადირე თუ გამოივლის, მაგრამ ახლა არც ის ეტანება ამ მოხრიოკებულ მიდამოს. ეს დილა ჩვეულებრივად უნდა გათენებულიყო საბურთალოში, მაგრამ განთიადის შუქის დაშვებამდე, ცხენების თქარა-თქური გაისმა, სუროიან ხეს მშვიდად შეფარებული ყვავი დაფრთხა, ცაში აიჭრა და ყრანტალ-ყრანტალით მინდორს გადაევლო. ეს ყვავი ცუდად ენიშნა კოლა ერისთავს. ხევთან ეტლი გაჩერდა, ყოველთვის დინჯი ილია ახლა ძალზე ჩქარობდა, ეტლიდან მარდად გადმოხტა და წინ გაუძღვა თავის სეკუნდანტებს.

ყვავის ჩხავილი უკვე უფრო შორიდან ისმოდა. კოლამ ვერ მოითმინა და ილიას უთხრა:

- გესმის?
- ყვავია, მგელი ხომ არ გგონია? - ცივად მიუგო ილიამ.

- ყვავი დაუძახე შენ, სამას წელიწადს ცოცხლობს.
- იცოცხლოს, მე რას მიშლის.
- შენ მარტო ნიკოლაძე გიშლის, არა? ჰო, ილია, არ ვარგა ასე.
- წამოდი, წამოდი.
- სად წამოვიდე, კაცო, შენი ფეხით სიკვდილთან მიდიხარ, მეც წამოვიდე?

სოსიკო შალიკაშვილი ოფიცერი იყო, წესრიგის მოყვარული, დინჯად მიდიოდა, კოლა ერისთავის ლაპარაკი არ მოეწონა და მკაცრად უთხრა:

- გაჩუმდი, კაცო, ისედაც გაწყალებული გული სულ ნუ გამიწყალე!

ბილიკი ამოათავეს და ტრიალ მინდორზე გავიდნენ.

მთვარე მინდვრის თავზე დიდ ლამპასავით ეკიდა, მაგრამ შუქის ნატამალიც არ ჰქონდა, თავისთავს ძლივს ანათებდა. სამაგიეროდ მეტეხის მხრიდან ცა გახსნილი იყო. მზის წინამორბედი სხივი წყაროსავით მოდიოდა და ტრიალ მინდორზე ეცემოდა.

სოსიკო მინდორზე გავიდა, მომაღლო ადგილას ხმალი დაასო და შემდეგ გრძელი, მხედრული ნაბიჯებით ბარიერის ადგილი გადაზომა. დანარჩენი სეკუნდანტებიც მას მიჰყვებოდნენ.

ნიკო ნიკოლაძე ხესთან იდგა, თავჩაღუნული, ხანდახან გამოაპარებდა თვალს მოწინააღმდეგისაკენ. ილიამ ეს

შეამჩნია და „მტერს“ ზურგი შეაქცია. ილია თავშიშველი იყო, ქარი ჭაღარას უწეწავდა, ხშირ-ხშირად თითებით გადაივარცხნიდა თმას და პაპიროსს ჟინიანად ეწეოდა.

სეკუნდანტებმა მანძილი გადაზომ-გადმოზომეს, რევოლვერები შეამოწმეს, ყველაფერი წკიპზე შედგა, საცაა ტყვიას უნდა დაექუხა.

მაგრამ ნიკოლოზ სიმბორსკიმ დამბაჩა-მომარჯვებულ ილიას მხარზე ხელი გადახვია, მერე ნიკო ნიკოლაძეს დაუძახა. ნიკო რომ მოვიდა, მკლავზე ხელი სტაცა და უთხრა:

- რას სჩადიხართ, ძმებო! თქვენ ახლა ერთმანეთს კი არა, საქართველოს ჰკლავთ. - სიმბორსკის ცრემლი მოერია, - თქვენ უკვე რამდენი რამ გააკეთეთ თქვენი სამშობლოსათვის, მომავალში კიდევ ბევრს გააკეთებთ, მაგრამ ამ მომავალს რომ ისპობთ... ბატონო, ილია, აბა, გახედეთ თქვენს თბილისს, გახედეთ, როგორ სჭირდებით მას!

გათენდა. დადგა 1880 წლის პირველი მარტი, რომელიც დარს პირდებოდა ქვეყანას. ქალაქში ფანრები ჯერ კიდევ არ ჩაექროთ და დილის იისფერ შუქში უღონოდ ანათებდნენ.

ცნობილმა პოეტმა სიმბორსკიმ იცოდა ილიას და ნიკოს ფასი, ცდილობდა სიტყვა როგორმე გულში ჩამწვდომი გამოსვლოდა, რომ ამით ორივეზე ემოქმედა და სისხლისღვრა ჩაეშალა.

კოლა ერისთავი ილიასთან მივიდა და ჩასჩურჩულა:

- შერიგდით, კაცო, გაათავეთ!
- შერიგდით! - მიმართა გურამიშვილმა.
- შერიგდით! - კვერი დაუკრა შალიკაშვილმა.

სიმბორსკიმ დაუმატა:

- ერთმანეთის დახოცვა რომ განგიზრახავთ, უკან მიიხედეთ, ვის სტოვებთ სამშობლოში?!
- „მე შეურაცხყოფილად მივიჩნიე თავი მარტო იმისათვის, რომ ნიკოლაძეს თუნდ ერთი წამით შეეძლო ეფიქრა, რომ რაც „ივერიაში“ დაიბეჭდა, ის ჩემის თანხმობით იყო“.
- „თუ ეს ასეა, - შეაწყვეტინა ნიკოლაძემ - მაშ, რაც მე ჩემს გაზეთში ვთქვი ჭავჭავაძის შესახებ, უკან მიმაქვს!“

ნიკოლაძე ილიასთან მივიდა და გადაეხვია.

უცებ დამბაჩამ დაიქუხა.

ეს ილიას დამბაჩა იყო. კოლა ერისთავმა დასცალა და მეგობრებს დასჭყივლა:

- ახლა წამოდით, მაღარიჩი ჩემზე იყოს!

პურ-მარილის ხასიათზე არავინ იყო, მაგრამ იცოდნენ კოლა ერისთავის ჭირვეული ხასიათი და მის ნებას დაჰყვნენ.

კოლამ მართლაც ნანატრი სუფრა გაშალა, სტუმარიც ბევრი ჰყავდა, დუელის თაობაზე კრინტიც არავის დაუძრავს, მასპინძელი ძალიან ოხუნჯობდა, არც პოეტი სიმბორსკი აკლებდა, მაგრამ ილია და ნიკო გა-

მოთიშულნი იყვნენ საერთო მხიარულებას. ერთო-ორი სადღეგრძელოს შემდეგ ილია აივანზე გამოვიდა.

მზე ანათებდა, მაგრამ ღრუბლები მომძლავრდნენ და ისევ მალე მიიმალა, მთაწმინდას ნისლი ებურა.

ილია გაჰყურებდა თბილისს, მაგრამ არავის დანახვის და განსჯის თავი აღარ ჰქონდა. თავის თავს კიცხავდა, „ასეთი სიფიცხე გაგონილა?“ ფიქრში ნიკომ შეუშალა ხელი, ისიც სუფრასთან ვერ გაჩერდა, ხელი მოხვია ილიას და თავისივე სიტყვები გაახსენა:

- სულგრძელობითა ძლევა სჯობს, ვაჟკაცობითა ძლევასა.

ეს დუელი იყო ილია ჭავჭავაძის და ნიკო ნიკოლაძის ურთიერთობის მხოლოდ ერთი ეპიზოდი, თორემ ისე ისტორიაში მათი მეგობრული დამოკიდებულება ნათელით და სიყვარულით არის მოსილი. ამ სიყვარულმა დააწერინა, ალბათ, ნიკოლაძეს ეს სტრიქონები:

„განა ამ სტრიქონების დამწერი, - ამბობდა ნიკოლაძე, - ყველაფერში ეთანხმება, მაგალითად, გ. წერეთელს, ი. ჭავჭავაძეს, აკ. წერეთელს, ან ს. მესხს? ან განა ესენი ყველაფერში ეთანხმებიან მას? არა! ზოგიერთ საქმეში, ზოგიერთ კითხვებზე ჩვენ სხვადასხვა აზრისა ვართ. მაგრამ ჩვენ საზოგადო მიზანი ყველას ერთი და იგივე გვაქვს და უნდა გვქონდეს. ამ საზოგადო მიზანს ჩვენ ყველანი, ჩვენი ძალისა და ცოდნის მიხედვით, ერთგუ-

ლად ვმსახურობთ და თუ წვრილმან აზრებში, წვრილმან საგნებზე, ან შემთხვევებზე - ვშორდებით, ეს ერთმანეთის პატივისცემის შეწყვეტის ნებას არ გვაძლევს.“

ილიას ცხოვრების მატიანემ შემოგვინახა კიდევ ბევრი მშვიდობიანად დამთავრებული დუელის ამბავი. მათ შორის საინტერესოა უკანასკნელი დუელის გახსენება, თუნდაც იმიტომ, რომ ის ლაპარაკობს მოხუცებულობაში ილიას ახალგაზრდულ შემართებასა და სიფიცხეზე. ხასიათის სიმტკიცით ილია ხშირად იგებდა და თავისი გაჰქონდა.

1905 წლის 18 ივნისს ბანკის საერთო კრებაზე მან მკაცრად გააკრიტიკა თავადი მიხეილ ვეზირიშვილის თავმჯდომარეობით არსებული კომისიის მუშაობა. თავისი სიტყვის დასამტკიცებლად ილიამ მოინდობა ვეზირიშვილის კომისიის ოქმის ერთ-ერთი ადგილის წაკითხვა, მაგრამ ვეზირიშვილმა შეაჩერა.

- ოქმი წასაკითხავად სხვას გადაეცით.
- როგორ, მე არ მენდობი? - ჰკითხა ილიამ.
- დიაღ, თუ გნებავთ, ვერ გენდობით!

ეს სიტყვები ცუდად გაისმა დარბაზში, დამსწრენი აჩოჩქოლდნენ, მაგრამ ხმა არავის ამოუღია. ილიაც ერთი წუთით შეჩერდა. ამ ერთ წუთში აქა-იქ მაინც ჩუმად გაისმა: „რას არ ენდობა, კაცო, ილია რა სულმდაბალი

ნახა, თავის სასარგებლოდ ოქმის გადაკეთებას როგორ იკადრებს. აფსუს, მთლად დაიკარგა ნამუსი.“

ილიამ სათვალე მოიხსნა, მრისხანედ შეხედა თავად ვეზირიშვილს და უთხრა:

- მაგისთვის პასუხს აგებთ!

მეორე დღეს ილიამ სეკუნდანტებად გაუგზავნა მიხეილ გრუზინსკი და დავით ჯორჯაძე.

ვეზირიშვილმა გამოწვევა მიიღო, თავის მხრივ სეკუნდანტებად დანიშნა კობიაშვილი და დიასამიძე.

საქმე ამით არ დამთავრებულა. ორივე მხარის სეკუნდანტები ერთსულოვნად წინააღმდეგი იყვნენ რევოლვერის გასროლისა. მაგრამ ილია უკან არ იხევდა, ნუ დაგავიწყდებათ, იგი მაშინ სამოცდარვა წლისა იყო, თავი ახალგაზრდად ეჭირა, არ ეშინოდა სიკვდილისა და თავგამოდებით მოითხოვდა: - „ვეზირიშვილი გამოვიდეს ბრძოლის ველზე, თუ ეს არ სურს, მაშინ ბანკის იმავე კრებაზე მოიხადოს ბოდიში, სადაც ინციდენტი მოხდაო“.

ვეზირიშვილს სეკუნდანტებმა საშველი არ მისცეს, გატეხეს მისი სიჯიუტე და ბანკის რწმუნებულთა 23 ივნისის კრებაზე მან ბოდიში მოუხადა ილიას. დიასამიძესაც ეს უნდოდა და სეკუნდანტთა თათბირის ოქმს მიაწერა: „ეს მოხდა ორივე მხარის სეკუნდანტთა სასიხარულოდ“.

ილიაობა

ილიაობა ყოველი წლის 20 ივლისს იმართებოდა. დიდი ეროვნული დღესასწაული იყო. ამ დღეს ილია ჭავჭავაძე საგურამოში უხვად მასპინძლობდა საქართველოს ყოველი კუთხიდან ჩამოსულ სტუმრებს. ქართველები აქ მარტო სალხინოდ და სალაღობოდ არ იკრიბებოდნენ.

ხალხმრავალ სუფრაზე საქართველოს ბევრი საჭირბოროტო საკითხი ირჩეოდა. საგურამოს მეტი სხვა შესაკრები ადგილი მაშინ არ იყო. აქ ჩამოდიოდნენ უმთავრესად თერგდალეულები და იდეურად მათთან ახლოს მდგომი პირები. ილიას უახლოესი ნათესავები და ახლო-მახლო სოფლების გლეხკაცობა...

აკაკი წერეთელი, რაფიელ ერისთავი, ვაჟა-ფშაველა, ილია ოქრომჭედლიშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, ივანე მაჩაბელი, იაკობ გოგებაშვილი და სხვ. საგურამოში, ხშირად თუ არა, „ილიაობას“ მაინც მოდიოდნენ და ორ-სამ დღეს რჩებოდნენ ხოლმე.

თუ იმ დროს საქართველოში ვინმე უცხოელი სწავლული ან რუსი ლიტერატორი იყო, ილია უეჭველად მოიწვევდა და მერმე ისეთ ნასიამოვნებს ისტუმრებდა, რომ შემდეგ ისინი რუსეთსა და საფრანგეთში, ინგლისსა თუ გერმანიაში გაზეთებსა და

წიგნებში წერდნენ ქართველთა სტუმართ-მოყვარეობაზე, ლიტერატურასა და ზნე-ჩვეულებებზე.

იმ წლის 20 ივლისის გათენებას საშველი არ დაადგა. ილიას არ ეძინებოდა და ღამე ერთობ გრძელი ეჩვენა. ერთხელ მამლებმაც გადაჰყივლეს ერთმანეთს, მაგრამ სიბნელე მაინც არ იძვროდა. ჩამობურცულ ცას წვიმა ეკიდა.

ილია აივანზე გამოვიდა, მაგიდაზე ვაშლით სავსე კალათი იდგა. მოეწონა საგანგებოდ შერჩეული ყვითელი და სურნელოვანი ვაშლი „გორულა“. ყოჩაღ, ჩემო თოიძევ, გაიფიქრა მან. საკეცი დანა გამართა და ვაშლი გაჭრა. ილიას ხილი ძალიან უყვარდა, მეტადრე ხეს როცა ესხა. მოსაწყვეტად არ ემეტებოდა, თვალს ახარებსო.

კარგი ბაღი ჰქონდა და ხილი რომ არ დაკარგულიყო, კონსერვის პატარა ქარხანა მოაწყო. ხილის აჩირვა, წვენის გამოხდა გიგო თოიძეს ევალებოდა. ილიას მისთვის მოჰქონდა ხელსაწყო-მანქანები და სახელმძღვანელო წიგნები. ისწავლე და სხვასაც ასწავლეო. თოიძეს ეს საქმე ემარჯვებოდა და მალე სახელიც გაითქვა.

ახლა თოიძის მოტანილი ვაშლი ილიამ კალათიდან ამოალაგა, მერმე ოთახში შებრუნდა და ზოლებიანი ქისა გამოიტანა. ქისაში ბაჯაღლო ოქროს თუმნიანები

ეყარა. ილია მუშაობას შეუდგა. ვაშლს მოხერხებულად ჩაჭრიდა ხოლმე და შიგ თუმნიანს დებდა ისე, რომ ფული არ ჩანდა. ამ საქმით რომ იყო გართული, კიბეზე ელისაბედი ამოვიდა.

- ილიკო, რაებს აკეთებ, კაცო!
- სიტკბოსთვის ვშვრები, ისე ძალიან მჟავეა.
- ნეტავი შენ, ჩოთიროს თავი გაქვს.
- მა რა ვქნა, არ დამეძინა და ეგეც ხომ საქმეა.
- მაგას მერეც მოასწრებ, მეც მოგეშველები, ახლა წამომყე და სეპარატორი მიჩვენე. ბევრი ფული ჩაყარე მაგ მანქანაში?
- სამაგიეროდ საქმე გამოვიდა.
- წიწილებსაც უკრუხოდ აჩეკვინებ?
- მაშა! წიწილების მანქანას, ინკუბატორს ეძახიან.
- კაცო, შენ სულ გააგიჟებ ხალხს, აქ საქართველოა, ძმაო, გერმანია კი არ არის.
- მანქანები ქართველებსაც არა სწყენთ. ჩვენში რკინასა და რვალს რომ ამუშავებდნენ, გერმანია მაშინ სად იყო.
- რა ვიცი... წამოდი, მიჩვენე.

ილია და ელისაბედი დაცვარულ ბალახში სიარულით კარგა გაილუმპნენ და მერე ბოსელს მიადგნენ. ნახეს კრიალა სეპარატორი, შემდეგ საქათმეში შავ-შავი წიწილების წივ-წივმა გული შეუღონა ელისაბედს.

- ამათ საცოდავობას ვერ ვუყურებ; - თქვა მან და წავიდა.
- ალბათ უდედობას სტირიან საბრალონი.
- არ ვიცი, კარგად კი იზრდებიან! - მიუგო ილიამ.

ქათმებს რომ ათვალიერებდნენ, ქარმა წამოუქროლა და წვიმა მოიტანა. მაგრამ აღმოსავლეთმა პირი გაიხსნა და დილის მზემ მაღლიდან გადმოხედა საგურამოს. წვიმა მაინც არ თმობდა მოედანს და ქარის ნებაზე მიმოდიოდა. ხან ხეებს უშხაპუნებდა, ხანაც სახლებს, ხან ფირუზისფრად შეწამლულ ვაზს წინწკლავდა.

ილიას გაუხარდა მზის ამოსვლა. თონისკენ მიმავალი ფიქრობდა, ბედი მქონიაო. თონის ცხელი ჰაერი სახეში ტალღასავით მოხვდა. ქეთო ჯავახიშვილს ცეცხლი წაჰკიდებოდა, ოფლით სველი კაბა ტანზე მიჰკროდა, რა სწრაფად მუშაობდა! ვარცლიდან გუნდებს იღებდა, აბრტყელებდა და ისე ეყუდებოდა თონეში, რომ ფეხის ტერფები ძლივს მოუჩანდა. ილიას შეებრალა ეს გამრჯე ქალი.

- დაისვენე, ქეთევან, დაისვენე! - მიმართა მას.
- ე, პურს ვინღა გამოაცხობს, მე რო დავისვენო. ცოტა რომ დაგვიანდეს, ცომი დამჟავდება და წახდება.
- ისევ ცომი წახდეს, შენს ავად გახდომას ისა სჯობია, შენი შვილების პატრონი ვინღა იქნება, შენ რომ

ავად გახდე.

- არავინ, ბატონო!
- მარტო რატომ მუშაობ?
- მოურავმა მიბრძანა, დამხმარე არავინა მყავსო.
- ეხლავე გამოვგზავნი და დაისვენე.

ამასობაში ელისაბედიც მოვიდა.

ილიას უამინდობა აწუხებდა, ახლა მზემ რომ გამოანათა, მაგიდები კაკლის ქვეშ დაადგმევინა, ზოგიც დიდ დარბაზში, დანარჩენი ყველაფერი მომზადებული ჰქონდა. საკლავი გუშინ დაჰკლეს. ცხვრები ხეზე ეკიდა და ატყავებდნენ. იქვე ქათმებს ხოცავდნენ. მათ კრიახს ყური მიჰქონდა.

ჭიშკარი გაიღო და ურემი ჭრიალით შემოვიდა ეზოში. ურმის წინ სამი კაცი მოდიოდა. სამივეს თეთრი ჩოხა ეცვა. თითქმის ერთი სიმაღლისა იყვნენ, ტანადნი და ახოვანნი.

ქუდი შორიდან მოიხადეს, ილიასთან მივიდნენ და მიესალმნენ.

- ფოთიდან ვართ, ბატონო, - დაიწყო ერთმა, - ეპისკოპოზმა გრიგოლმა მცირე ძღვენი გამოგვატანა.
- თვითონ რომ მობრძანებულიყო, გამახარებდა. - მიუგო ილიამ.
- ციებამ არ გამოუშვა, ბატონო, თორემ სხვა ვინ დააკავებდა.

ურემზე საწნახელივით გრძელი ყუთი იდგა წყლით სავსე, შიგ სამი დიდი ზუთხი იწვა, ონსილა არ ჰქონდათ, ბოლოებს ძლივს იქნევდნენ. პატარა ზუთხები კი ბლომად დაცურავდნენ. ილიამ ყუთს ზევიდან დახედა და თავი გაიქნია.

- რა უცნაური ხალხი ხართ, რა პატივისცემა იცით!

გლეხებმა ყუთი ურმიდან ჩამოიღეს, გრიგოლ დადიანის ძღვენმა ყველა აღტაცებაში მოიყვანა. ილიამ ფოთელი სტუმრები შინ შეიწვია და ნიკო ხიზანიშვილი მოიკითხა.

- სად იქნება, სამზარეულოშია - მიუგო ოლღამ.

ილიამ ნიკო მოიხმო. ნიკოს უკვე მოესწრო წახემსება, სასმელიც არ დაეკლო და კარგ გუნებაზე იყო.

რა ხართ დასავლეთელები, ცოცხალი ზუთხი რამ მოგატანინათ, - იკითხა ნიკომ, სტუმრების ვინაობა რომ გაიგო.

- გული გულობდეს და ზუთხი რაა, მატარებელმა ხელათ მოიტანა! - მიუგო სტუმარმა.
- ნამგზავრი ხალხია, აბა შენებურად გაუმასპინძლდი, - უთხრა ოლღამ და სუფრაზე ხელადით ღვინო ჩამოდგა. ნიკომ წამოიწია და დიასახლისს ჩასჩურჩულა.
- მე ზუთხს დაველოდები.

ყვარლიდან ჩამოტანილი რუმბი ისევ აივანზე ესვენა. ილიამ ბრძანა ღვინის გადმოსხმა. თავისი მიწა-წყლის

საფერავი ძალიან უყვარდა... ყოველი კუთხიდან მოელოდა სტუმარს და დახვედრაც ხომ უნდოდა. საქართველოში სტუმრად მყოფი უცხოელებიც მისკენ მოისწრაფოდნენ და ათასნაირი ნუგბარი საჭმელ-სასმელი უნდა მოემზადებინათ.

„დღეობის მზადებას შეუდგებოდნენ ხოლმე რამდენიმე დღის წინად, - წერს იაკობ მანსვეტაშვილი, - მერე რა მზადებას! იკვლებოდა რამდენიმე ძროხა, ცხვარი, ბატი, ინდაური, აუარებელი ქათამი. იჟლიტებოდა უთვალავად ვარია, წიწილა, იდგა მთელი ხროვა სხვადასხვა მწვანილეულობისა, გატენილი ტომრები ბოსტნეულობისა, სავსე გოდრები ხილეულობისა, ცხვებოდა აუარებელი პური, შოთი, ნაზუქი, იხდებოდა ქვევრები; საგურამოსი და ყვარლური ღვინოებით სავსენი. მახსოვს, ერთ დღეობას, სამი საპალნე ღვინო დაიხარჯა, ე.ი. 2250 ბოთლი“.

ნადიმის წინადღით თითო-ოროლად მოდიოდნენ, ხოლო 20 ივლისი რომ გათენდებოდა, სტუმრების დენა სადილობამდე არ წყდებოდა.

ვინ ეტლს მოაგრიალებდა, ვინ ცხენს მოაჯირითებდა, უფრო ახლოს მცხოვრებნი ქვეითად მოდიოდნენ.

როგორც ყოველთვის, ილია დღესაც სახლის წინ, ეზოში იდგა, სტუმრები დღეობას ულოცავდნენ.

ჭიშკარს ეჟვნიანი ეტლი მოადგა.

- აკაკი, რაფიელი! - გაისმა ხალხში.

ილია მიეგება აკაკისა და რაფიელს. შინ შემოუძღვა. აკაკიმ ყვითელ-ყვითელი ვაშლებით სავსე კალათას რომ შეხედა, ილიას უთხრა:

- მე და რაფიელს თითო ვაშლი ხომ არ გვაწყენს?
- მიირთვით.

აკაკიმ კალათისაკენ წაიღო ხელი, მაგრამ ილიამ დაასწრო და მაგიდიდან აღებული ვაშლი მიაწოდა.

- აი ეს ინებეთ.
- ეს მირჩევნია, თორემ შენ რომ მაწვდი, ისეთ ვაშლს ხიდანაც მოვკრეფ! - აკაკიმ ორი ვაშლი ამოიღო. ერთი რაფიელს მისცა.
- შეიძლება? - მორიდებით იკითხა კიბეზე ამოსულმა მაღალ-მაღალმა გლეხმა, რომელსაც ხელში ლაყუჩით არაგვის ორაგული ეჭირა.
- მობრძანდი, ლაზარე. - ილიამ აკოცა, ორაგული ჩამოართვა და ვაშლი ჩაუდვა ჯიბეში.
- რას შვები კაცო, შესძახა აკაკიმ, ბავშვი ხომ არ არის, ვაშლს თავაზობ, ყანწი მაგას.
- ყანწის ჯერიც დადგება, - მიუგო ილიამ.

ლაზარეს მხარზე ხელი მოუთათუნა. ლაზარე რომ წავიდა, რაფიელმა იკითხა:

- ხიზანიშვილი აქ არის?
- დიახ, გუშინ მოვიდა, - უპასუხა ილიამ.
- მაშინ ეს ორაგული დამალე, თორემ ჩვენ ძვალიც

არ შეგვხვდება.

ილიამ აივნიდან გადაიხედა, გლეხები უკვე მოსულიყვნენ და მასპინძლის მოლოდინში ეზოში იდგნენ. ილიამ ბიჭს უბრძანა, კალათი წამოეღო, თითონ წინ გაემართა, გლეხებთან მივიდა, ყველას სათითაოდ მიესალმა და ვაშლები ჩამოურიგა... ილია ისევ მიუბრუნდა ძვირფას სტუმრებს. აკაკიმ მოუთმენლად კითხა:

- ხომ არ დაგაკლდა ვაშლი?
- არა.

მერმე ბიჭმა კალათი ამოიტანა და ისევ მაგიდაზე დადგა. აკაკიმ რომ ჩაიხედა, ხუთიოდე ვაშლს თავისიც დაუმატა და რაფიელს შეხედა. რაფიელს გაეცინა.

- ბიჭს რომ კალათი მიჰქონდა, მაშინ ჩავაგდე, - უთხრა მან.

ისევ გამოჩნდა ეტლების ქარავანი, სტუმრებს სტუმრები მოემატნენ, მოვიდნენ ნიკო ღოღობერიძე, პეტრე ნაკაშიძე, ილია ოქრომჭედლიშვილი, დიმიტრი ბაქრაძე და ბევრი სხვა.

ამასობაში სუფრა გაშალეს ხუთ ადგილას. კაკლის ქვეშ - ქალაქის სტუმრებისათვის, კაკლის გაყოლებაზე, ხეებს ქვეშ, წინამძღვრიანთ სკოლის მოწაფეთათვის და იქვე, მხარმარცხნივ გლეხებისათვის.

ტოლუმბაშად რაფიელ ერისთავი აირჩიეს. ჯერ ჭიქებით დაიწყეს სმა, მერე მოაყოლეს თასები, ჯამები,

ყანწები. პირველი ყანწი ილიამ დალია და იქვე არხეინად დაჯდა.

- კი მაგრამ, ვისთან გადადიხარ ყანწს? - ჰკითხეს ილიას.
- დიმიტრი ბაქრაძესთან.
- ჩემს მეტი კაცი ვერ ნახეთ?!
- შენ რა, ვითომ ვისზე ნაკლები ხარ? - მიუგო ილიამ.

მერიქიფემ დიმიტრის ყანწი შეავსო. ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე სუსტი აგებულებისა იყო. ხელადიანი ყანწის გამოსაცლელად მას სული არ მოსდევდა, მაგრამ მაინც უარი არ უთქვამს. დალევით დალია, მერე გადმოაპირქვავა და ცერზე დაიბერტყა, ასე მტერი დაგეცალოთო. თვითონაც იქვე წაპირქვავდა, კინწი წასწყდა და ჩაიკეცა.

ილია გლეხების სუფრისაკენ გაემართა, გზაზე ცოტა ფეხი აერია, მაგრამ თავი შეიმაგრა და დინჯად მიადგა მეზობლებს.

- სხვა, როგორა ლხინობთ, სუფრას რამე ხომ არ აკლია? - იკითხა მან.
- ყველაფერი ბლომადა გვაქვს.
- დიდი მადლობა მოგვიხსენებია.

გაისმა ყოველი მხრიდან. როგორც მოძღვრიშვილი წერს თავის მოგონებაში, ილიამ თქვა: „თქვე ბრიყვებო, თქვენ რა მადლობლები ხართ, როცა თქვენი ნაშრომით ქეიფობთო... როგორი მასპინძელიც მე ვარ, თქვენც ისე-

თივე მასპინძლები ხართ, რაც მე ცხოვრება მაქვს, ცოტა მე მეკუთვნის და ბევრი კი თქვენიაო“.

შეისვენა, ჯამი აიღო და განაგრძო:

- თქვენი სადღეგრძელო იყოს, შრომის შვილებო, ამ ქვეყანაზე რაც კარგი და ლამაზია, ყველაფერი თქვენი შექმნილია, იცოცხლეთ, იმხიარულეთ!

ჯამი გამოსცალა და შემდეგ წამოიწყო საყვარელი სიმღერა, „მუმლი მუხასა“.

გლეხებიც აჰყვნენ.

მუმლი მუხასა გარს ეხვეოდა...

გუგუნებდა მწყობრად, ბოლოს ილიამ ხმა აუწია, თან მაგიდას მუშტები დაახალა.

მუმლი დაიღრჩო, მუხა გადარჩა.

სიმღერის შემდეგ ილია სოფლის ქალების სუფრას მიადგა. ვინც ფეხზე წამოდგა, სთხოვა დაბრძანდითო, თვითონაც დაჯდა, სავსე ჭიქებს ალმაცერად გადახედა.

- „აბა, კარგა დრო გავატარეთო, ვიქეიფეთო, ღვინო კი ისევ ისე გიდგიათ, მიირთვით, დალოცეთ ცის ნამი და დედამიწა, რომელიც ჩვენ უხვ მოსავალს და საზრდოს გვაძლევს“.

ილიამ ადღეგრძელა ქალები, მერე მოძღვრიშვილი მოიხმო და დაავალა: ქალებს ტკბილი ღვინო მარნიდან მოუტანეო.

ყანწმა თავის გაიტანა, ბევრი მოცელა, ბევრი სიმღე-

რისა და ცეკვის გუნებაზე დააყენა.

„აგერ ასიკო ცაგარელი თავის დამქაშებით, - წერს მანსვეტაშვილი, - უკვე ღვინით გალეშილებით, შესძახის თავის მეზურნეს. ჩაჰბერე დუდუკს, გამაგონე მისი ტკბილი ხმა. დუდუკის ხმა კი მართალია, ტკბილია, მაგრამ ასიკო რომ ზედ დაჰკივის თავის ჩახლეჩილი უხამსური ხმით რაღაცა შიქასტას, ეს კი, უნდა მოგახსენოთ, სიტკბოებას სრულებით არა ჰგავს, ეს უფრო ტურების კივილს მოგაგონებს. თუმც ამის დამქაშებს, ეტყობა, ძლიერ მოსწონთ, რადგან სულ „ჰაჯან-ჰაჯან-ს“ მისძახიან.

ამათვე ჯგუფშია ყველასაგან კარგად ცნობილი გიგო ყარანგოზიშვილი, განთქმული მოქეიფე, დარდიმანდი, ლოთი-ფოთი. სმაში ჭკუას არ კარგავდა, მხოლოდ სმა თავისებური ფოკუსებით იცოდა. მაგალითად, ღვინით სავსე ჭიქას დაიდგამდა ხელისგულზე, მერე ხელს ისე მოიღრეცდა, გადმოატრიალებდა, რომ ხელისგული ზემოდ მოექცეოდა, ჭიქაც ზედვე იდგა და არც ღვინო დაიღვრებოდა. ახლა ეს ღვინო უნდა დაელია. ეს არც ისე ადვილი იყო: გადმობრუნებულ ხელს და მკლავს ისე ადვილად ვერ მიიტანდი პირთან. გიგო ამასაც ახერხებდა: მოიხრიდა კისერს, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, - ვშიშობდით, კისრის ძარღვები არ დაუწყდესო, - იმდენად გადმოიხრიდა წინ, რომ ნიკაპი თითქმის გულის ფიცარს მიებჯინებოდა. ამგვარად ხელის გულზე

მდგარ ჭიქას ტუჩებს მიუახლოვებდა და დაიწყებდა ნელ-ნელა ღვინის წრუპვას. ჭიქას რომ ნახევრამდე მიიყვანდა, კბილებით სწვდებოდა თვით ჭიქას, ღვინოს გამოაცარიელებდა და დაიწყებდა ჭიქის კვნეტას. აქაც დიდ ხელოვნებას იჩენდა: ისე ჰკვნეტდა და ჰყრიდა პირიდგან შუშის ნამტვრევებს, რომ ოდნავაც არ გაიკაწრავდა არც ღრძილებს, არც ტუჩებს. ბევრისათვის ეს საზარელი, არა ესთეტიური სანახავი იყო, უნდოდათ ეთქვათ: გიგო, კმარა, შედექი! მაგრამ გიგო არტისტი იყო, ხელოვნურად ასრულებდა თავის როლს, თავი მოსწონდა და აბა ვინ ეტყვის არტისტს: მორჩი, არ მოგვწონს შენი თამაშიო!“

გიგო ყარანგოზიშვილი თავის ოინბაზობას რომ მორჩა, ილიამ ორივე ხელი ჰაერში ამართა.

- აბა, სმენა იყოს და გაგონება. - სიჩუმე რომ ჩამოვარდა, ილიამ იქვე მდგომ იაგორა შამხოლაშვილს უთხრა:
- თუ მეტლე როსტიაშვილს წააქცევ, ერთი საჟენი შეშა ჩემზე იყოს.
- მადლობელი ვიქნები, - მიუგო შამხოლაშვილმა და ხალათი გაიხადა.

მეზურნეებმა საჭიდაო გაახურეს.

„დავეჭიდე, წავაქციე, - წერს შამხოლაშვილი, - რამდენიმე დღის შემდეგ მივედი და ილიამ ბრძანა ერთი

საჟენი შეშა უფასოდ გამოუწერეთო, მივიღე“.

ჭიდაობის შემდეგ ხალხი რომ მიწყნარდა, ექვთიმე ხელაძე მივიდა ილიასთან და უთხრა:

- ბატონო ილია, შეარიგე ანტონ ფურცელაძე და ნიკო დიასამიძე.
- მე რა ვარ? - ჰკითხა ილიამ.
- საქართველოს მამა ხარ.

ამ ლაპარაკს ყური მოჰკრა იონა მეუნარგიამ, რომ არ დავიწყნოდა, მაშინვე უბის წიგნაკში ჩაიწერა.

გლეხებმა დააგუგუნეს მრავალჟამიერი. მას „ყანწით ვსვამ ღვინოს“ მოაყოლეს. მაგრამ ყველაზე მწყობრად და ჰაეროვნად მღეროდნენ წინამძღვრიანთ კარის სკოლის მოწაფეთა სუფრაზე.

დაღლილი ოლღა, თავის ოთახში, ტახტზე მიწოლილიყო. ელისაბედიც იქვე, მაგიდასთან იჯდა და ლიმონის წვენს მიირთმევდა. მოწაფეთა სიმღერა რომ შემოესმათ, ორივე მანდილოსანი ფანჯარას მიადგა.

- მაგათ კი დავენაცვლე, ნახე როგორა მღერიან? - თქვა ოლღამ.
- კარგი ახალგაზრდობა მოდის, - ელისაბედმა ილიას მოჰკრა თვალი, - ქალო, კაცი დამთვრალა, მიდი, ამოიყვანე.
- მე რას დამიჯერებს!
- თვითონ თამადამ თავს უშველა და ილიკო რას ელოდება?

- აკაკი სად არის?
- აგერ, გლეხის ქალებში დგას, ხედავ?
- ვხედავ, მაგას რა დაღლის, წავალ, ილიას ამოვიყვან.

ოლღა ეზოში ჩავიდა. მაგრამ ილიასთან პირდაპირ მისვლა მოერიდა და მოშორებით გაჩერდა. დამინახავს და თვითონ მოვაო. დიდხანს იდგა. მოლოდინი არ გაუმართლდა. ილია ხან ერთ სტუმარს დაელაპარაკა, ხან მეორეს. მერე ასიკოსთან მივიდა, იმ წუთას მედუდუკეებმა ჩაჰბერეს. ილიამ ასიკოს ხელი გადახვია. ოლღა ისევ შებრუნდა ოთახში.

- რა ჰქენი? - ჰკითხა ელისაბედმა.
- ღვინო არ ეტყობა, ყოჩაღად არის, ვერ შევაწუხე.

ოლღამ იცოდა ილიას ხასიათი, ერიდებოდა მის წყენინებას, უფრთხილდებოდა მის გულს, მის სულს. ყველაფერს საყვარელი მეუღლის სასიამოვნოსა და გასახარელს აკეთებდა. განსაკუთრებით იმ ბარათის შემდეგ ქმარმა გული და ხასიათი რომ უჩვენა, უფრო თავშეკავებული იყო. ის ძველი წერილი საგანგებოდ ჰქონდა შენახული და კითხვა-კითხვით ხელში შემოაცვდა.

„ოცდაოთხი წელიწადია ერთად ვცხოვრობთ, - წერდა ილია, - და ნუთუ ჩემი საძაგელი ხასიათი ვერ იცანი ჯერაც. განა არ იცი, რომ თუ მეწყინა რამე, გულში ჩავიხ-

ვევ ხოლმე და შუბლს აღარ გავიხსნი არავის წინ, ვინემ გულიდამ ჯავრს არ გადვიყრი. ორმოცდაათის წლის კაცი ვარ და ხელახლად ხომ აღარ დავიბადები? განა მე კი არ ვიცი, რომ ამ ჩემის ხასიათით გაწუხებ, მაგრამ შენ იცი, რომ ეგ ხასიათია და უნდა შემინდო ხოლმე, ტყუილად დაგიბუდებია გულში რაღაც ეჭვები, მე შენი ისეთივე გულით პატივისმცემელი ვარ და მოყვარული, როგორც ოდესმე ვყოფილვარ. მეუბნები, ისე აღარ მეალერსები, არაფერს არ მელაპარაკებიო. ნუთუ არა ჰხედავ, რა ვაი ვაგლახში გავაბი ჩემი, ეხლა კი გეტყვი, უბედური თავი! განა არ ჰხედავ, რომ ერთი წუთი დღე და ღამ მოსვენება არა მაქვს და შენს ჩემის გულითადის და საყვარლის მეგობარის სამდურავს როგორღა გავუძლო! განა საკმაო არ არის, რომ აქეთ-იქით მტრობას, ცილისწამებას, ათასნაირს მწუხარებას, ჭირსა და ვაგლახსა ძლივს ავდივარ, ძარღვები სულ მომეშალა, ღონიდან დავიცალე, ჩემის საკუთარის ბედნიერებისათვის აღარ ვცოცხალვარ, - ნუთუ ეს ყოველი საკმაო არ არის, რომ შენი სამდურავებიც ზედ არ დაერთოს? შენ უნდა ამისთანა შემთხვევაში ხელი მომაწოდო შველისა, შენ უნდა გამიტკბილო მწარე ცხოვრება, შენ უნდა გადამაყრევინო ჯავრი და მწუხარება და მის მაგიერ შენ ჩემს ავკაცობას დასტირი ხოლმე და ჩემთვის გულსაკლავ სამდურავს მითვლი. ვიცი ბევრს გაწუხებ ჩემის უჟმურობით, მაგრამ შენც უნდა

ცოტა შებრალება იქონიო... ღმერთს ჩემთვის ალერსის ნიჭი და უნარი არ მოუცია და როცა მეტი გზა არ არის, რომ ალერსიანი სიტყვა უნდა ვუთხრა ვისმეს, მე თვითონ ვწითლდები. გაწითლებას კიდევ გავუძლებდი, სწორედ სულიერად ვიტანჯები ხოლმე. ასე მგონია ხოლმე, რომ გული შეურაცხვყავი, როცა წმინდად გულში შენახული გრძნობა პირით გამოითქმის. იგი გრძნობაა მართალი, რომელიც კატასავით დღე მუდამ არა სჩხავის და მზეთუნახავად დაბინავებულია გულში.

...ერთხელ და ერთხელ მერწმუნე, რომ თუ მოღრუბლულსა მხედავ, ეგ ჩემს უგემურ ხასიათს მიაწერე და არა იმას, რომ შენს ბედნიერებას მე გულგრილად ვექცეოდე. ბევრჯერ მეტი სიტყვა მომივა ხოლმე, ბევრჯერ გუნება ისე მომეშლება, რომ ლაპარაკის თავი არა მაქვს, ბევრჯერ დაფიქრებული და ხმაგაკმენდილი დავეთრევი, - უფრო ხშირად არც მოცლა მაქვს და არც ხალისი ხმის ამოღებისა და გართობისა, და შენ კი ყოველს ამას სამდურავის მიზეზად ჰხდი და შენდობის მაგიერ გულს მიკლავ ხოლმე“.

ტკბილი სიტყვა რას მიქვიანო, გახსოვთ ოთარაანთ ქვრივის ნათქვამი, დაახლოებით ილიაც იმას იმეორებს. საერთოდ ილიას ბევრი რამ აქვს თავისი პირადი თვისებებიდან მიწერილი ოთარაანთ ქვრივისათვის. აკი

ეუბნებოდნენ, ოთარაანთ ქვრივი ეს თვითონ შენა ხარო და იმასაც ჩაეცინებოდა ხოლმე.

მზე გადაიხარა და საღამო მოახლოვდა. ყველაზე ადრე მოწაფეები წამოიშალნენ, შორი გზა ჰქონდათ და შინ დროზე მისვლა არჩიეს.

გლეხებიც თავიანთ გზას გაუდგნენ. კაკლის ქვეშაც მიჩუმდა სუფრა.

ღამემ ყველას დაღლა და ღვინო აგრძნობინა. თვით გიგო ყარანგოზიშვილიც არაქათგამოცლილი ბალახზე წამოგორდა.

ოთახებსა და აივანზე ასამდე ლოგინი გაიშალა. ვისაც მოსვენება უნდოდა, მოისვენა, მაგრამ მათი მძიმე ხვრინვა, ქშენა, ბუტბუტი, ბოდვა ერთიმეორეში იყო არეული და სუფრის ამლაგებლებს უსიამოდ ჩაესმოდათ.

მზის ამოსვლას ვინ დაუცდიდა, ბევრი უთენია წამოხტა. ხელპირი დაიბანა, მაგრამ მაინც მოთენთვასა და ტანში მოშლას უჩიოდა.

ილიამ კი ყველას დაასწრო, ღვინო არ ეტყობოდა, მსახურთა შორის დაფუსფუსებდა და საუზმის თადარიგს იჭერდა. სუფრაც მალე გაიშალა. ზოგი ჩაის დაეწაფა, ზოგმა ღვინო მოითხოვა, ზოგმა ჭრიანტელა მოინდომა.

ილია კი ყველას ურჩევდა, ხელი არაფერს ახლო, ეხლავე, მსუქანი ხაში მოვაო. თვითონ მოიდგა ორჯამიანი, ჩაყარა შიგ ფაშარი პური, ხაშით პირთამდე

შეავსო და ჭამას მადიანად შეუდგა.

აკაკის ადგომა შეუგვიანდა. ვერც რაფიელმა ასწია წელი. ცოტა ხანს ლოგინში ისაუბრეს და მერე ადგნენ. აკაკიმ პირი დაიბანა, წვერი დაივარცხნა, ილიას გვერდით მიუჯდა და ხაში მოითხოვა, მხოლოდ ნიორი არ მიაკაროთო.

რაფიელმა კი ჩაი მოინდომა. ოლღამ ჩაისთან ერთად ლიმონიც მიართვა. იცოდა ლიმონი უყვარდა.

- გმადლობთ, კნეინა, - რაფიელი ხელზე ეამბორა.
- ბატონო ილია, კახელ კაცს ჩაი უფრო არგებს თუ ხაში? - ჰკითხა აკაკიმ.
- არც ერთი არ აწყენს!
- მაშა. - დაუდასტურა რაფიელმა.

... გავიდა ერთი წელი. „ილიაობის“ ნათელ დღეს საგურამოს ისევ ეწვივნენ სტუმრები, მაგრამ ამჯერად გარდა ქართველებისა, უცხოელებიც ბლომად იყვნენ... ფრანგი პროფესორი ჟაკ ბერტილონი, იტალიელი პროფესორი ბოსკო, რუსი მწერალი ვასილ ველიჩკო, გერმანელი ლიტერატორი არტურ ლაისტი და სხვ.

უცხოელმა სტუმრებმა ნახეს ილიაობის ნამდვილი ლხინი და შექცევა. ქართული სუფრის ხვავი და ბარაქა.

არც მეორე დღეს ჩაუვლია უქმად. ილიამ დროსტა-

რება საგურამოდან ზედაზენში გადაიტანა. მოგზაურობა კამეჩის ურმებით მოეწყო.

მარჯვე ბიჭებმა ღვინით სავსე კასრი შეყენებულ ურემზე ააგორეს. გვერდით შოთებით სავსე კალათი მიუგეს, ჭედილასა და დეკეულს თოკით ფეხები გაუკრეს და ზედ აიტანეს. მერე თეთრ ტილოში შეხვეული ტაბაკად შემწვარი ვარიები, ცივად მოხარშული დედლები, თევზეული მიაყოლეს. ურემი კარგად დატვირთეს და გზას გაუყენეს.

ილია, მეორე ურმის კოფოზე დაჯდა, სტუმრებიც იქ ავიდნენ, მესამე ურემიც ხალხით გაივსო, ზოგი ცხენითაც წავიდა, პეტრე უმიკაშვილმა ქვეითად არჩია წასვლა, მას მხარში ამოუდგა დიმიტრი ბაქრაძე. ილია ოქრომჭედლიშვილმა ლომა კამეჩებს სახრე გადაუშხუილა.

მზე ახალი ამოსული იყო. გრილოდა, ყველას სიამოვნებდა მამაპაპური ურემი, მაგრამ გზა იყო ოღრო-ჩოღრო, ნჯღრევას ვეღარ გაუძლეს და ისევ ქვეითად ამჯობინეს სიარული.

ილია არ ჩასულა ურმიდან. კამეჩებს უღელი რომ შეუმსუბუქდათ, ფეხს უჩქარეს. ურმის ჭრიალმა, სიმღერებმა, ცხენების თქარა-თქურმა მიდამო გააღვიძა.

გაიღვიძა თვით ზედაზენმა და მისმა ძველმა მონასტერმაც.

მართალია, სტუმრებმა ძნელი და გრძელი გზა გამო-

იარეს, მაგრამ ტყის სილამაზემ, ანკარა წყაროებმა დაღლილობა გაუნელა და ზედაზენზე ამოსულებმა თავი მხნედ იგრძნეს.

ზედაზნიდან მთელი საქართველო მოჩანდა. თბილისი, ყარაიაზის უდაბნოზე არშიასავით შემოვლებული მტკვარი, მცხეთა, არაგვის ხეობა, როგორც იტყვიან, ხელისგულზე დაჯდა.

როცა დაღამდა, კოცონი აბრიალდა. გაშლილი სუფრის მახლობლად, მწვადები შიშხინებდა.

„მაგრამ ჭამის მადა ვიღას ჰქონდა, - შენიშნავს მანსვეტაშვილი, - გუშინდელი ნაქეიფარნი, შორი და ძნელი გზით დაღლილნი იმას ვფიქრობდით მხოლოდ, რომ როგორმე დაგვესვენა. შევნაყრდით ცოტათი და საძილოთ მოვემზადეთ. ლოგინი რომელიც საკმარისად იყო წამოღებული, გაშალეს მიწაზე, პირდაპირ ცის ქვეშ. ბევრმა უკვე დაიძინა, მაგრამ აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომელთაც ძილს ღვინო არჩიეს. შექეიფთდნენ და ისეთი ყიჟინა ასტეხეს, მრავალჟამიერს ისე გაჰკიოდნენ, რომ არამცთ თუ აქ, ტყეში ნადირი და ფრინველი დამფრთხალიყო მგონი, თბილისშიაც კი უნდა ჩასულიყო ამათი ხმა. მთელი ღამე ამათ გამო ჩვენს თვალს ძილი არ მიჰკარებია. პეტრე უმიკაშვილიც კი, ეს პაწაწინა, უჩინარი, სუსტი კაცი, ესეც კი აიყოლია ღვინომ და მთელ ღამეს დაფროტიალებ-

და და მძინარეებს თავს დასტრიალებდა. პეტრეს ცოტა ქალაჩუნა ხასიათი ჰქონდა. კარგი ლალასავით ყველასათვის მოევლო. ვის საბანს გადახურავდა, თუ გადახდილს ნახავდა. ვის ბალიშს გაუსწორებდა, მეტადრე თავს ევლებოდა დ. ბაქრაძეს და ილია ოქრომჭედლიშვილს.

- აბა, ილიაჯან, კარგად დაიხურე, არ შეგცივდეს, - და თან საბანს უსწორებდა. ერთი ხელით საბანს უსწორებდა და მეორე ხელში კი ღვინით სავსე აზარფეშა ეჭირა. და რადგან ღვინოს კარგად დაეძალა და ხელში სიმაგრე აღარა ჰქონდა, ამიტომ აზარფეშიდგან ღვინო ეღვრებოდა და ოქრომჭედლიშვილს, რომლისთვისაც პეტრე ასე ზრუნავდა, თავზე და პირზე დასდიოდა. ოქრომჭედლიშვილი ერიდებოდა პეტრეს წყენას და ვერა ეთქვა რა, მხოლოდ ამას კი ეუბნებოდა:
- გმადლობთ, პეტრეჯან, გმადლობთ! მაკმარე.

ზედაზნის ამ ღამეს, ქართულ მოლხენასა და სტუმართმოყვარეობას, შემდეგ, თავის სამშობლოში დაბრუნებული პროფესორი ჟაკ ბერტილონი ბევრჯერ ნატრობდა. მის მეხსიერებაში წარუშლელად აღიბეჭდა ილიასთან საუბარი, ქართული ზღაპრები და თქმულებები...

1897 წელს 9 ოქტომბერს პარიზიდან მოვიდა წერილი. ილიამ მოუთმენლად გახსნა კონვერტი.

ბერტილონი სწერდა:

„ჩემო ძვირფასო თავადო!

თქვენთან გატარებული ორი დღე დარჩება ყველაზე უფრო მომხიბლავად ჩემს ცხოვრებაში. ეს დღეები ჭკუის სასწავლებელიც იყო. რა დიდი სიამოვნებით ვისმენდი მშვენიერ ქართულ ლეგენდებს, ანდაზებს, რომელნიც თვით თქვენი ხალხის სულის გამომხატველნი არიან და ბოლოს ხალხური სიმღერები, რომლებიც თქვენ მოგვასმენინეთ, ძალიან საინტერესო იყო. მე ბედნიერი ვიქნები, როცა ამ შთაბეჭდილებებს გავაცნობ ჩემს ქვეყანას. ბევრჯერ გადავიკითხე თქვენი პოეზიის ზოგიერთი თარგმანი, რამაც, ხალისი გამიღვიძა სხვების გაცნობისა. რა საწუხაროა, რომ ჩვენი მანდ ყოფნა ასე ხანმოკლე იყო, რა ძალიან მინდა, რომ დავბრუნდე თქვენს მომხიბლველ ქვეყანაში. როდის შემეძლება ხელახლა მისი მონახულება, უფრო ხანგრძლივად მისი ხილვა.

კამეჩებით მთაში გასეირნება, ეს რელიგიური ცერემონიები ასეთი სადა და მიმზიდველი ძველ მონასტერში, საოცარი დღეები იყო, რომლის მსგავსს მე ვერასოდეს ვერ ვნახავ, ხოლო დაუვიწყარი კი დარჩება ჩემს მეხსიერებაში.

რა მომხიბლავია პრინცესა! როგორ კეთილი იყო იგი ჩვენთვის! მისი სახის ნაკვთები წარუშლელად

დარჩება ჩემს მეხსიერებაში, როგორც სიკეთის გამოხატულება. მე გთხოვთ, გადასცეთ მას, თუ რაოდენ მადლიერი ვარ მისი მომხიბლავი სტუმართმოყვარეობისა.

მას და თქვენ, ჩემო ძვირფასო თავადო, გიგზავნით ჩემს ყველაზე უფრო გულმხურვალე სურვილებს და დადასტურებას ჩემი თქვენდამი დიდი პატივისცემისა და ერთგული თანაგრძნობისა“.

ზედაზნის ღამე, ის ლხინი და სტუმრები აღწერილი აქვს არტურ ლაისტსა და გერმანელებშიც დიდი ინტერესი გამოიწვია ილია ჭავჭავაძემ, მისმა ცხოვრებამ და შემოქმედებამ.

არც პროფესორ ბოსკოს ჩაუტანია ეს ამბავი საფლავში. მისი წერილებით იტალიელებმა ბევრი რამ გაიგეს საქართველოზე, მის კულტურაზე, იქაც გაისმა ილია ჭავჭავაძის სახელი.

არც ველიჩკო ჩამორჩა ვინმეს. მისმა ლექსებმა და ნარკვევებმა რუს მკითხველებს ნამდვილი საქართველო, მისი მწერლები და კულტურა გააცნო.

ილია ჭავჭავაძის ილიაობა საქართველოს საზღვრებს გასცილდა.

ოცნება
კახეთის რკინიგზის მშენებლობაზე

კახეთის რკინიგზის მშენებლობაც ბანკის თავსატეხი გახდა. მთელი დასავლეთი საქართველო თითქმის დაისერა ფოლადის მაგისტრალით, მაგრამ კახეთს, ამ უმდიდრეს კუთხეს, არაფერი ეშველა. ათეულ წლებით გაგრძელდა დავა, გავიყვანოთ თუ არა რკინიგზის ხაზი. ბოლოს ილიამაც აიმაღლა ხმა.

„დღეს კახეთი საკუთარ გზას ითხოვს, - წერდა იგი, - მაშასადამე, ძვირად დაუჯდება თუ იაფად, ორივეს თითონ იკისრებს და თითონ გაუძღვება. საქმე იმაშია, რომ დღევანდელი მოწინააღმდეგენი კახეთის გზისანი ამტკიცებენ, რომ კახეთი ვერ გაუძღვება რკინიგზის ხარჯსაო და, მაშასადამე, რკინიგზა თავის ხარჯსაც ვერ ააყენებს და ზარალში იქნებაო.“

ბოლოს, როგორც იქნა, დაიწყო საძიებო სამუშაოები, მოვიდნენ სპეციალისტები, მაგრამ მათ ფული სჭირდებოდა და ეს ფულიც - თხუთმეტი ათასი მანეთი ბანკმა გაიღო.

ილია ვერ მოესწრო კახეთის რკინიგზის მშენებლობის დამთავრებას, მისი გარდაცვალებიდან რვა წლის შემდეგ შეჰკივლა მხოლოდ კახეთისაკენ მიმავალმა პირველმა ორთქმავალმა.

P.S. 1913 წელს, ილია ჭავჭავაძის დისშვილის - კონსტანტინე აფხაზის უშუალო ხელმძღვანელობით დაიწყო კახეთის რკინიგზის მშენებლობა (მასალა ვიკიპედიიდან).

ილია ჭავჭავაძე

დაბ. თარიღი	27 ოქტომბერი (8 ნოემბერი) 1837
დაბ. ადგილი	ყვარელი
გარდ. თარიღი	30 აგვისტო (12 სექტემბერი) 1907 (69 წლის)
გარდ. ადგილი	წიწამური
დასაფლავებულია	მთაწმინდის პანთეონი
საქმიანობა	პოლიტიკოსი, პოეტი, გამომცემელი, ფილოსოფოსი, მწერალი, ისტორიკოსი და ჟურნალისტი
ენა	რუსული ენა და ქართული ენა
ეროვნება	ქართველი
მოქალაქეობა	რუსეთის იმპერია
Magnum opus	კაცია ადამიანი?! და განდეგილი
ხელმოწერა	

ს ა რ ჩ ე ვ ი:

- ყვარელი 11
- პეტერბურგში 35
- ბარათაშვილი 113
- აკაკი 131
- სამეგრელოში მოვედი და საქართველო ვნახე 142
- ვაჟა-ფშაველა 157
- დუელი 170
- ილიაობა 182
- ოცნება კახეთის რკინიგზის მშენებლობაზე 206

ელგუჯა ადეიშვილი

„ილია და... რკინიგზა კახეთში“

Elguja Adeishvili

„Ilia da… Rkinigza Kakhetshi“

გამომცემლობის
რედაქტორი - მერაბ ჯულაყიძე
მხატვარი - მურმან გელენიძე
თბილისის სახელმწიფო სამხატვრო
აკადემიის პროფესორი
მხატვრული რედაქტორები - თინათინ გეგეშიძე
- სოფიკო ბოლქვაძე
ტექნიკური რედაქტორი
და კომპიუტერული
უზრუნველყოფა - თამარ ფოფხაძე
კონსულტანტი - ლუიზა ადეიშვილი
კორექტორი - ნუნუ ადეიშვილი

თბილისი
2020

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2020

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com



საქართველოს რკინიგზა შავი და კასპიის ზღვებს შორის მდებარე ევრაზიის სატრანსპორტო არტერიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს, რომელიც უმოკლესი გზით აკავშირებს ევროპასა და ცენტრალურ აზიას.